სამყაროს შემეცნებაზე

4

Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

Musiqisi ***Üzeyir Hacıbəylinin,***
sözləri ***Əhməd Cavadındır.***

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!

ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

გულარ მეჰდიევა
ბაჰარ ქარუმოვა

სამყაროს შემეცნება

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-4 კლასისათვის
"სამყაროს შემეცნების" საგნის

სახელმძღვანელო

დამტკიცებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის
განათლების სამინისტროს 17.06.2011 წლის
№1133-ე ბრძანებით.

© აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო-2016

საავტორო უფლებები დაცულია. სპეციალური ნებართვის გარეშე ამ გამოცემის ან მისი რომელიმე ნაწილის ხელახალი გამოცემა, ასლის გადაღება, ელექტრონული საინფორმაციო საშუალებებით გავრცელება კანონით აკრძალულია.

გამომცემლობა «Aspoligraf LTD»

გთხოვთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული თქვენი გამოხმაურება, შენიშვნები და წინადადებები გამოაგზავნოთ aspoligraf.ltd@gmail.com და derslik@edu.gov.az ელექტრონულ მისამართებზე. წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან თანამშრომლობისათვის!



გამარჯობა, მეგობარო!

ძალზედ მოხარული ვარ, რომ ერთმანეთს ვხვდებით. როცა გამომცემლობაში მხატვრები სურათებს ხატავდნენ, ხოლო დიზაინერები ჩემს გვერდებს ადგენდნენ, ვიცოდი, საბოლაო ჯამში საინტერესო წიგნი ვიქნები, ამიტომაც მოუთმენალად ველოდი იმ დღეს, როცა სკოლაში მოვიდოდი. მერე კი რედაქტორებმა და კორექტორებმა წამიკითხეს. სარედაქციო სამუშაო მოთავდა თუ არა, სტამბაში წავედი. იქ ჯერ რკინის დაფებზე, შემდეგ კი ქაღალდზე გადამიტანეს. ბოლოს ჩემი გვერდები დაკეცეს, ზედიზედ დაალაგეს და შეკერეს. წებოთი გამამაგრეს და მე საბოლოო სახე მივიღე. აი, უკვე სკოლაში, შენს მერხზე ვარ. ამის გამო ძლიერ მიხარია. ვიცი, შენც გიხარია ახალი სასწავლო წლის დაწყება და მეგობრებთან და თანაკლასელებთან შეხვედრა. მჯერა, რომ ჩემთან შეხვედრაც გახარებს. მეც ხომ შენი მეგობარი ვარ.

ჩვენ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ერთად ვიქნებით. სულ ახალ-ახალ არსებებზე გიამბობ და ახალ-ახალ ამბებს მოგითხრობ. ვიმედოვნებ, ეს ყველაფერი შენთვის საინტერესო იქნება და სასწავლო წლის ბოლომდე ბევრ ცოდნასა და გამოცდილებას დააგროვებ.

1. ახალი სასწავლო წელი



შენ უკვე მეოთხე კლასში სწავლობ. ყოველ წელს პირველ სასწავლო დღეს თაიგულებით ხელდამშვენებული მოწაფეები სკოლისაკენ მოისწრაფიან. სკოლის ხელმძღვანელები და მასწავლებლები ამ დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე სიტყვით გამოდიან. ყველა ერთმანეთს ულოცავს ცოდნის დღეს- 15 სექტემბერს. ტელევიზიები უჩვენებენ გადაცემებს, რომლებიც ახალი სასწავლო წლის დაწყებას ეძღვნება. გაზეთებშიც ამ თემისადმი მიძღვნილი ვრცელი წერილები იბეჭდება.

შენი ნაცნობი ყველა ბავშვი, რომელსაც სკოლის ასაკი უწევს, განათლებას იღებს ქვეყნის ამა თუ იმ სკოლაში. იყო დრო, როცა სკოლებში მხოლოდ ის ბავშვები იღებდნენ განათლებას, რომლებსაც სწავლის საფასურის გადახდა შეეძლოთ.

უფასო სწავლება დიდ შანსს აძლევს ნებისმიერ ადამიანს. ჩვენს ქვეყანაში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ ნებისმიერმა ადამიანმა განათლება მიიღოს.

შენი განათლება



აზერბაიჯანის კონსტიტუციაში წერია, რომ მიუხედავად ეროვნული, ენობრივი და რელიგიური კუთნილებისა, მიუხედავად ჯანმრთელობის მდგომარეობისა, ყველა მოქალაქეს აქვს განათლების უფლება. ვერავინ აუკრძალავს ბავშს სკოლაში წასვლას. ბავშთა განათლების უფლებას ჩვენი სახელმწიფო იცავს.

15 სექტემბერს სკოლაში მოდიხარ და ნათელ საკლასო ოთახებში გაკვეთილებს ესწრები. ეს არის შენი განათლების უფლება. შენი მოვალეობაა, როგორც მოსწავლემ დააფასო ეს უფლება და იგი შენდა სასარგებლოდ საფუძვლიანად გამოიყენო. თითოეული მოსწავლის ვალია, შეასრულოს ყოველდღიური დავალებები, აქტიური იყოს გაკვეთილების დროს და ეცადოს სისტემატურად აითვისოს ახალი ცოდნა.

ერთ-ერთი აზერბაიჯანელი ნავთობ მაგნატი ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევი განათლებული არ გახლდათ. თუმცა დიდი თანხა მოახმარა თვისტომების განათლებასა და კულტურის განვითარების საქმეს. ბაქოში გახსნა ქალთა სკოლა. შენი აზრით, რატომ ჩაიდინა ეს?

აზერბაიჯანის რესპუბლიკის „ბავშთა უფლებების შესახებ“ კანონშიცაა მითითებული: „ყველა ბავშს უფლება აქვს მიიღოს განათლება და დაუშვებელია ვინმემ ხელი შეუშალოს ბავშვების სავალდებულო საშუალო განათლებას“.

კითხვები და დავალებები

1) რამ მიიქცია შენი ყურადღება პირველ სასწავლო დღეს?
2) რაში გამოიხატება სახელმწიფოს მზრუნველობა, რომელსაც იგი შენი განათლებისათვის იჩენს?
3) რას ნიშნავს „ბავშვის მიერ სწავლისათვის თავის არიდება?“
4) დაწერე ესსე სახელწოდებით: „ჩემი განათლების უფლება“.

2. საზაფხულო არდადეგებზე



დამთავრდა საზაფხულო არდადეგები.არდადეგების დროს ზოგიერთი ბავშვი დასასვენებლად სხვა ქალაქებსა და სოფლებში მიდის. ისეთებიც არიან, რომლებიც უცხო ქვეყნებში მიემგზავრებიან. არდადეგების პერიოდში იმ ქვყნებში, სადაც მიემგზავრებიან, ახალ ცოდნასა და გამოცდილებას იძენენ. ანუ სამეგობროს იფართოვებენ და ახალ წიგნებს კითხულობენ.

კანი გაგიშავდათ მზის გამო? კარგია, თუ გაგიშავდათ. იმისათვის, რომ ორგანიზმი ჯანმრთელი იყოს, აუცილებელია ჯანმრთელი იყოს ადამიანის კანიც.

იმიტომ, რომ კანი ადამიანის ძირითად ორგანოთაგანია. იგი ადამიანის სხეულს უცხო ფაქტორების.

ზემოქმედებისგან იცავს. კანი, აგრეთვე, ადამიანის ერთ-ერთი გრძნობის ორგანოა. ვეხებით რა ჩვენს გარეშემო მყოფ სხვა საგნებსა და არსებებს, კანის საშუალებით ვგრძნობთ თბილია, თუ ცივი, რბილია, თუ მკვრივი. ოფლის კუნთებიც კანშია. ადამიანი მათი მეშვეობით ოფლიანდება. ოფლი კი ჭარბ სითბოს გამოყოფს და ორგანიზმს უვარგისი ნივთიერებებისაგან ათავისუფლებს. ესეიგი ოფლი ერთდროულად სხეულის ტემპერატურასაც აწესრიგებს და ზედმეტი

ნიფთიერების გამოყოფასაც უზრუნველყოფს. მზის სხივების ზემოქმედების შედეგად ჩვენს ორგანიზმში D ვიტამინი წარმოიშობა. ძვლების განმტკიცებაში D ვიტამინი უდიდეს როლს თამაშობს. ბავშვებში რახიტის წინააღმდეგ ბრძოლის დროსაც ეს ვიტამინი გამოიყენება. მაგრამ მზის ქვეშ დიდხანს ყოფნა არ შეიძლება.

მზის მცხუნვარე საათებში აუცილებელია ჩრდილში ყოფნა. ასეთ დროს მზის სხივებმა შეიძლება ორგანიზმს ზიანიც კი მიაყენოს.

კანი სამუდამოდ როდი შავდება. მომავალ გაზაფხულამდე კანს თავისი ბუნებრივი ფერი უბრუნდება.

სხვა რა მოგცა ზაფხულმა? არდადეგების პერიოდში თავისუფალი დრო ბლომად გქონდა. როგორ გამოიყენე ეს დრო? რომელ ფილმებს უყურე, რომელი წიგნები წაიკითხე და რომელი თამაში ითამაშე? ყველაზე მთავარი კი ისაა, თუ არდადეგების დროს რა ისწავლე? ამაზე თუ დაფიქრდები, მიხვდები როგორ გამოიყენე ზაფხული.

კითხვები და დავალებები

1) რით განსხვავდება ზაფხული წელიწადის სხვა დროებისაგან?
2) რა მნიშვნელობა აქვს კანს ორგანიზმისათვის?
3) დავალებათაგან, რომლებიც მე-3 კლასის ბოლოს მოგეცა, რა შეასრულე?
4) შენს რვეულში გადაიტანე და შეავსე გრაფიკი სახელწოდებით: „საქმეები, რომლებიც ზაფხულში გავაკეთე“.

ჩემს მიერ წარმოებული ცდები	შედეგები, რომლებიც მივიღე	წიგნები, რომლებიც წავიკითხე	ადგილები, რომლებიც მოვინახულე

3. განათლების საუკუნე



ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ახალი სკოლები შენდება. სახელმწიფო ბავშვების განათლებისათვის დიდ თანხას გამოყოფს. აზერბაიჯანის სახელმწიფო მაღალ შეფასებას ანიჭებს განათლების როლს ქვეყნის განვითარების საქმეში. სახელმწიფოს განათლების პოლიტიკას აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო ახორციელებს. ეს სახელმწიფო ორგანო სისტემატურად ცდილობს, რომ ქვეყანაში განათლების დონემ აიწიოს. რადგანაც ნებისმიერი ქვეყნის მომავალი მისი განათლების დონეზეა დამოკიდებული. ისეთმა სახელმწიფოებმა, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონია თავიანთ ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივ რესურსებზე უფრო მეტად ადამიანების გონებრივ შესაძლებლობებზე დაყრდნობით მიაღწიეს განვითარების მაღალ დონეს. ეს კი მხოლოდ განათლების დონის ამაღლებითაა შესაძლებელი.

აზერბაიჯანი მდიდარი ქვეყანაა. აქ უხვადაა ბუნებრივი სიმდიდრე. თუმცა განვითარების დროს მხოლოდ ბუნებრივი სიმდიდრის იმედზე ყოფნა გაუმარლებელია, ამ რესურსების ჭკუით გამოყენებაც უნდა შეგეძლოს. თვითეულ ადამიანს თავისებური ნიჭი და შესაძლებლობები გააჩნია. ამ ნიჭისა და შესაძლებლობების დროული აღმოჩენა და განვითარება განათლების სისტემის საქმეა. უაღრესად აუცილებელია სათანადო პირობების შექმნა იმისათვის, რომ თვითოეულმა ადამიანმა პირადი ნიჭის განვითარება შესძლოს. ქვეყნის მოქალაქეები ჯანმრთელები უნდა იყვნენ და ბავშობიდანვე ჩაერთონ სწავლა განვითარების საქმეში.



მაგალითად შენ მე-4 კლასს დაამთავრებ და ამით დაწყებითი განათლების დონეს დააგვირგვინებ. შემდეგ კი განათლებას მაღალ კლასებში გააგრძელებ. მერე, თუ მიზნად დაისახავ, უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებ. ან კიდევ, პროფესიულ–სპეციალიზირებულ სასწავლებელში, შენი

შენი განათლება

რას ნიშნავს ადამიანის განვითარება?

სურვილისამებრ ნებისმიერ ხელობას დაეუფლები. ალბათ უკვე სამომავლო გეგმაც გაგაჩნია. რადგანაც სამომავლო გეგმები დღეს უნდა ჩაისახოს. თუმცა განათლების საქმეში არც ესაა ბოლო მიჯნა. თანამედროვე ადამიანის ცხოვრების პირობები სწრაფად იცვლება, ერთმანეთს ენაცვლებიან ახალ–ახალი ინფორმაციები, ახალი აღმოჩენების შესაბამისად ჩნდება ახალი უნარების აუცილებლობა.

ახლა მხოლოდ უმაღლესი განათლება არ კმარა. იმისათვის ,რომ დროს არ ჩამორჩეს, ადამიანი სისტემატურად უნდა ზრუნავდეს თავისი განათლების დონის ასამაღლებლად. სისტემატურად ახალი წიგნების წაკითხვით, საინფორმაციო წყაროების ფართოდ გამოყენებითა და გაკვეთილებზე აქტიურობით ამას ადვილად შეგიძლია მიაღწიო. ასე და ამგვარად მომავალში კარგი სპელიაციალისტი, შენი საქმის ოსტატი და მეცნიერი დადგები და აზერბაიჯანის განვითარებაში შენს წვლილს შეიტან.

> გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ XXI საუკუნე განათლების საუკუნედ გამოაცხადა.

კითხვები და დავალებები

1) რატომ გამოაცხადა XXI საუკუნე განათლების საუკუნედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ?
2) ვის აქვს განათლების უფლება აზერბაიჯანის რესპუბლიკაში?
3) რატომ ცდილობს სახელმწიფო ქვეყანაში განათლების დონის ამაღლებას?
4) რომელი სახელმწიფო ორგანო ახორციელებს სახელმწიფოს განათლების პოლიტიკას?
5) რატომ უნდა იყოს განათლება უწყვეტი ხასიათის?
6) შენთვის ცნობილი ადამიანის მაგალითზე ჩამოაყალიბე განათლების როლი. რვეულში ჩაწერე შენი აზრი.

4. წარსულში და ახლა



მოდით ერთად ვიმოგზაუროთ უძველეს დროში. ნეტავ იმ დროში როცა ადამიანები ცხოვრებას სათანადოდ არ იცნობდნენ და ჯერ წერა–კითხვაც არ შეეძლოთ, ერთმანეთს ინფორმაციას როგორ გადასცემდნენ?

ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე გრძნობს აუცილებლობას, რომ სხვა ადამიანებთან კონტაქტი დაამყაროს. ამიტომაც უწოდებენ ადამიანს სოციალურ, ანუ საზოგადოებასთან მიჯაჭულ არსებას. გაზეთებისა და ჟურნლების, რადიოსა და ტელევიზიის, ტელეფონისა და ინტერნეტის საშუალებით ადამიანები ერთმანეთს ახალ ინფორმაციას უგზავნიან, გამოცდილებას, დარდსა და სიხარულს უზიარებენ. უძველეს დროში ადამიანებს შორის ინფორმაციის გაცვლა სურათებისა და ჟესტების მეშვეობით ხდებოდა.

აზერბაიჯანის მთავრობამ გობუსთნის ადამიანთა საცხოვრისი სახელმწიფო ნაკრძალად გამოაცხადა.რადგანაც აქ უძველესი დროის ადამიანების მიერ დახატული ექვსი ათასზე მეტი კლდისზედა ნახატი იქნა აღმოჩენილი. ამ სურათებზე გამოსახულია ნადირობა, თევზაობა, კოლექტიური ცეკვები,ადამიანები, ორთვლიანი ურმები და ისეთი ცხოველები, როგორებიცაა ჯეირანი, არჩვი, ლომი და სხვა. შეგიძლია, კლდეზე გამოსახული ეს სურათები დაათვალიერო და ძველი ადამიანების შესახებ ინფორმაცია დააგროვო.

ბუნებრივია, სურათების მეშვეობით ამა თუ იმ საკითხზე სრული ინფორმაციის მიწოდება ძნელია. დროთა განმავლობაში ამ ნიშნების საფუძველზე ასოები შეიქმნა.ადამიანები ამ ასოებით თიხის დაფებზე, პერგამენტებსა* და პაპირუსებზე** წერდნენ.

მრავალი წლის შემდეგ ადამიანებმა პირველად ჩინეთში ქაღალდი აღმოაჩინეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩინელები ცდილობდნენ ქაღალდის დმზადების წესი საიდუმლოდ შეენახათ, ეს საქმე მაინც გასაჯაროვდა. ქაღალდის საიდუმლოება მთელ ქვეყნიერებას მოედო. ქაღალდი საწერად ძალზე ხელსაყრელი საშუალება იყო. თუმცა ამას ერთი უარყოფითი მხარეც გააჩნდა. იმის გამო, რომ ქაღალდი ხისგან მზადდება,

პერგამენტი

პაპირუსზე დახატული სურათი

თიხის დაფა

პაპირუსის მცენარე

***პერგამენტი–** სპეციალურად დმუშავებული საქონლის ტყავი, რომელსაც საწერად იყენებლნენ.

****პაპირუსი–** ლელოვანი მცენარე, რომლის ფოთლებსაც ადამიანები უძველეს დროში საწერად იყენებდნენ.

ადამიანები ხე–ტყეს აჩანაგებდნენ, რითაც ბუნებას დიდ ზიანს აყენებდნენ.

მას შემდეგ, რაც ქაღალდი აღმოაჩინეს, ადამიანები შორ მანძილზე ქაღალდის წერილებს გზავნიდნენ. განვითარება, რომელიც ინფორმაციის დაწერასა და გადაგზავნის სფეროს ეხებოდა, ამით არ დამთავრებულა. ცხოვრების ნებისმიერ სფეროში მუდმივი განვითარებისა და ცვალებადობის პროცესი მიმდინარეობს. ხდება გამოგონებები და აღმოჩენები, ის, რასაც ადამიანები უწინ სასწაულად აღიქვამდნენ, დღეს რეალობად გვევლინება. ტელეგრაფი, ტელეფონი, კომპიუტერი და ბოლოს ინტერნეტი ასეთ „სასწაულთაგანია“.

ამჟამად ტექნიკური საშუალებები ერთობ მრავალფეროვანია. ბევრი საქმის მოგვარება შორი მანძილიდანაც გახდა შესაძლებელი. ადამიანები ინტერნეტის მეშვეობით განათლებას იღებენ, საქმიან ურთიერთობას ამყარებენ დედამიწის ნებისმიერ წერტილზე მცხოვრებ სხვა ადამიანებთან, უფრო მეტიც, ერთმანეთს ეცნობიან და მეგობრდებიან კიდეც.ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელია ნებისმიერ ვირტუალურ (ელექტრონულ) ბიბლიოთეკაში შეხვიდე, საჭირო ინფორმაცია მოიძიო და გამოიყენო.შეუძლებელია ინტერნეტის გარეშე წარმოიდგინო თანამედროვე განათლების სისტემა, ეკონომიკა, პოლიტიკა და ჯანდაცვა. ნებისმიერი ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით ვრცელდება. დრო მოვა და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებებიც იქნება აღმოჩენილი. შეიძლება, მათი ერთ–ერთი აღმომჩენი შენ იყო.

კითხვები და დავალებები

1)რა აუცილებლობამ წარმოშვა დამწერლობა?

2)რა მოხდება ადამიანებმა ინფორმაცია რომ ვერ გაავრცელონ?

3) რომელი დადებითი მხარეები ახლდა ინტერნეტის აღმოჩენას?

4) სქემა შენს რვეულში გადაიტანე და დაამუშავე:

რომელი წყაროებიდან ვიღებ ინფორმაციას?	რა საშუალებებით ვიღებ ინფორმაციას?	რის შესახებ ვიღებ ყველაზე მეტ ინფორმაციას?	რაში მჭირდება ეს ყველაფერი?

5. ბიბლიოთეკა



მინდა, ჩემს წინაპრებზე, ანუ ძველი წიგნების შესახებ მოგითხრო.ადამიანებმა პირველი წიგნები უძველეს დროში ჯერ კიდევ მაშინ შექმნეს, როცა საწერ მასალად თიხის დაფებს, პაპირუსსა და პერგამენტს იყენებდნენ. იმის გამო, რომ ეს წიგნები ხელით იწერებოდა, მათ ხელნაწერებს უწოდებდნენ. მაგალითად, ცეცხლთაყვანისმცემლობის რელიგიის წმინდა წიგნი „ავესტა“ დაწერილია 12 ათასი ძროხის დამუშავებულ ტყავზე.

შორეულ წარსულში ძველი ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიაში უაღრესად მდიდარი ბიბლიოთეკა არსებობდა. ამ წიგნთსაცავში პაპირუსსა და პერგამენტზე დაწერილი 700 ათასზე მეტი ხელნაწერი ინახებოდა. იმის გამო, რომ თიხის დაფებზე, პერგამენტებსა და პაპირუსებზე დაწერილი წიგნები ძალზედ დიდია, დიდ ფართსაც მოიცავდნენ. თანაც ეს წიგნები ერთობ ძვირი იყო და ყველას როდი შეეძლო მათი შეძენა. შემდეგ ქაღალდი იქნა აღმოჩენილი და გაჩნდა ქაღალდზე დაწერილი წიგნები. ქაღალდზე წერა და ქაღალდის წიგნების შენახვა იოლი იყო. ადამიანებმა, მათთვის საჭირო ინფორმაციის მოძიების მიზნით, ბიბლიოთეკებში დაიწყეს სიარული.რადგანაც ბიბლიოთეკა ის ადგილია, სადაც გამოყენების მიზნით მრავალი წიგნია თავმოყრილი. დრო გავიდა და გაჩნდა ლამაზად შედგენილი ახალი წიგნები და თანამედროვე ბიბლიოთეკები, სადაც ეს წიგნებია თავმოყრილი.

ფირუდინ ბეკ ქოჩარლის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკა (40 წლის წინ)

ახლანდელ დროში ადამიანები ორნაირი ბიბლიოთეკით სარგებლობენ:

- საჯარო ბიბლიოთეკები– რომლებითაც ნებისიერ ადამიანს შეუძლია ისარგებლოს.
- სპეციალური ბიბლიოთეკები– რომლებიც გათვალისწინებულია სამეცნიერო, სასწავლო და გარკვეული სფეროს სპეციალისტებისათვის.

ბიბლიოთეკა გახლავთ საეთო სამკითხველო კერა. აქ თავმოყრილია სხვადასხვა შინაარსის წიგნები. ბიბლიოთეკაში მუშაობენ სპეციალისტები (ბიბლიოთეკარები), რომლებიც მკითხველს წიგნის არჩევაში ეხმარებიან. ბიბლიოთეკა დიდი დაწესებულებაა, რომელსაც

*კატალოგი – ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების გარკვეული წესით შედგენილი სია
*არქივი – ადგილი, სადაც ძველი დოკუმენტები და წერილობითი ძეგლები ინახება

თანამშრომლები, კატალოგის* ოთახი, სამკითხველო დარბაზი, არქივი* და შეკვეთის მიმღები ოთახი გააჩნია. როგორც ყველა დაწესებულებაში, ბიბლიოთეკაშიც არსებობს გარკვეული ქცევის წესები.

- ჯერ რეგისტრაცია უნდა გაიარო.ამისათვის საჭიროა პირადობის მოწმობის წარდგენა;
- იმისათვის, რომ საჭირო წიგნი მოიძიო, წიგნის სათაური და ავტორის სახელი უნდა იცოდე;
- მიდიხარ კატალოგთან, ან წიგნების თაროსთან, რომლებიც ანბანის მიხედვითაა განლაგებული;
- ირჩევ კატალოგს, რომელიც შენთვის საჭირო ასოთი იწყება;
- კატალოგში საჭირო წიგნს, ან ავტორის სახელს პოულობ და მის კოდს (გარკვეულ ციფრებს) იწერ.მერე კი წიგნს უკვეთავ;

მას შემდეგ, რაც ბიბლიოთეკარი წიგნს მოგიტანს, შეგიძლია იგი შინ წაიღო, ან სამკითხველო დარბაზში წაიკითხო და უკან დაუბრუნო. წიგნს, რომელსაც თან წაიღებ, არაუგვიანეს 15 დღისა უნდა დააბრუნო.ბიბლიოთთეკაში სხვადასხვა სახის საინფორმაციო წყარო არსებობს: სამეცნიერო, მხატრული, საბავშო წიგნები, ჟურნალები და გაზეთები... ეს ყველაფერი როგორც ქაღალდზე, ასევე შეიძლება ელექტრონული (დისკებში, კომპიუტერში, ინტერნეტში) ვარიანტითაც იყოს.

მცენარეების მოვლის თაობაზე, ცხოველების შენახვის შესახებ, ან პირველად სამედიცინო დახმარებასთან, თუ სწორ კვებასთან დაკავშირებით, ანდა სხვა საკითხის თაობაზე თუ რამე გსურს ისწავლო, ბიბლიოთეკას მიაშურე. დაიხსომე, რომ მას, ვინც ბევრ წიგნს კითხულობს, სიტყვის მარაგი ემატება და მსოფხმედველობა უფართოვდება.

მ.ფ. ახუნდოვის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა ჩვენს დროში

კითხვები და დავალებები

1) რით განსხვავდებიან საჯარო და სპეციალური ბიბლიოთეკები?
2) რა სარგებელი მოაქვთ ბიბლიოთეკებს?
3) იმისათვის, რომ სკოლის ბიბლიოთეკის წევრი გახდეს, მოსწავლეს რომელი საბუთი მოეთხოვება?
4) „იმ ადამიაანს, რომელიც წიგნს კითხულობს, მდიდარი სიტყვის მარაგი გააჩნია.“–როგორ განმარტავ ამ წინადადებას?
5) დაწერე ესე სათაურით „ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკა“.

6. წიგნებიდან ვსწავლობთ

დღემდე რომელი წიგნები გაქვს წაკითხული? წიგნები მხოლოდ მეცნიერულ ცოდნას როდი გვაძლევენ. წიგნებიდან ბევრ სხვა რამესაც ვსწავლობთ.

როგორც აზერბაიჯანში, ასევე მსოფლიოში არსებობენ ცნობილი მწერლები და პოეტები. ვინ იცის, ეგებ მომავალში შენც ცნობილი მწერალი გამოხვიდე. იმისათვის, რომ ლექსები და ზღაპრები დაწერო, ბევრი უნდა იკითხო, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებს უნდა გაეცნო. ახლა ერთ მოთხრობას გაგაცნობ. წაიკითხე და შენი დამოკიდებულება გამოხატე იქ აღწერილი ბავშვების მიმართ. მერე კი თავად შეარჩევ და სხვა მოთხრობებსა და ზღაპრებსაც წაიკითხავ.

სადღესასწაულო ხუმრობა*

ნოვრუზის დღესასწაულამდე ცოტა დრო რჩებოდა. სამი დღეა გარემო ბავშვების ჟივილ–ხივილს მოეცვა. ისინი წამდაუწუმ საფეთქელას ისროდნენ, ის, რაც ხდებოდა ნამდვილ ომს მოგაგონებდათ. გეგონებოდა, ყოველ ხუთ წუთში ერთხელ ყუმბარა ფეთქდება. ამ ხმამ მეზობლებს უკვე თავი მოაბეზრა.

როგორც იქნა ბაირამიც დადგა. შუადღე იდგა. ალიმ გალიბაანთ კარზე დააკაკუნა. კარი თავად გალიბამ გაუღო. მან როგორც კი ალი შენიშნა, უთხრა:

– დამელოდე, ახლავე გამოვალ.

ალიმ ჰკითხა:

– საფეთქელას საყიდნელად ფული იშოვე?

– ხო, ჩემი ფულის ყულაბა გავტეხე და ბევრი საფეთქელა ვიყიდე.

შეგვიძლია, მთელი დღის განმავლობაში ავაფეთქოთ.–გალიბამ პიჯაკი სწრაფად გადაიცვა, ქუდი დაიხურა და გარეთ გამოვიდა.

ზემოთა კიბეებიდან ნაბიჯების ხმა მოისმა. გალიბა წინ წადგა და ზემოთ აიხედა. კიბეებზე ბებია მინარე ჩამოდიოდა. გალიბამ ალისაც უბიძგა და მასთან ერთად შინ შებრუნდა. ბებია მინარე კიბეებზე ჩამოვიდა, შეტრიალდა, რომ ბოლო სართულიც ჩაათავოს. სწორედ ამ დროს გალიბი გამოვარდა და საფეთქელა ააფეთქა. ამ

*მოთხრობისა და ილუსტრაციის ავტორი რაჰილა მამედოვაა

ხმაზე ბებია მინარე შეცბა, წაიბორძიკა და დაეცა. კალათაც ძირს დაუვარდა.

გალიბამ გულიანად გადაიხარხარა:

–ნახე, როგორ შეეშინდა!? დღეს ასე ექვსი ადამიანი შევაშინე!– ეს თქვა და სადარბაზოს კარიდან გარეთ გავარდა.

ალიც მასთან ერთად გაქცევას აპირებდა, მაგრამ ძირს დავარდნილ ბებია მინარეს შეხედა და შეყოვნდა. დაიხარა, მისი კალათა აიღო, მერე ხელი შეაშველა და წამოდგომაში დაეხმარა:

–ბებია მინარე, დღესასწაულია და... გავიხუმრეთ.

ბებია მინარემ მტვერი ჩამოიბერტყა და თქვა:

– ეს რა ხუმრობაა, შვილო! ამ ბაირამზე ხელ–ფეხი რომ მომტეხოდა, რა მეშველებოდა? კიდევ კარგად გადავრჩი.

მერე ალის შეხედა და დასძინა:

–შენც მაგას აჰყოლიხარ?

ალიმ კალათა მას მიაწოდა და ხელები გაშალა და მიუგო:

–არა, მე არაფერი მაქვს!

ბებია მინარემ თავი გააქნია და თქვა:

–შვილო, შენი მშობლები შრომობენ, ფულს შოულობენ და გზრდიან. დრო სასიკეთო საქმეს რომ მოახმარო, უფრო უკეთესი იქნება. ფულით, რომელიც ხელთ ჩაგივარდება, წიგნი რომ იყიდო და წაიკითხო, იხეირებ, საძრახის საქციელსაც განერიდები და მშობლებიც შენით იამაყებენ.

ბებია მინარე მას ნელი ნაბიჯით დაშორდა.

ალიმ ინანა იმ ხუმრობის გამო, რომელიც გალიბთან ერთად ჩაიდინა. იმის მაგივრად რომ თავისუფალ დროს სასიქადულო საქმეები ჩაიდინოს და იკითხოს წიგნები, რომლებიც მშობლებმა უყიდეს და ამ წიგნებიდან ცოდნა შეიძინოს, აუგს სჩადის და ხალხს აწუხებს.

კითხვები და დავალებები

1) რატომ დაეხმარა ალი ბებია მინარეს?
2) რა უთხრა ბებია მინარემ ალის? რატომ ურჩია ბებიამ წიგნის კითხვა?
3) გალიბისთანა ბავშვებს თუ შეხვედრიხარ? როგორი დამოკიდებულება გამოგიხატავს მათი საძრახისი საქციელის მიმართ?
4) შენც დაწერე მოთხრობა , რომელიც დადებით, ან უარყოფით თვისებებს გამოხატავს. დაასათაურე შენი მოთხრობა.

7. სახელმწიფოებრიობა

წარმოიდგინე დიდი, მრავალრიცხოვანი ოჯახი, სადაც თავმოყრილია ჩვილები, ბავშვები, მოსწავლეები, ახალგაზრდები, შუახნისანი, მოხუცები და ისეთებიც, რომელთაც შრომის უნარი არ გააჩნიათ. ამ ოჯახის ის წევრები, რომელთაც შრომის უნარი აქვთ, სხვადასხვა კოლექტივში მუშაობენ. ოჯახისთვის პროდუქტს, ტანსაცმელს, საყოფაცხოვრებო ნივთებსა და სხვა საჭირო საგნებს ყიდულობენ. და ამ ყველაფერს ოჯახის ყველა წევრი მოიხმარს.

ოჯახის უფროსი პასუხისმგებელია იმაზე,რომ ოჯახის ყველა წევრი ნორმალურად იკვებებოდეს, პატარები და მცირეწლოვანნი ჯანმრთელები დაიზარდონ და მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იყვნენ სახელმძღვანელოებით. იგი ამავე დროს უზრუნველყოფს მოხუცების სიმშვედესა და ზრუნავს ავადმყოფთა განკურნვისათვის. ოჯახში, სადაც თავკაცი ჭკვიანია, ყველაფერი წესრიგშია.

საზოგადოებაში ოჯახის უფროსის როლს სახელმწიფოს მეთაური ასრულებს.

სახელმწიფო ცდილობს, რომ მისი საზოგადოების ყველა წევრმა მშვიდობიან ატმოსფეროში იცხოვროს, იყოს ჯანმრთელი და ყველაფრით უზრუნველყოფილი. სახელმწიფო:

-უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას;

- ცდილობს გახსნას ახალი სამუშაო ადგილები და სამუშაოთი დააკმაყოფილოს ყველა ის ადამიანი, ვისაც შრომის უნარი გააჩნია;

-ქმნის პირობებს იმისათვის, რომ ნორმალურად იცხოვროს იმან, ვისაც შრომის უნარი არ გააჩნია;

-დახმარებას უწევს მოხუცებსა, ხელმოკლე და მრავალშვილიან ოჯახებს. ხსნის ბავშვთა სახლებსა და მოხუცთა თავშესაფრებს მიუსაფარი ბავშვებისა და უმწეო მოხუცებისათვის;

-იღებს კანონებს და იცავს მათ;

-უზრუნველყოფს ადამიანების განათლების უფლებას. ამისათვის გამოსცემს მაღალხარისხოვან სახელმძღვანელოებს და აშენებს თანამედროვე ტიპის სკოლებს;

-იღებს კანონებს გარემოსა და ბუნებრივი სიმდიდრის დაცვის მიზნით.

როგორ იმართება სახელმწიფო?

სახელმწიფოს მართვის ორი ძირითადი ფორმა არსებობს. ამათგან ერთი მონარქია, მეორე კი რესპუბლიკა გახლავთ. მეფეები და დედოფლები მხოლოდ ზღაპრებში როდი არსებობენ. მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში- დიდ ბრიტანეთში, იაპონიაში, ესპანეთსა და ბელგიაში მეფეები და დედოფლები დღესაც არსებობენ. მათ მონარქებს უწოდებენ. მონარქებს ხალხი არ ირჩევს. რადგანაც მათ უფლისწულები ენაცვლებიან.

რესპუბლიკური ფორმაციის დროს კი სახელისუფლებო ორგანოებს ხალხი ირჩევს. როგორ ხდება ეს? სახელისუფლებო ორგანოებისათვის არჩევნები ტარდება. თვითეული მოქალაქე ხმას აძლევს იმ კანდიდატს, რომელიც მას სურს. ის კანდიდატები, რომლებიც ყველაზე მეტ ხმას აგროვებენ, სახელმწიფო ორგანოებში ირჩევიან.

თანამედროვე მეფეები და დედოფლები

იმ სახელმწიფოებში, სადაც მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებას არ დაგიდევენ, დიქტატურული რეჟიმი მეფობს. ისინი, ვინც დიქტატურული რეჟიმის წინააღმდეგ გამოდიან, ხელისუფლების მხრიდან ისჯებიან.

აზერბაიჯანი დემოკრატიული რესპუბლიკაა. აზერბაიჯანის სახელმწიფოს მეთაური პრეზიდენტია. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს აზერბაიჯანელი ხალხი ირჩევს.

კითხვები და დავალებები

1) რას ნიშნავს მონარქია?
2) რით განსხვავდება რესპუბლიკური წყობა მონარქიულისაგან?
3) რა არის დიქტატურა?
4) სხვადასხვა წყაროებში გაეცანი მონარქიული და რესპუბლიკური წყობის ქვეყნების სახელებს და რვეულში თანმიმდევრულად ჩამოწერე.

მონარქია	რესპუბლიკა

8. სახელმწიფო ორგანოები

სახელმწიფო საზოგადოებას სპეციალური ორგანიზაციების მეშვეობით მართავს. ამ ორგანიზაციებს სახელმწიფო ორგანოები ეწოდება. მაგალითად აზერბაიჯანში ერთ მილიონზე მეტი მოსწავლის სწავლა-აღზრდის საქმეს ასიათასზე მეტი მასწავლებელთა კოლექტივი ემსახურება. ამ დიდ კოლექტივს ქვეყნის განათლების სამინისტრო მართავს.

მოხუცებს, რომელთაც შრომის უნარი არ გააჩნიათ, უსახსრო და მრავალშვილიან ოჯახებს პენსიითა და სხვა სახის დახმარებით სახელმწიფო სოციალური დაცვის ფონდი უზრუნველყოფს.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო კი იმ სამუშაოებს ახორციელებს, რომლებიც მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვისთვისაა საჭირო. ჩვენს ქვეყანაში არსებულ საავადმყოფოებს, პოლიკლინიკებსა და სხვა ჯანმრთელობის კერებს ჯანმრთელობის სამინისტრო მართავს.

გადასახდების სამინისტრო კი კონტროლს უწევს იმას, რომ ნებისმიერი სახის გადასახადი დროულად და სრულად შეგროვდეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

მართლწესრიგის დაცვის ორგანოები კი კანონიერებისა და ადამიანის უფლებების სადარაჯოზე დგანან. ის პირები, რომლებიც კანონს არღვევენ, სასამართლოს გადაწყვეტილებით ისჯებიან.

იმისათვის, რომ ცხოველთა სამყარო, ატმოსფერო და ბუნებრივი რესურსები მუდმივ კონტროლ ქვეშ იყოს, ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ფუნქციონერებს.

ეკლოგიისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

სახელმწიფო სოციალური დაცვის ფონდი

განათლების სამინისტრო

როგორ იქმნება ახალი სახელმწიფო ორგანოები?

ზოგჯერ კატასტროფა და სტიქიური უბედურება ხდება.არსებობს ორგანიზაცია, რომელიც ასეთ შემთხვევებში ადამიანებს დაუყონებლივ დახმარებას აღმოუჩენს. ეს საგანგებო სიტუაციათა სამინისტროა.

სახელმწიფო საზოგადოების ცხოვრებას გამუდმებით აკონტროლებს და საჭიროების შემთხვევაში ახალ სახელმწიფო ორგანოს ქმნის. მაგალითად,1988 წელს აზერბაიჯანლები, რომლებიც სომხეთში თავიანთ მამა-პაპურ მიწაზე ცხოვრობდნენ, ძალით იქნენ აყრილნი მშობლიური მამულიდან. მათ აზერბაიჯანს შეაფარეს თავი. შემდეგ, ანუ 1990 წლის დასაწყისში აზერბაიჯანლები, რომლებიც ყარაბაღის მთიან ზონასა და მის მიმდებარე რაიონებში ცხოვრობდნენ, იძულებულნი გახდნენ ქვეყნის სხვა ტერიტორიებზე გადასახლებულიყვნენ. ამრიგად, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხვმა 1 მილიონს მიაღწია. იმისათვის, რომ ეს ადამიანები ქვეყნის ტერიტორიაზე განესახლებინათ და მათთვის დახმარება აღმოეჩინათ, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სახელმწიფო კომიტეტი შეიქმნა. მსოფლიოს სხავადასხვა ქვეყანაში მრავალი აზერბაიჯანელი ცხოვრობს. არსებობს სახელმწიფო ორგანო, რომელიც მათთან ურთიერთობის დამყარების მიმართულებით მუშაობს. ეს გახლავთ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო კომიტეტი დიასპორას* საკითხებში. შეგვიძლია ეს სია გავაგრძელოთ. რადგანაც საზოგადოებას მრავალი სფერო გააჩნია და შესაბამისად არსებობენ სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც მათ განაგებენ.

გადასახადების სამინისტრო

შინაგან საქმეთა სამინისტრო

*დიასპორა – ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც თავის ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს

კითხვები და დავალებები

1) რომელ სახელმწიფო ორგანოებს იცნობ?
2) რა მოხდებოდა, სახელმწიფო ორგანოები რომ არ ყოფილიყვნენ?
3) რა შედის მართლწესრიგის დამცველ ორგანოთა ფუნქციაში?
4) სხვადასხვა წყაროებიდან მოიძიე ინფორმაცია აზერბაიჯანის სახელმწიფო ორგანოების შესახებ, სქემა რვეულში გადაიტანე და დაამუშავე:

სახელმწიფო ორგანო	მისი ფუნქცია

9. სახელმწიფო ბიუჯეტი

შენ უკვე ოჯახის ბიუჯეტზე წარმოდგენა გაქვს. იცი, რომ ოჯახის არსებობა მის ბიუჯეტზეა დამოკიდებული. თუ ეს შემოსავალი საჭიროების შესაბამისად სწორად გაიყოფა, მაშინ ოჯახი თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. თუმცა ამასთან ერთად შემოსავლის რაოდენობას ოჯახის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. როცა შემოსავალი მცირეა, ოჯახის ბიუჯეტი ცდილობს, რომ უფრო ხელმომჭირნე იყოს.

საზოგადოებაც ოჯახივითაა. რადგანაც ადამიანების ცხოვრების დონე ქვეყნის შემოსავალზეა დამოკიდებული. სახელმწიფო თავის ბიუჯეტს ამ შემოსავლის მიხედვით აყალიბებს.

ყველა ადამიანს უნდა, კარგად იცხოვროს. ყველას სურს, რომ თავის ჯანმრთელობას გაუფრთხილდეს, განათლება მიიღოს, ნორმალური კვება და წელიწადის ყველა დროის შესაბამისი ტანსაცმელი ჰქონდეს. როცა დაიღლება კარგად დაისვენოს და მის ცხოვრებას არაფერი ემუქრებოდეს. იმისათვის, რომ ხალხის ეს მოთხოვნები დააკმაყოფილოს, სახელმწიფო ბიუჯეტი იქმნება.

როგორ ფორმირდება სახელმწიფო ბიუჯეტი?

ბიუჯეტი ფრანგული სიტყვაა და ჩანთასა და ტყავის გუდას ნიშნავს. ასე, რომ ბიუჯეტი გახლავთ ფინანსური დოკუმენტი, რომელიც სახელმწიფოში არსებული ორგანიზაციებისა და ოჯახების გარკვეული პერიოდის შემოსავლებსა და ხარჯებს ასახავს.

წყაროები, საიდანაც ფორმირდება სახელმწიფო ბიუჯეტი

რომელ ხარჯებს ითვალისწინებს სახელმწიფო მაშინ, როცა სახელმწიფო ბიუჯეტს აყალიბებს?

ის გადასახადები, რომელსაც ქვეყანაში მოქმედი საწარმოები და ადამიანები იხდიან, სახელმწიფო ბიუჯეტში იყრის თავს. გადასახადი არის თანხა, რომელსაც თითოეული ჩვენთაგანი თავისი შემოსავლიდან (ჯამაგირიდან) სახელმწიფოს უხდის. ადამიანს შეიძლება სხვადასხვა საქმიანობის შედეგად ჰქონდეს მოგება (შემოსავალი). ფაბრიკა-ქარხნებში, სკოლაში, თუ მშენებლობაში მუშაობით და სხვა მრავალი მეთოდით შეიძლება ფულის შოვნა.

გადასახადის გადახდა სავალდებულოა. განათლების, მედიცინისა და ხელოვნების განვითარება, შეიარაღებული ძალების შენახვა და ქვეყნის კეთილმოწყობა გადასახადების გადახდასთანაა დაკავშირებული. როცა სახელმწიფო თავის ბიუჯეტს აყალიბებს, მოსახლეობის განათლებისა და ჯანდაცვის ხარჯებს, სტიპენდიებსა და პენსიებს, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის გამოყოფილ თანხებს, სახელმწიფო ორგანოების თანამშრომელთა ხელფასებსა და სხვა მრავალს ითვალისწინებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვის მიმართულებანი

კითხვები და დავალებები

1) რისთვისაა საჭირო სახელმწიფო ბიუჯეტი? რას ნიშნავს სახელმწიფო გადასახადი?
2) რაში მდგომარეობს ოჯახისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მსგავსი და განსხვავებული მხარეები?
3) რის საფუძველზე ფორმირდება სახელმწიფო ბიუჯეტი?
4) რვეულში ჩამოაყალიბე წარმოსახვითი სახელმწიფოს ბიუჯეტი. ამ სახელმწიფოს დაარქვი სახელი, უჩვენე წყაროები, საიდანაც ფორმირდება მისი სახელმწიფო ბიუჯეტი და სფეროების მიხედვით დაყავი.

10. წარმოება და მოხმარება

ნორმალური ცხოვრებისა და სამუშაო პირობების უზრუნველყოფისათვის ადამიანებს პროდუქტების, ტანისამოსის,საყოფაცხოვრებო, სამშენებლო და საოფისე ნივთების,წამლის პრეპარატებისა და სხვა აუცილებელ საშუალებათა მოთხოვნილება გააჩნიათ. ყველაფერი ეს სოფლის მეურნეობის სფეროსა და ფაბრიკა-ქარხნებში იწარმოება. შემდეგ მზა პროდუქტი გასაყიდად ბაზრებსა და მარკეტებში გააქვთ. მას, ვინც პროდუქტს აწარმოებს– მწარმოებელი, ხოლო მას,ვინც ამ პროდუქტს მოიხმარს, მომხმარებელი ეწოდება.

იმისათვის, რომ იცხოვრონ, თავიანთ ჯანმრთელობას მოუფრთხილდნენ და ნორმალურად იშრომონ, ადამიანებს უფლება აქვთ ყველანაირი პროდუქტი იყიდონ.

რას ნიშნავს მომხმარებლის უფლება?

ყველას უნდა, რომ საქონელი, რომელსაც იძენს, ხარისხიანი იყოს. ეს მომხმარებლის უფლებაა. ის, ვინც უხარისხო საქონელს ყიდის, მომხმარებლის უფლებას არღვევს.

ყველას სურს, რომ შეძენილმა პროდუქტმა იგი არ მოწამლოს, ნაყიდი ელექტრო აპარატურის მიზეზით ხანძარი არ გაუჩნდეს.ეს მომხმარებლის უსაფრთხოების უფლებაა.

თუ რომელიმე შეძენილი საქონელი ზიანს მიაყენებს მომხმარებლის ჯანმრთელობას, მაშინ მომხმარებელს უფლება აქვს, მიყენებული ზარალის სანაცვლოდ კომპენსაცია მოითხოვოს.

მყიდველთა მომსახურების დროს დაცული უნდა იყოს განსაკუთრებული წესები. ესეც მომხმარებლის უფლებათაგანია. მოქალაქეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, თუ გამყიდველები რამდენად იცავენ აღნიშნულ წესებს. მაგალითად, ქვემოთ მოცემული წესები ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს და მოითხოვოს მათი შესრულება:

- ვიტრინაზე* გამოტანილი საქონელი მას შემდეგ უნდა გაიყიდოს, რაც მყიდველის მოთხოვნით შემოწმებულ იქნება მისი ხარისხი.
- მალეფუჭდებად პროდუქტებზე მისი დამზადების ზუსტი თარიღი, შენახვისათვის შესაფერისი ტემპერატურა, პირობები და მოხმარების ვადა უნდა იყოს მითითებული.
- ვარგისიანობის ვადა გასული საქონელი ვერ გაიყიდება.

*ვიტრინა – მაღაზიაში შუშით მოპირკეთებული ადგილი, რომელიც გათვალისწინებულია საქონლის დემონსტრირებისათვის.

- სავაჭრო ობიექტმა მომხმარებელს საქონლის მოხმარების წესების, შენახვის ვადის, პირობებისა და უსაფრთხო მოხმარების შესახებ სრული ინფორმაცია უნდა მისცეს.
- მომხმარებლის მიერ შეძენილი და მაღაზიიდან გატანილი ხარისხიანი საქონელი შემდეგში ახლით ვერ შეიცვლება.
- დაუშვებელია მიეყიდოს ასანთი და ქიმიური ნივთიერებების შემცველი საქონელი ბავშვებს, რომლებსაც 15 წელი არ შესრულებია.
- შეძენილი საქონლის საფასურის გადახდისას მყიდველს უნდა წარედგინოს გაყიდული საქონლის სალაროს ქვითარი.
- მოლარემ და მაღაზიის სხვა თანამშრომლებმა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მყიდველისაგან გაყიდული საქონლის საფასური მიიღონ, მათ დაჭმუჭნული და შედარებით დაზიანებული ასიგნაციებიც უნდა გამოართვან.

ჩვენს ქვეყანაში მომხმარებელთა უფლებები „მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონითაა“ დაცული.

წარმოება

მოხმარება

კითხვები და დავალებები

1) რა შედის მომხმარებლის უფლებებში?
2) რა უნდა ვიცოდეთ იმისათვის, რომ მომხმარებლის უფლებები დავიცვათ?
3) როგორ ისჯებიან ისინი, ვინც მომხმარებლის უფლებებს არღვევენ?
4) რომელი უარყოფითი შედეგები შეიძლება ჰქონდეს მომხმარებლის უფლებების დარღვევას, როცა იგი პროდუქტს, საყოფაცხოვრებო ნივთებს, ტანსაცმელს, სათამაშოებს, თუ სხვა ნივთს ყიდულობს? შენი აზრი რვეულში ჩაწერე.

11.დაზღვევის მნიშვნელობა

ადამიანები თავიანთ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ქონებას აზღვევენ.

ადამიანები სადაზღვეო კომპანიის ანგარიშსზე ყოველთვიურად გარკვეულ თანხას რიცხავენ. სადაზღვეო კომპანია კი თავის მხრივ ვალდებულებას იღებს, აანაზღაუროს ზარალი იმ შემთხვევაში თუ მათი ჯანმრთელობა, ან ქონება ზიანს განიცდის. მაგალითად, თუ დაზღვეული მანქამა დაზიანდა, სადაზღვეო კომპანია ვალდებულია იგი შეაკეთოს.

დაზღვევაში ორი მხარე მონაწილეობს: სადაზღეო კომპანია (დამზღვეველი) და ის, ვისაც აზღვევენ (დაზღვეული).

ადამიანებს შეუძლიათ დააზღვეონ არა მხოლოდ ავტომობილი, არამედ მთელი თავიანთი ქონება– სახლი, კარ–მიდამო, ოფისი, ერთი სიტყვით ყველაფერი ის, რაც მათთვის ფასეულობას წარმოადგენს. ისინი ამას მშვიდი ცხოვრებისათვის აკეთებენ. რადგანაც ქონება შეიძლება ხანძრის, წყალდიდობის, მიწისძვრის, ან სხვა მოულოდნელი კატასტროფის დროს დაზიანდეს. ამ დროს მათ დაზღვევა დახმარების ხელს უწვდის. სხვა და სხვა სახის დაზღვევა არსებობს. ერთ–ერთი მათგანი

სახანძრო დაზღვევა

სამედიცინო დაზღვევა

ქონების დაზღვევა

სიცოცხლის დაზღვევა

დაზღვევის რომელი სახეობები არსებობს?

სხვადასხვა სახის დაზღვევა არსებობს. ერთ–ერთი მათგანი სამედიცინო დაზღვევაა. სამედიცინო დაზღვევა უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარების ხარჯების დაფარვას. ქონების ხანძრისაგან დაზღვევა ხანძრის მიერ მოყენებული ზარალის ანაზღაურებას გულისხმობს. ბავშვების სიცოცხლესა და ჯანმრთელობასაც აზღვევენ.

აზერბაიჯანში მრავალი სადაზღვეო კომპანია არსებობს. სადაზღვეო საქმიანობის განვითარებისათვის მთავრობა სათანადო პირობებს ქმნის. ამ მიზნით იქნა მიღებული აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონი „სალაზღვევო საქმიანობის შესახებ“.

დაზღვევა ადამიანების სიმშვიდეს ემსახურება

კითხვები და დავალებები

1) რას ნიშნავს „დაზღვევა“?
2) ვინაა „დამზღვეველი“?
3) დაზღვევის რომელი სახეები არსებობს?
4) რას აღწევენ ადამიანები რაიმეს დაზღვევით?
5) შენ რისი დაზღვევა მიგაჩნია უფრო აუცილებელ საკითხად? რატომ? შენი აზრი დაწერე.

12. მოქალაქეობა

შეიძლება ადამიანი ცხოვრობდეს სახელმწიფოში და იმ სახელმწიფოს მოქალაქე არ იყოს. ანუ რომელიმე ქვეყანაში ცხოვრება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მისი მოქალაქე ხარ. იმისათვის, რომ მოქალაქე იყო, არსებობს გარკვეული პირობები. აზერბაიჯანის მოქალაქეები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ქვემოთ ჩამოთვლილ პირობებს აკმაყოფილებენ:

1. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დაბადებულნი.
2. ისინი, ვისი მშობლებიც, ან ერთ–ერთი მშობელთაგანი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეა.
3. და ის პირები, რომელთაც აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეობა მიიღეს.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეს ეძლევა პირადობის მოწმობა.

ეს არის დოკუმენტი, რომელიც ქვეყნის შიგნით ადასტურებს მოქალაქეობას.

საერთო სამოქალაქო პასპორტი ის დოკუმენტია, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ადასტურებს მოქალაქეობას.

ადვილი მომსახურეობა–აქ განლაგებულია ცენტრები, რომლებიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების მიერ მოქალაქეების მომსახურებას უზრუნველყოფენ.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქის პასპორტი და პირადობის მოწმობა

სკოლაში შენი მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტით მიგიღეს. ამავე დოკუმენტის საფუძველზე აღრიცხვაზე აგიყვანეს ბიბლიოთეკასა და პოლიკლინიკაში. როცა მატარებლისა და თვითმფრინავის ბილეთს იღებ, ამ საბუთს მოგთხოვენ.

რომელი დოკუმენტი ადასტურებს უცხოეთში აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეობას?

დოკუმენტი, რომელიც აზერბაიჯანის საზღვრებს მიღმა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეობას ადასტურებს, არის პასპორტი.

ჩვენს ქვეყანაში ყველა მოქალაქე თანაბარუფლებიანია.

სახელმწიფო იცავს მათ და ქმნის პირობებს, რომ მოქალაქეებმა ამ უფლებებით ისარგებლონ.

თავის მხრივ მოქალაქესაც გააჩნია ვალდებულებანი სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე.

აზერბაიჯანის თითოეულმა მოქალაქემ პატივი უნდა სცეს სახელმწიფო სიმბოლოებს.

იმ მოქალაქეებმა, რომლებიც მუშაობენ და შემოსავალი გააჩნიათ, სახელმწიფოს გადასახადი უნდა გადაუხადონ.

ბიჭები, რომელთაც 18 წელი შეუსრულდათ, სამხედრო სამსახურში უნდა წავიდნენ, რათა სამშობლო დაიცვან.

ისტორიული და კულტურის ძეგლების, აგრეთვე გარემოს დაცვა თითოეული მოქალაქის ვალია.

კითხვები და დავალებები

1) რა არის პირადობის მოწმობა?
2) რით განსხვავდება პასპორტი და პირადობის მოწმობა?
3) ვინ შეიძლება იყოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე?
4) რა უფლება–მოვალეობანი გააჩნია აზერბაიჯანის მოქალაქეს? ამის თაობაზე შენი აზრი რვეულში ჩაწერე.

13. ბავშვთა უფლებების კონვენცია

ბავშვებს, უფროსებისგან განსხვავებით უფრო მეტი მზრუნველობა სჭირდებათ. თუ იცი რატომ?

ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც თავისი ქვეყნის მომავალზე ზრუნავს, ცდილობს ბავშვების ნიჭი და უნარი მთლიანად წარმოაჩინოს. ბავშვის უფლებაა, მშობლებთან ერთად იცხოვროს და მათ გვარს ატარებდეს.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში მითითებულია: „ბავშვებზე ზრუნვა და მათი აღზრდა მშობლების ვალია.“

სახელმწიფო კონტროლს უწევს იმას, თუ ოჯახი და მშობლები როგორ ასრულებს თავის მოვალეობას. იმ შემთხვევაში, თუ მშობლები თავიანთ მოვალეობას არ ასრულებენ, მაშინ სახელმწიფო საქმეში ერევა და ბავშვის ნორმალურ საცხოვრებელ პირობებსა და განათლებას უზრუნველყოფს. თუ ბავშვის უფლებები მშობლების მიერ სერიოზულად ირღვევა, სახელმწიფოს შეუძლია, მათ მშობლობის უფლება ჩამოართვას.

ბავშვები ქვეყნის მომავალია

თუმცა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ვითარება ერთგვაროვანი როდია. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ბავშვები შიმშილით იტანჯებიან. მცირეწლოვან ბაეშვებს აიძულებენ, რომ ფიზიკურ შრომაში ჩაებან, რის გამოც ისინი სწავლას მოწყვეტილნი არიან. ამიტომაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (გაერო) შექმნა ფონდი, რომელიც ბავშვთა საკითხებითაა დაკავებული. ამ ორგანიზაციას UNICEF-ი ეწოდება. UNICEF-ი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ატარებს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ბავშვების ჯანმრთელობისა და განათლების საკითხების გადასაწყვეტად.

რატომ შეუერთდა აზერბაიჯანის სახელმწიფო ბავშვთა უფლებების კონვენციას?

UNICEF–მა განათლების სფეროს განვითარების მიზნით აზერბაიჯანის განათლების სამინისტროსთან ერთად გარკვეული საქმიანობა განახორციელა. მაგალითად:

- „ბავშვების გადარჩენა“;
- „განათლება განვითარებისათვის და ბავშვთა უფლებების კონვენცია“;
- „სკოლა ბავშვის მეგობარია“ და სხვა ამგვარი პროექტები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ სპეციალური დოკუმენტიც კი მოამზადა, რომელსაც „ბავშვების უფლებების შესახებ კონვენცია“ ეწოდება. აღნიშნულ კონვენციაში ნათქვამია, რომ მიუხედავად კანის ფერისა, სქესისა და იმისა, თუ რომელ ოჯახშია დაბადებული, ნებისმიერ ბავშს უფლება აქვს იცხოვროს, განვითარდეს, იყოს დაცული და მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქვეყნები, რომლებიც ბავშთა უფლებების კონვენციას უერთდებიან, იღებენ ვალდებულებას, რომ ბავშვების ამ უფლებებს უზრუნველყოფენ. კონვენციას მსოფლიოს 180–ზე მეტი სახელმწიფო აწერს ხელს. აზერბაიჯანის რესპუბლიკაც მათ შორისაა. იმისათვის, რომ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები შეასრულოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკამ მიიღო კანონი „ბავშთა უფლებების შესახებ“.

მსგავსი ღონისძიებები დროგამოშვებით აზერბაიჯანშიც ტარდება. UNICEF-ი აზერბაიჯანში 1993 წლიდან ფუნქციონირებს.

კითხვები და დავალებები

1) „ბავშთა უფლებების კონვენციის“ მიხედვით ბავშვს რომელი უფლებები გააჩნია?
2) როგორაა დაცული აზერბაიჯანში ბავშვთა უფლებები?
3) რისი მიზეზი შეიძლება გახდეს ბავშვის უფლებების დარღვევა? შენი აზრი რვეულში ჩაიწერე.

14. ყველაფერი დამოკიდებულებიდან იწყება

მინდა შენს ორ თანატოლზე მოგითხრო. მათგან ერთ–ერთი თანატოლებთან შედარებით უფრო ახოვანი და ძლიერი იყო. მაგრამ არავის ენახა ის, რომ იგი ვინმეს გამოქომაგებოდა. კარგად სწავლობდა, თუმცა როცა თანაკლასელები რამეს ჰკითხავდნენ, არ პასუხობდა. პირიქით, მათ დასცინოდა და უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა. ყოყლოჩინობდა, თავი ყველაზე ჭკვიანად და ძლიერად მიაჩნდა. ამიტომაც ბავშვები ცდილობდნენ, რომ მას მორიდებოდნენ.

მეორე კი თანაკლასელებთან შედარებით სუსტი და პატარა იყო. კარგად სწავლობდა და ცდილობდა , მუდამ თანაკლასელების გვერდით ყოფილიყო. მზად იყო, სხვებისადმი მზრუნველობა გამოეჩინა და ყველას დახმარებოდა. უაღრესად ყურადღებიანი იყო. ყოველთვის ეხმარებოდა ამხანაგებს, რომლებსაც ეს სჭირდებოდა. სიძნელის არ ეშინოდა. როცა მასწავლებელი მის შესახებ საუბრობდა, ყოველთვის დასძენდა ხოლმე, „იგი ძალზედ ზრდილობიანია.“

მიღებული აღზრდის შესაბამისად ადამიანი საზოგადოებისათვის შეიძლება სასარგებლო, ანდა ზიანის მომტანი იყოს. ადამიანის აღზრდაში ძირითად როლს ოჯახი, სკოლა, საინფორმაციო საშუალებები და გარემო თამაშობს. ანუ ახლად დაბადებული ბავშვი საურთიერთო გარემოს რომ მოსწყდეს, იგი ან მაუგლის, ანდა ტარზანის ნაირი გაიზრდება. ესეიგი, ადამიანურ ენას ვერ გაიგებს და საზოგადოების უბრალო ქცევის წესები არ ეცოდინება. ასეთი ბავშვი ვერასოდეს ჩამოყალიბდება პიროვნებად.

ისეთი ბავშვებიც არსებობენ, რომლებიც დაუდევრად ეპყრობიან იმას, რაც მათ არ ეკუთნით. მაგალითად უფრთხილდებიან ქოთნის ყვავილებსა და ხეებს, რომლებიც თავისად მიაჩნიათ, მაგრამ თავიანთი სახლ–კარის მიღმა ყვავილებს წყვეტენ და ხის ტოტებს ამტვრევენ.

შენი ზნეობა

ავეჯს, როელიც მათ სახლშია, უფრთხილდებიან, ცდილობენ თავიანთი ბინა სუფთად შეინახონ, მაგრამ საზოგადოებრივ ტრანსპორტში დასაჯდომების ზედსაფარებს ჭრიან და ზედ აფხეჭნიან. მზესუმზირით, ნაყინისა და კამფეტების ქაღალდებით როგორც საზოგადოებრივ ტრაანსპორტს, ასევე ქუჩებსა და პარკებს ანაგვიანებენ. ეს გარემოსადმი არასახარბიელო დამოკიდებულებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სხვა ადამიანების ნივთებსა და მოვლენებისადმი დამოკიდებულება მათში ბოლომდე არაა ფორმირებული. ეს კი ერთობ აუცილებელია იმისათვის,რომ პიროვნებად ჩამოყალიბდე.

თუ შენ მხოლოდ იმ ყვავილებსა და ნივთებზე ზრუნავ, რომლებიც შენს სახლშია და შენ გეკუთნის, გარეთ არსებულით კი არ ინტერესდები, ამით შენსავ თავს აყენებ ზიანს. რადგანაც ბუნებასა და საზოგადოებაში ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. სიმწვანე სიცოცხლეა, სილამაზეა, ამიტომაც უნდა გავუფრთხილდეთ გამწვანებას. თუ შენ ამ წესებს იცავ და ხედავ რომ ირგვლივ მყოფნი ამას არად დაგიდევენ, მაშინ მათაც ამ წესების დაცვისკენ უნდა მოუწოდო. ეს შენი ვალია ოჯახის, საზოგადოებისა და სამშობლოს წინაშე.

როგორი უნდა იყოს პიროვნება?

პიროვნება ის ადამიანია, რომელსაც ადამიანების, მოვლენების, ნივთების, შრომისა და წეს–ჩვეულებებისადმი თავისი დამოკიდებულება და დამოუკიდებელი აზრი გააჩნია.

პიროვნება აქტიური ადამიანია. იგი თავისი მოღვაწეობით სარგებელს აძლევს საზოგადოებას და ავითარებს და ხვეწს თავის თავს.

პიროვნება თავის საქციელს აანალიზებს, ცუდსა და კარგს ერთმანეთისაგან არჩევს. და რასაც ცუდად მიიჩნევს, ცდილობს გამოასწოროს.

პიროვნება გამუდმებით აკონტროლებს თავის თავს: ჩაცმულობას, მეტყველებასა და აზრებს. განუწყვეტლად ცდილობს თავის თავში დადებითი თვისებების აღზრდას. პატივით ეპყრობა თავის თავსა და ირგვლივ მყოფთ.

დაიმახსოვრე, რომ მომავალი თაობების გარემოს ფორმირებაში შენც შეგაქვს წვლილი.

კითხვები და დავალებები

1) რას ნიშნავს დამოუკიდებელი აზრი?
2) რომელი ფაქტორები თამაშობენ როლს ბავშვის აღზრდაში?
3) რომელი თვისებები უნდა გააჩნდეს პიროვნებას?
4) „როგორ შემიძლია გადავიხადო მორალური ვალი ოჯახისა და სამშობლოს წინაშე?“–დაწერე ესე ამ სახელწოდებით.

15. ურთიერთგაგება

სალიმი ლამაზად ხატავს. გაკვეთილების შემდეგ ეზოში სკამზე მოხერხებულად ჩამოჯდომა უყვარს. ბავშვები, რომლებიც ამ დროს ეზოში არიან, გარს ეხვევიან და ყურადღებით აკვირდებიან მის მუშაობას. ერთ დღეს სალიმი კვლავ ხატავდა, ბავშვები კი უყურებდნენ. მეზობელი გოგონა სონაც მათ შორის იყო. იგი სალიმის ნახატით ისე იყო მოხიბლული, რომ თავდავიწყებით შეჰყურებდა. ნაყინი კი, რომელიც ხელთ ეკავა ნელ–ნელა დნებოდა. უეცრად ნაყინს ერთი წვეთი მოსწყდა, სალიმის ახალ ნახატს დაეცა და დასვარა.

სალიმმა სონას განრისხებულმა შეხედა და:– შენ ეს განგებ ქენი!–ო, მიახალა.

სონა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. – არ მინდოდა, უნებლიედ მომივიდა, სალიმ, მაპატიეო,– მიუგო.

მაგრამ სალიმი როდი დამშვიდდა. ბრაზმორეულმა ჩაიბუზღუნა– სურათი დამითხვარე, ამდენი შრომა წყალში ჩამიყარე!

სონამ კვლავ მოიბოდიშა,– განგებ არ მიქნია.

სალიმმა– შენ შურიანი ხარ!–ო, უთხრა და გაბრაზებულმა განზე გაიხედა.

ბავშვები იცინოდნენ. სონას თვალები აევსო ცრემლებით და ტირილი მოერია. იქაურობას სასწრაფოდ მოსცილდა. შინ დაბრუნდა. მშობლები სამსახურში იყვნენ. შინ მხოლოდ ბებია დახვდა. ბებიამ შვილიშვილი აღელვებული ნახა და შეწუხებულმა ჰკითხა:

–რა მოგივიდა, შვილო?

სონამ ამბავი ბებიას უამბო. ბებიამ იგი დაამშვიდა:

– დაწყნარდი, ჩემო გოგო, ასეთი რამ ყველას შეიძლება გადახდეს. შენს გამო მას ნახატი გაუფუჭდა. თუმცა ცხადია, შენ ეს განგებ არ ჩაგიდენია.ამიტომაც სწორად მოქცეულხარ, რომ ბოდიში მოგიხდია. დაწყნარდი, ხელ–პირი დაიბანე, საჭმელი ჭამე და გაკვეთილები მოამზადე. სალიმიც თავის შეცდომას მიხვდება და სინდისი შეაწუხებს.

ამ ამბის შემდეგ სონა სალიმს აღარ გაჰკარებია. ერთი კვირის თავზე როცა სკოლიდან ბრუნდებოდა, გზად სელიმის პაპა შემოეყარა. პაპა თავს ცუდად გრძნობდა და სახლის წინ ხეს მიყრდნობოდა. სონა მიუახლოვდა და ჰკითხა:

–პაპავ, რა მოგივიდათ?

შენი ზნეობა



პაპამ გაჭირვებით უპასუხა:

–რაღაც გულზე მჩხვლეტს, შვილო, გაიქეცი, ჩვენებს შეატყობინე.

სონა გულამოვარდნილი გაიქცა მეხუთე სართულისაკენ. ქანცგაწყვეტილმა თითი ზარის ღილაკს დააჭირა. კარი სელიმის დედამ გაუღო. სონამ ამბავი მას უთხრა. პაპა სასწრაფო დახმარების მანქანით სავადმყოფოში წაიყვანეს. როცა საღამოს სალიმის მშობლები პაპის მდგომრეობის შესახებ ლაპარაკობდნენ, სიტყვა სონაზეც ჩამოვარდა. მისმა მშობლებმა კეთილი საქციელისათვის სონა შეაქეს. ეს რომ მოისმინა, სელიმს თავისი საქციელი გაახსენდა და შერცხვა.

როცა მეორე დღეს სონა ეზოში ჩავიდა, სელიმი მასთან მივიდა და უთხრა:

–სონა, ბოდიშს გიხდი, მაპატიე.

სონას ბებიას სიტყვები გაახსენდა: „სელიმიც უთუოდ თავის შეცდომას მიხვდება და სინდისის ქენჯნას იგრძნობს“. სონამ ჩაიცინა, სელიმს ხელი გაუწოდა და მიუგო:

–არაუშავს, მიპატიებია. ისინი შერიგდნენ. იმ დღიდან, როცა სელიმი ხატავდა, სონა კვლავ მიდიოდა და უყურებდა. სელიმი კი ყველა თავის ნახატს სონას უჩვენებდა. ბებია კი სონას ეუბნებოდა: თქვენ უკვე გამოცდილი მეგობრები ხართ. ის შემთხვევა სელიმისთვის კარგი მაგალითი გამოდგა, იგი თავის შეცდომას მიხვდა და დასკვნა გამოიტანა. ახლა სელიმი ცდილობს, რომ მეგობრებთან ურთიერთობისას მომთმენი იყოს და მათ ყველა წვრილმანისათვის არ აწყენინოს.

გარე სამყაროს შეცნობასა და ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებაში თქვენ დაგროვილი გამოცდილება და ცოდნა გეხმარებათ. ზოგიერთ რამეს კი ადამიანი შეცდომებზე სწავლობს. ურთიერთგაგება თავისი შეცდომის აღიარებას, ბოდიშის მოხდასა და ამ ბოდიშის წრფელი გულით მიღებას გულისხმობს. ამის შესახებაა ნათქვამი, რომ ბრძენი სხვის შეცდომებზე, ჭკვიანი კი თავის შეცდომებზე სწავლობს–ო.

კითხვები და დავალებები

1) მოთხრობაში აღწერილ ამბავს სხვაგან თუშეხვედრიხარ? ასეთ შემთხვევაში როგორ მოქცეულხარ?
2) რას ფიქრობ იმ ბავშვებზე, რომლებიც სონასა და სელიმის გარშემო იყვნენ?
3) როგორ განმარტავ გამოთქმას „გამოცდილი მეგობრობა“.
4) მეგობარი გეძახის ითამაშოთ ის, რაც ძლიერ გიყვარს, შენ კი ჯერ გაკვეთილები არ მოგიმზადებია. როგორ ეტყვი უარს, ისე რომ უხეშობა არ გამოიჩინო? რასაც ამის თაობაზე ფიქრობ , რვეულში ჩაწერე.

16. ყოფა–ქცევის წესები

ყველა ადამიანი, ვისაც თავისი ხალხი უყვარს, მის წეს–ჩვეულებებსაც პატივს სცემს. აზერბაიჯანელები ადამიანების ზნე–ჩვეულებას უაღრესად დიდ პეტივს სცემენ. ზნეობრივ ადამიანს ყოველთვის მოწიწებით ეპყრობიან.

ყოველმა ადამიანმა მეჯლისში, რომელშიც მონაწილეობს, ბევრი არ უნდა ილაპარაკოს და სხვას სიტყვა არ უნდა გააწყვეტინოს. რომც იცოდეს ამბავი, რომელსაც ყვებიან, მთხრობელს ხელი არ უნდა შეუშალოს და ბოლომდე მოთმინებით უნდა მოუსმინოს.

ნებისმიერი შეკითხვის პასუხი რომც არ მოეწონოს, მოპასუხეს დაცინვით არ უნდა მოპყრას.

თუ მის სიახლოვეს ორნი საუბრობენ, საუბარში არ უნდა ჩაერიოს, მათ მალულად არ უნდა მოუსმინოს და თუ მოსაუბრენი არ სთხოვენ, აზრი არ უნდა გამოთქვას.

საუბრისას მოკლე, ლაკონური წინადადებები უნდა გამოიყენოს. აზრი, რომლის თქმასაც აპირებს, სანამ თავისთვის არ ჩამოაყალიბებს, არ უნდა თქვას.

მისი მისამართით ნათქვამს ბოლომდე უნდა მოუსმინოს და მხოლოდ მერე უპასუხოს.

ადამიანმა უცენზურო სიტყვები არ უნდა იხმაროს და ენა ბილწსიტყვაობას არ უნდა მიაჩვიოს, ესეც ზნეობის წესთაგანია.

ზრდილობიანი ადამიანი ნებისმიერ საზოგადოებაში ახერხებს კულტულურ საუბარს. საუბრისას თავაზიანია და არ ჭორაობს*.



ლაპარაკისას ხელებს არ იქნევს. ასეთი რამ მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როცა ამას თავად მონათხრობი მოითხოვს, ისიც ეთიკურ ჩარჩოებში.

ის, ვინც თავისი ფასი იცის, ჭორს, შარსა და ტყუილს უნდა მოერიდოს და ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა არ უნდა დაამყაროს.

საუბრისას თითების ტკაცუნი, თმებისა და მხრების თამაშიც ეწინააღმდეგება ზნეობრივ წესებს.

ტრანსპორტში შემთხვევით თუ ვინმეს შეეხები, მაშინვე ბოდიში უნდა მოუხადო.

თუ ვინმეს ნივთის აღება გსურს, უთუოდ ნებართვა უნდა სთხოვო.

***ჭორი** – ვინმეს ზურგსუკან აუგის ლაპარაკი

შენი ზნეობა

რატომაა აუცილებელი, რომ ზნეობის წესები დავიცვათ?

ადამიანი, რომელიც ზნეობის წესებს არ იცავს, არავის უყვარს, იგი ხშრად სადაო სიტუაციებში ხვდება. გარშემომყოფნი ცდილობენ, ასეთ ადამიანებს განერიდონ, მათ საპატიო წვეულებებზე არ იწვევენ. ამიტომაც, ზნეობრივი ადმიანი უპირველეს ყოვლისა თავის თავს სცემს პატივს. ასეთ ადამიანებს ირგვლივმყოფნიც პატივით ეპყრობიან, რჩევა–დარიგებას სთხოვენ და მათ აზრებს დიდად აფასებენ.

ზნეობრივი წესები საზოგადოების კულტურული დონის გამოხატულებაა.

კითხვები და დავალებები

1) რატომ სცემენ პატივს ზნეობრივ ადამიანს?
2) „ზნეობრივი ადამიანი უპირველეს ყოვლისა თავის თავს სცემს პატივს.“– ამ აზრს როგორ განმარტავ?
3) ეს სქემა რვეულში გადაიტანე და დაამუშავე:

ზნეობრივი ადამიანი	
რას შვრება?	**რას არ შვრება?**

4)დაწერე ესე სათაურით– „ურთიერთობის კულტურა წარმატების გასაღებია“.

17.პასუხისმგებლობის გრძნობა

ერთ ამბავს მოგიყვები. იგი გადახდა ბავშვს, რომელსაც სურდა უფროსებს დახმარებოდა. მას ყოველდღე ნაგავი გაჰქონდა გადასაყრელად. ნაგვის ყუთი სახლისგან მოშორებით იყო. რამოდენიმე შემთხვევის შემდეგ მას ნაგვის ყუთამდე მიტანა დაეზარა და როგორც კი თვალს მოეფარა, ნაგავი გვერდით მიაგდო და შინ მობრუნდა. იმ დროიდან მოყოლებული ბიჭი ნაგავს ნახევარ გზაზე ყრიდა და უკან ბრუნდებოდა.

ერთ დღეს ბიჭის დედამ დაიჩივლა, რომ ბუზები ძლიერ მომრავლდნენ. მეზობლებიც უჩიოდნენ მყრალ სუნსა და ბუზების მომრავლებას. ბოლოს იძულებულნი გახდნენ და იმ ორგანიზაციას შეატყობინეს, რომელსაც ეს ეხებოდა.

შემოწმების დროს ნათელი გახდა, რომ ცუდი სუნისა და ბუზების მომრავლების მიზეზი უკვე რამდენი ხანია მოფარებულ ადგილას დაყრილი ნაგავია. ყველა დამნაშავეს ეძებდა. ბიჭი კი ხვდებოდა, რომ ყველაფერი მისი ბრალია და ამის გამო სინდისის ქენჯნას განიცდიდა.მან კარგად იცოდა, რომ გარემოს დაბინძურება დაუშვებელია. მას რომ სიზარმაცე არ გამოეჩინა, ნაგავი სანაგვემდე მიეტანა, გარემოს არ დააბინძურებდა და ადამიანებს ამდენ ზიანს არ მიაყენებდა.

ბავშვმა თავისი დანაშაული დედასთან აღიარა. დედამ მის ამ საქციელს უპასუხისმგებლობა უწოდა. მან უთხრა, რომ ასეთი საქციელი ბოლო ჯამში ზიანს აყენებს თავად მას და გარეშემო მყოფთ. ამიტომაც ადამიანი თავის ნებისმიერ საქციელზე პასუხისმგებელი უნდა იყოს.

რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ ბავშვებსა და მშობლებს?

ადამიანს, რომელსაც პასუხისმგებლობის გრძნობა გააჩნია, მიაჩნია, რომ მისთვის დაკისრებული ნებისმიერი საქმის განხორციელება მისი ვალია. იგი ცდილობს, რომ მისი საქციელის გამო არავინ განიცადოს ზიანი.

მშობლები პასუხისმგებელნი არიან, რომ ბავშვმა ნორმალურ პირობებში იცხოვროს, ჯანმრთელი იყოს და სათანადო განათლება და აღზრდა მიიღოს. საზოგადოებაში ყველა ადამიანი პასუხისმგებელია თავისი ოჯახისა და სამშობლოს წინაშე. ამიტომაც ყველა უნდა აკეთებდეს იმას, რაც ხელეწიფება. მშობლის ვალია, კარგი შვილი გამოზარდოს. მასწავლებლის ვალია, კარგი გაკვეთილი ჩაატაროს. მასწავლებელმა არ უნდა დაუშვას, რომ მისი უნიათობის გამო მოსწავლეები დაზარალდნენ. ექიმი ვალდებულია ავადმყოფი კარგად განკურნოს. მან ერთი წამითაც არ უნდა დაივიწყოს, რომ პასუხს აგებს ადამიანის სიცოცხლის გამო. ასევე, მშენებელი ინჟინრიდან დაწყებული მკერავითა და დალაქით დამთავრებული, ყველა უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას. პასუხისმგებლობის გრძნობა სხვაზე უფრო მეტად თავად ადამიანისთვისაა სასარგებლო. რადგანაც უპასუხისმგებლო ადამიანს არავინ ენდობა. ადამიანების ნდობის მოპოვების გარეშე კი საზოგადოებაში ცხოვრება ძნელია.

შენი ზნეობა

თუ არ გინდა, რომ შენს ირგვლივ მყოფთა ნდობა დაკარგო, პასუხისმგებლობის გრძნობა არ დაივიწყო!

თუ არ გინდა ირგვლივმყოფ ადამიანთა ნდობა დაკარგო, პასუხისმგებლობის გრძნობა არ დაივიწყო.

კითხვები და დავალებები

1) რას და ვის მიაყენა ზიანი ბიჭმა თავისი უპასუხისმგებლო საქციელით?
2) შენ, როგორც მოსწავლე, ვის წინაშე ხარ პასუხისმგებელი?
3) რა კავშირს ხედავ პროფესიის არჩევისას პასუხისმგებლობასა და სამშობლოს წინაშე ვალს შორის?
4) დაწერე ესე სახელწოდებით- „რომელ საქციელზე ვაგებ პასუხს?“

18. თავგანწირვა

რა შეგიძლია ჩაიდინო მეგობრის, მშობლის, ან სამშობლოს გამო? შეგიძლია, მეგობარს უანგაროდ დაეხმარო რომელიმე საქმეში?

მეგობრებს შორის ეს ჩვეულებრივი ამბავია. დრო თუ დაგიხარჯავს მეგობრისთვის? მიუხედავად იმისა, რომ „დრო ოქროა-ო“ ვამბობთ, ეს მაინც მსხვერპლგაღება არაა. დრო რომ სწორად გაანაწილო, შენც გეყოფა და მეგობრებისთვისაც მოიცლი. ამიტომაც შენს საქციელს მსხვერპლგაღებას ვერ უწოდებ, ეს უბრალოდ კეთილგონიერებაა.

ქველმოქმედი ადამიანები თავიანთი ფულით სკოლას და სავადმყოფოს აშენებენ, სხვების განათლებას, მკურნალობასა და დახმარებას აუარებელ თანხას ახარჯავენ. ქონება და სიმდიდრე როგორი ძნელად შეელევადიც არ უნდა იყოს, ვერც ამას ვუწოდებთ მსხერპლგაღებას. ესეც ქეთილმოქმედება და გულუხვობაა. დახარჯულის მაგიერ მერე შეიძლება მასზე უფრო მეტი თანხა იშოვო.

თავგანწირვა, უპირველეს ყოვლისა, მსხვერპლგაღებას ნიშნავს. ეს ის შემთხვევაა, როცა სხვების გულისათვის, ან სამშობლოს დასაცავად თავს სწირავ.

აზერბაიჯანის ეროვნულმა გმირმა მუბარიზ იბლაჰიმოვმა დაამტკიცა, რომ აზერბაიჯამელი ჯარისკაცი გულადია და მზადაა ნებისმიერ დროს თავი გასწიროს სამშობლოსათვის. იგი მამულისათვის თავდადებული გმირია. ის, რომ თავისი ხალხი და სამშობლო სულზე მეტად უყვარს, საქმით დაამტკიცა და მთელ მსოფლიოს უჩვენა. მუბარიზის გმირობამ აზერბაიჯანელი ხალხი სიამაყის გრძნობით აღავსო. რადგანაც მან სამშობლოსათვის არ დაიშურა სიცოცხლე, რომელიც ადამიანისათვის ყველაფერზე ძვირფასია.



თავგანწირულთა პანთეონი

აზერბაიჯანს მუბარიზისთანა ათასობით შვილი ჰყავს. სიცოცხლე ტკბილია. ვინც სამშობლოსათვის თავს სწირავს,

მას სამშობლო სულზე მეტად უყვარს. ესეიგი თავგანწირვის საფუძველს ერისა და სამშობლოს წინაშე უდიდესი სიყვარულის გრძნობა წარმოადგენს.

რას მოიპოვებს ადამიანი, რომელიც სამშობლოსათვის თავს სწირავს? ადამიანი, რომელიც სამშობლოსათვის თავს სწირავს, თავის სახელს მის ისტორიაში სამარადისოდ აღბეჭდავს. იგი ასახელებს თავის მშობლებს, დამმებს, ნათესავებს, მეგობრებსა და საბოლაო ჯამში მთელ თავის ხალხს. ყველა თავს იხრის მისი ხსოვნის წინაშე. ნათქვამია: „ვაჟკაცი მოკვდება და სახელი დარჩებაო“ . სანამ სამშობლო არსებობს, მისი სახელიც იარსებებს, ანუ მისი სახელიც სამშობლოს სახელივით უკვდავია.

აზერბაიჯანის ეროვნული გმირი
მუბარიზ იბრაჰიმოვი

რა უნდა გააკეთო ამისათვის?

ვიდრე ხალხს ჰყავს მუბარიზისთანა შვილები, რომლებიც მზად არიან თავი გასწირონ ყველაზე სანუკვარი და წმინდა ფასეულებებისათვის, იმ ხალხს შეუძლია მომავალს იმედით შეჰყურებდეს.

შენ უნდა ამაყობდე იმით, რომ ასეთ ხალხს ეკუთვნი და უნდა ცდილობდე, რომ მისი ღირსეული შვილი იყო.

კითხვები და დავალებები

1) რა საერთო და განსხვავებული თვისებები გააჩნიათ თავგანწირვასა და ქველმოქმედებას?.
2) კიდევ ვის იცნობ ჩვენს ეროვნულ გმირთაგან?
3) რა მორალური ვალი გაკისრია გმირების წინაშე?
4) მასწავლებლის დახმარებით ამოარჩიე და წაიკითხე ერთი ნაწყვეტი მწერალ მუსთაფა ჩემენლის ნაწარმოებიდან-„მუბარიზი“.

19. როგორ წარმოიშვა ისლამური რელიგია?

ისლამის მოციქული მისი უწმინდესობა მუჰამედი 570 წელს ქალაქ მექაში დაიბადა. სანამ ქვეყანას მოევლინებოდა– მამა, ხოლო 7 წლის ასაკში დედა დაკარგა. დედის გარდაცვალების შემდეგ ბავშვის აღზრდას პაპა აბდულმუთალიბი შეუდგა. ერთი წლის შემდეგ პაპამ პატარა მუჰამედი ბიძას აბუ თალიბს გადააბარა და გარდაიცვალა.

როცა 12 წელი შეუსრულდა მუჰამედი ბიძა აბუ თალიბთან ერთად საქარავნო გზას გაუდგა. იმ პერიოდში, როცა ბიძასთან ერთად მუშაობდა, მუჰამედი ვაჭრობის საიდუმლოებებს გაეცნო.

25 წლისამ იქორწინა მდიდარ ქალზე, რომელსაც ხადიჯა ერქვა. მუჰამედსა და ხადიჯას 4 ქალიშვილი და 2 ვაჟი შეეძინათ. ბიჭები მცირე ასაკშივე გარდაიცვალნენ. გოგოები კი წამოიზარდნენ. ერთ-ერთი მათგანი- ფატიმა მოციქულის უსაყვარლესი შვილიშვილების ჰასანისა და ჰუსეინის დედა გახლავთ.

ყოველწლიურად რამაზანის თვეში მუჰამედი ჰირას მთაზე გამოქვაბულში განმარტოვდებოდა და იქ ფიქრს მიეცემოდა ხოლმე. მას შემდეგ, რაც 40 წელი შეუსრულდა, გამოქვაბულში ხმა შემოესმა. ამ ხმამ მას უთხრა- „წაიკითხე“. მუჰამედი გაოცდა. ამავე ხმამ შემდეგ უთხრა- „მუჰამედ, შენ ღვთის მოციქული ხარ“.

რა იცი ისლამის მოციქულის პიროვნების შესახებ?

მისი უწმინდესობა მუჰამედი უაღრესად სადა პიროვნება იყო. მან ჩვეულებრივი ადამიანებივით ოჯახი შექმნა, მერე კი როგორც ყველა შრომობდა სარჩოს შოულობდა და ოჯახს არჩენდა.

მუჰამედი ადამიანურ ღირსებას ყველაფერზე მაღლა აყენებდა. იგი ყველა თავის განზრახვას ასჯერ ზომავდა და მხოლოდ მერე დგამდა ნაბიჯს. ყოველთვის ერიდებოდა ადამიანთა გულის ტკენას.

არავის აწყენინებდა და ცუდ-უბრალოდ არ გარჯიდა. სჯეროდა, რომ ის, რაც მას ეხება, ადამიანმა თავად უნდა გააკეთოს. გაცვეთილ ტანისამოსს თავად იკერავდა, ფეხსაცმელებსაც თავად იწმენდდა. დიდ ყურადღებას აქცევდა იმას, რომ მოწესრიგებულად ყოფილიყო ჩაცმული, ტანსაცმელსაც თავად ირეცხავდა. კვებისას მცირედით კმაყოფილდებოდა და რაც შემორჩებოდა, უპოვართ უწილადებდა. სუფრაზე ყველაზე ცოტას ჭამდა, რათა დანარჩენები კარგად დანაყრებულიყვნენ. ქალებსა და ბავშვებს მოკრძალებით ეპყრობოდა, მათ მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა.

მუჰამედი თავის ყველა მომხრეს ისე ეპყრობოდა როგორც თანასწორს. ერთხელ ბრძოლის მეთაურობა მონასაც კი დაავალა, რომელსაც ზეიდი ერქვა. როცა არაბებმა იუკადრისეს და თქვეს, რომ „ეგღა გვაკლდა მონამ გვიხელმძღვანელოს–ო“, მუჰამედმა მიუგო მათ:

„ღვთის წინაშე ყველა მუსლიმანი თანასწორია. იმისათვის, რომ ღვთისმოსავი მუსლიმანი იყო, ავლა-დიდება საჭირო არაა. ზეიდი ისეთივე მუსლიმანია, როგორც თქვენ“.

მუჰამედი აგრეთვე სხვა რელიგიებისადმი პატივისცემასაც ქადაგებდა. იგი თავის მომხრეებს ყოველთვის მოუწოდებდა: „პატივი ეცით სხვა რელიგიებს.“

„ცოდნა მოიმარაგეთ!“- იგი ამ სიტყვებით თავის მიმდევრებს უფრო მეტი ცოდნისაკენ მოუწოდებდა, „ „ცოდნა გასაჭირში დაგეხმარებათ და უკუნს გაანათებს. გასაჭირში თქვენი ყველაზე საიმედო მეგობარი იქნება, მარტოობისას კი საყრდენად გამოგადგებათ“.

ჯერ ხადიჯამ, შემდეგ მისმა ბიძაშვილმა ალიმ და ახლო მეგობარმა აბუ ბაქრიმ, ბოლოს კი მოციქულის ბიძებმა ჰამზამ და აბბასმა ისლამი აღიარეს. თუმცა თემის ყველა წევრმა როდი სცნო მუჰამედის სარწმუნოება. ისინი გაერთიანდნენ და მუჰამედისა და მისი მიმდევრების შევიწროებას მიჰყეს ხელი. მოგვიანებით თანათემელებმა თავი ანებეს მათ შევიწროებას. ისლამური რელიგია განმტკიცდა. ისლამი არაბეთის მთელ ტერიტორიას მოედო და ირგვლივ მყოფ ქვეყნებშიც გავრცელდა.

კითხვები და დავალებები

1) ვინ ზრდიდა მუჰამედს?
2) რამდენი წლისას ზეგარდმოევლინა მუჰამედს მოციქულობის მისია?
3) მუჰამედის მიერ მოტანილი სარწმუნოება პირველად ვინ აღიარა?
4) დაწერე ესე სახელწოდებით- „ისლამის მოციქულის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

20. ისლამური რელიგიის გავრცელება

აბუ ბაქირი მისი უწმინდესობის მუჰამედის ახლო მეგობარი იყო. მექელებს შორის აბუ ბაქირი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. იგი ძალზედ მდიდარი ვაჭარი გახლდათ. როცა მისმა უწმიდესობამ მუჰამედმა მას ისლამის აღიარება შესთავაზა, მან უყოყმანოდ მიიღო ისლამი. იმით, რომ აბუ ბაქირმა ისლამი აღიარა, მუჰამედმა დიდი საყრდენი მოიპოვა.

მოციქულის გარდაცვალების შემდაგ მუსლიმანურ სათემოს ხალიფები* მართავდნენ. პირველი ოთხი ხალიფას პერიოდში- აბუ ბაქირი, ომარი, ოსმანი და ალი- სწრაფად იზრდებოდა მუსლიმანების რიცხვი. ისლამური სარწმუნოება არაბეთის საზღვრებს გარეთაც გაფართოვდა. ომარის ხელისუფლების დროს ისლამი ირანში, ერაყში, სირიასა და ეგვიპტეში გავრცელდა.

ოსმანის მმართველობის პერიოდში მთელი ჩრდილოეთ აფრიკა, კავკასია და ირანი მუსლიმანური იმპერიის* შემადგენლობაში შევიდა.

ისლამის მოციქულის ბიძაშვილი ალი მეოთხე ხალიფა გახლდათ. იგი მოციქულის ყველაზე ახლო თანამებრძოლი იყო. ალი მუჰამედის ქალიშვილ ფატიმასთან იყო შეუღლებული.

რომელი სულიერი ფასეულობები არსებობსისლამურ რელიგიაში?

ისლამის მოციქული მისი უწმინდესობა მუჰამედი ამბობდა:

„ადამიანის სარწმუნოება მისი ჭკუაა, ვისაც ჭკუა არ გააჩნია, არც სარწმუნოება აქვს.“.

„თავის დამცირებით მოპოვება იმისა, რაც გჭირდება, უფრო უარესია, ვინემ ის, რომ იგი ვერ მოიპოვო.“.

„სხვათა ნაკლის თქმას, სჯობს შენი ნაკლი დაინახო და მიხვდე“.

მოციქული მუჰამედის ბრძნული გამონათქვამები მუსლიმანებს მარად სამართლიანობისაკენ, პირმართლობისაკენ, შურისა და ღვარძლისაგან განრიდებისა და კეთილისმყოფელობისაკენ მოუწოდებს.



ქალაქი მედინა

ქალაქი მექა

*ხალიფა – სრულიად მუსლიმანთა და არაბული სახელმწიფოს მეთაური

*იმპერია – დიდი სახელმწიფო, რომელიც მრავალ ხალხსა და ქვეყანას მოიცავს

მუსლიმანები

ყურანის აიები

ისლამის მოციქული ამბობდა, რომ „ამაოა ლოცვა იმისა, ვისი საქმენიც სწორი და სამართლიანი არაა“. „მრავალი ადამიანია ისეთი, რომელთა საქმეებიც სწორი არაა და ის, რასაც ისინი ლოცვისაგან მოიპოვებენ, მხოლოდღა უძილო ღამეებია, და მრავალია ისეთი, რომელიც თავისი მრუდი საქმეების გამო მარხულობის შედეგად მხოლოდ შიმშილსა და უწყლობას მოიპოვებს.“

აზერბაიჯანში ისლამის მიმდევრები უმრავლესობას წარმოადგენენ. ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც სხვა რელიგიებს აღიარებენ. აზერბაიჯანელი ხალხი ამგავარ მორალურ ფასეულობებს საუკუნეების მანძილზე თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმანები სხვა რელიგიის მიმდევართ რიცხვობრივად ბევრად აღემატებიან, მათ არასოდეს ავიწროებენ , პირიქით, სხვათა სულიერ ფასეულობებს ყოველთვის დიდი პატივით ეპყრობიან. რადგანაც ის, რაც ისლამში უწმინდეს ფასეულობებადაა მიჩნეული, იუდაიზმსა და ქრისტიანობაშიც გვხვდება. ადამიანები, რომლებიც თავიანთ ცხოვრებას ასეთ ფასეულობებზე აგებენ, მაღალი სულიერების მატარებელნი არიან. საზოგადოებაში, სადაც ასეთი ადამიანები ცხოვრობენ, ყველა მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და სამართლიანობისაკენ მიილტვის.

ისლამური რელიგია ტერორის წინააღმდეგია. ის, ვინც თავს ისლამის ტერორისტად ასაღებს და უდანაშაულო ადამიანებს კლავს, ყველაზე დიდ ზიანს სწორედ ისლამურ სამყაროს აყენებს. რადგანაც ეს გავლენას ახდენს ისლამისადმი იმ ადამიანების დამოკიდებულებაზე, რომლებიც სხვა რელიგიებს მისდევენ. სინამდვილეში ისლამი ადამიანებს მშვიდობისა და თაასწორობისაკენ მოუწოდებს. ამიტომაც ნებისმიერი რელიგიის მიმდევარი უნდა შეეცადოს, რომ არ დაუშვას ისეთი საქციელი, რომელიც მილიონობით ადამიანის მიერ აღიარებულ სულიერ ფასეულობებს შელახავს.

კითხვები და დავალებები

1) ვინ იყვნენ ხალიფები?
2) ვინ იყო პირველი ხალიფა?
3) რომელი ხალიფების მმართველობის პერიოდში გავრცელდა ისლამური რელიგია უფრო ფართო ტერიტორიებზე?
4) რვეულში ჩაწერე იმ მუსლიმანი პიროვნებების სახელები, რომლებსაც იცნობ.

21. რა არის ცრუმორწმუნეობა?

ზოგჯერ ადამიანები რელიგიასა და ცრუმორწმუნეობას ერთმანეთში ურევენ. რა არის ცრუმორწმუნეობა? ცრუმორწმუნეობაა როცა ადამიანს მკითხაობისა და ჯადოქრობისა სჯერა. ცრუმორწმუნეებს სჯერათ, რომ 13 რიცხვი წარუმატებლობის, შავი ფერი კი უბადურების მომტანია. მათ სწამთ, რომ თუ დილით მარცხენა ფეხზე ადგები, ან გზად მიმავალს წინ კატა გადაგირბენს, აუცილებლად წარუმატებელი დღე გექნება.

როგორია ცრუმორწმუნეობისადმი დამოკიდებულება ისლამში?

ისლამის მოციქული ყოველთვის ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგი იყო. მას ამის თაობაზე ბრძნული გამონათქვამები გააჩნია. მოციქული ამბობდა: „ეჭვგარეშეა, რომ უაზრო სიტყვებით ჯადოქრობა, ავი თვალისაგან დაცვის მიზნით ბავშვების ტანისამოსზე რაღაცეების დაკერება და სხვათა სიყვარულის მოპოვებისათვის შელოცვების შეკოწიწება ღვთისადმი უპატივისცემლობაა.“

ისლამის დიდი წარმომადგენლები თავიანთ ცხოვრებაში ყოველთვის ამგვარი გამონათქვამებით ხელმძღვანელობდნენ. მან, ვისაც თავი ჭეშმარიტ მუსლიმანად მიაჩნია, მათ მაგალითს უნდა მიბაძოს. ცრუმორწმუნეობა ადამიანებს მხოლოდ ზიანს აყენებს. ამიტომაც ცრუმორწმუნეობას უნდა მოვერიდოთ. ცრუმორწმუნეობის გავრცელება რელიგიის წინააღმდებ მიმართული საქციელია.

როგორ აზარალებს ცრუმორწმუნეობა ადამიანების ცხოვრებას?

მაშინ, როცა თანამედროვე მედიცინა ეგზომ განვითარებულია, ცრუმორწმუნეები სნეულთა განკურნების მიზნით არა ექიმს, არამედ მოლას მიმართავენ. იმის მაგიერ, რომ ავადმყოფი ექიმთან მიიყვანონ, სალოცავებში დაჰყავთ.

აზერბაიჯანელ მოღვაწეს აბდულა შაიგს ეკუთნის მოთხრობა „სალოცავის ძალა“, რომელიც ცრუმორწმუნეობას ეხება. ამ მოთხრობაში ლაპარაკია ამბავზე, რომელიც ერთ ახალგაზრდას გადახდა. ცრურწმენის გამო იგი სალოცავს მიმართავს, ღამესაც იქ გაათევს და ამის სამაგიეროდ სალოცავს სნეულებისაგან განკურნებას სთხოვს. მაგრამ ყველაფერი პირიქით ხდება. იმის გამო, რომ ღამეს სალოცავის სიახლოვეს ღია ცის ქვეშ გაათევს , იგი უფრო მეტად გაცივდება. უფრო მეტიც, სიბნელეში ბურუსით მოცულ შემაძრწუნებელ გარემოში მაგრად შეშინდება კიდეც. ყოველივე ამის შედეგად, იმის მაგიერ, რომ განიკურნოს, უკიდურესად დასნეულდება და კვდება. ...

შენი ზნეობა

დიდი აზერბაიჯანელი მოღვაწის ჯალილ მამედყულიზადეს სატირული ჟურნალი „მოლა ნასრედინი“, რომლის გამოცემასაც იგი 1906 წელს შეუდგა, დაუღალავად იბრძოდა მუსლიმანებში გავრცელებული ცრუმორწმუნეობისა და უმეცრობის წინააღმდეგ. რადგანაც ცრუმორწმუნეობა მათ ყოფაში დიდ დაბრკოლებად ქცეულიყო და გაუნათლებლობასა და ჩამორჩენილობას უწყობდა ხელს.

ცრუმორწმუნეები, რომლებიც წარსულში ქალების განათლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ, იმის გამო, რომ ქალთა სკოლა გახსნა, ჰაჯი ზენალაბდინ თაღიევს მოკვლასაც კი უპირებდნენ. არადა ქალების განათლება აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ საზოგადოება სწრაფად განვითარდეს.

ამჟამად აზერბაიჯანში ფუნქციონირებს სახელმწიფო კომიტეტი რელიგიურ საკითხებში. კომიტეტის საქმიანობაში დიდი ადგილი უკავია ბრძოლას მათ წინააღმდეგ, ვინც ქვეყანაში ცრუმორწმუნეობას ავრცელებს.



კითხვები და დავალებები

1) ვისზე იტყვიან, ცრუმორწმუნეაო?
2) როგორ აბრკოლებს ცრუმორწმუნეობა განვითარებას?
3) რომელი სახელმწიფო კომიტეტი ფუნქციონირებს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში რელიგიურ საკითხებში?
4) გარდა იმისა , რაც ტექსტშია მოყვანილი, კიდევ სხვა რა მიგაჩნია ცრუმორწმუნეობად? შენი აზრები რვეულში ჩაწერე.

22. ჯანმრთელობის დაცვის უფლება

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში მითითებულია, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება დაიცვას თავისი ჯანმრთელობა და მიიღოს სასწრაფო დახმარება. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის მოქალაქენი, იმ შემთხვევაში თუ ავად გახდებიან, ან კატასტროფაში მოხდებიან, უფლებამოსილნი არიან, სასწრაფო დახმარება გაეწიოთ. შენ სამედიცინო დახმარების შესახებ უკვე იცი. სამედიცინო დაზღვევაც მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის უფლებას ემსახურება. ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით აზერბაიჯანში როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სამედიცინო დაწესებულებები ფუნქციონირებენ.

სახელმწიფო სამიდიცინო დაწესებულებებში აზერბაიჯანის მოქალაქეები უფასო სამედიცინო მომსახურეობით არიან უზრუნველყოფილნი. კერძო სამედიცინო დაწესებულებებში კი მომსახურება ფასიანია.

ადამიანები სამედიცინო დაწესებულებებს მხოლოდ ავადმყოფობისას როდი მიმართავენ. მაგალითად ბავშვებს, სტუდენტებს, ინვალიდებსა და პენსიონრებს უფლება აქვთ სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებებში უფასო სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტარონ.

კონსტიტუციაში მითითებულია, რომ მოქალაქეებს უფლება აქვთ ეკოლოგიურად სუფთა გარემოში იცხოვრონ. ისინი, ვინც გარემოს აბინძურებენ და ამით ადამიანების ჯანმრთელობას ვნებენ, კანონის შესაბამისად ისჯებიან.



ეკოლოგიურად სუფთა გარემო განაპირობებს ადამიანების ჯანმრთელობას

მშობლები პატარაობიდანვე ზრუნავენ შენზე. მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით, უბნის ექიმისგან, თუ სხვებისგან იღებ რჩევა-დარიგებებს იმის შესახებ, თუ როგორ დაიცვა შენი ჯანმრთელობა. ადამიანი თავის ჯანმრთელობაზე თავადაცაა პასუხისმგებელი. ისინი, ვინც სწორად არ იკვებებიან, სიგარეტს ეწევიან და ალკოჰოლურ სასმელებს ეტანებიან, თავადვე ვნებენ თავიანთ ჯანმრთელობას. თუ თავს არ იცავ ზამთარში სიცივისაგან, ზაფხულში მზის დარტყმისაგან, თუ დროულად არ იკვებები და ძილის რეჟიმს არ იცავ, გამორიცხული არ არის, რომ დაავადდე. ამის შედეგად კი, ჯერ ერთი, გაკვეთილებს სისტემატურად ვერ დაესწრები და თანაკლასელებს ჩამორჩები, მეორეც, ააფორიაქებ და შეაწუხებ იმათ, ვისაც უყვარხარ. ისინი იძულებულნი გახდებიან, დღიური საქმე მიატოვონ, შენ გემსახურონ, წამლები გიყიდონ, უფრო მეტიც, შენს გამო ინერვიულონ.

კითხვები და დავალებები

1) რით განსხვავდებიან სახელმწიფო და კერძო სამედიცინო დაწესებულებები?
2) ადამიანები თავიანთი ჯანმრთელობის გამო რა თვალსაზრისით არიან პასუხისმგებელნი?
3) რომელი ღონისძიებები ტარდება აზერბაიჯანში იმისათვის, რომ დაცული იყოს ადამიანების ჯანმრთელობა?
4) დაწერე შენი აზრი სათაურით- „ გარემოს გავლენა ადამიანების ჯანმრთელობაზე“.

23. გადამდები სნეულებანი

ქუჩაში მიმავალი ცხვირ-პირზე ნიღაბამოფარებულ ადამიანებს თუ შეხვედრიხარ? ასეთები ტელევიზორში ანდა სურათზეც შეგიძლია ნახო. რატომ იკეთებან ნიღაბს ეს ადამიანები? იმიტომ, რომ დაცულნი იყვნენ გრიპისგან. გრიპით დაავადებას გრიპის ვირუსი წარმოშობს. როცა გრიპით დაავადებული ახველებს, აცემინებს, ან თუნდაც ლაპარაკობს, ნერწყვის ნაწილაკების მეშვეობით ვირუსი ირგვლივ ვრცელდება. ამიტომაც გრიპიანი ავადმყოფის ირგვლივ ჰაერი ვირუსებითაა გაჟღენთილი. როცა ჯანმრთელი ადამიანი ასეთ ჰაერს ჩაისუნთქავს, ვირუსი მის ორგანიზმშიც ხვდება და იკავებს რა ზედა სასუნთქ გზებს, ადამიანი ავადდება. რამეთუ გრიპი გადამდები სნეულებაა. ყველა ინფექციურ დაავადებას სნეულების წარმომშობი მიკროორგანიზმები- ბაქტერიები, ვირუსები და სოკოვანები- წარმოშობენ. მათ შორის ვირუსებს პირველი ადგილი უკავიათ, ანუ დაავადებათა ნახევარზე მეტს სწორედ ვირუსები წარმოშობენ. მაგალითად ვირუსები წარმოშობენ ისეთ დაავადებებს, როგორებიცაა ბუნებრივი ყვავილა, ჩუტყვავილა, ყბაყურა და სხვა. ნიღბის მეშვეობით შეგიძლიათ ვირუსებს გზა გადაუკეტოთ ორგანიზმისაკენ.

შეუძლია ნიღაბს ადამიანი ყველა ინფექციური ავადმყოფობისგან დაიცვას?

ნიღაბს შეუძლია დაგიცვას ისეთი სნეულებებისაგან, როგორებიცაა სვხადა სხვა სახის გამონაყარი, მალარეა, ტაუნი, სოკოვანი და სხვა. რადგანაც ყველა დაავადებას თავისი გავრცელების გზა გააჩნია. მაგალითად, მალარეა კოღოს შეუძლია ჯანმრთელი ადამიანის კბენით გაავრცელოს. ამიტომაც თავი დაიცავი კოღოსაგან.

ისეთი ინფექციური დაავადებებიც არსებობენ, რომლებიც ჯანმრთელ ადამიანს მაშინ გადაედება, როცა მას ავადმყოფთან აქვს შეხება. მაგალითად ადამიანს, რომელსაც ქეცი, ან სოკოვანი დაავადება სჭირს, ხელს თუ ჩამოართმევ, შეიძლება შენც გადაგედოს იგივე დაავადება.

არსებობს დაავადება, რომელსაც ვირუსიანი ჰეპატიტი ეწოდება. ამ სნეულებას სიყვითლეს, ანდა ბოტკინსაც უწოდებენ, იმ მეცნიერის სახელთან დაკავშირებით, რომელმაც იგი აღმოაჩინა.

ვირუსიანი ჰეპატიტით, მიუხედავად ასაკისა ყველა, ძირითადად კი ბავშვები ავადდებიან. ვირუსიანი ჰეპატიტი წყლისა და საკვების მეშვეობით, აგრეთვე პირადი ჰიგიენის უგულველყოფის დროს ვრცელდება. ეს ძალზედ სერიოზული სნეულებაა, რადგანაც ღვიძლს აზიანებს. ვირუსიანი ჰეპატიტი ხშირად ასე იწყება: დაავადებული ადამიანი პირველ დღეებში საერთო სისუსტეს გრძნობს. მადას კარგავს და მარჯვენა მხარეს ნეკნებს ქვეშ ყრუ ტკივილს გრძნობს. სიცხე ნელ-ნელა უწევს. რამოდენიმე დღის შემდეგ კანი და თვალები უყვითლდება. ვირუსიანი ჰეპატიტისგან მკურნალობის დროს, სულ ცოტა, სამი კვირა წოლითი რეჟიმია საჭირო. დღეში 4-5 ჯერ ვიტამინებით მდიდარი საკვების, განსაკუთრებით კი მაწონისა და ხაჭოს მიღება უაღრესად სასარგებლოა. ასეთი ავადმყოფებისთვის მავნებელია ცხიმიანი საკვები, მოხრაკული, მწნილი და ტკბილეულობა. გაურეცხავ ხილ-ბოსტნეულსა და დიდი ხნის მანძილზე ღიად დარჩენილ საკვებ პროდუქტებს შეუძლიათ ნაწლავებში წარმოშვან ინფექციური ავადმყოფობა, რომალსაც დეზინტერია ეწოდება. ორგანიზმის საერთო მდგომარეობისათვის ნაწლავების ჯანმრთელობას დიდი როლი აკისრია.

პირადი ჰიგიენის წესების დაცვა ადამიანის საყოფაცხოვრებო კულტურის გამოხატულებაა. ყველა ადამიანმა ჩვეულებად უნდა გაიხადოს სხეულის სისუფთავის დაცვა, ყოველდღე დაბანვა, დილით და საღამოთი ძილის წინ კბილების გამოხეხვა, გარედან შემოსვლისას და ჭამის წინ ხელების თბილი წყლით საპნით გადაბანვა და ფრჩხილების მოვლა-პატრონობა.

კითხვები და დავალებები

1) ადამიანის რიმელ ორგანოში არსებობენ გრიპის წარმომშობი ვირუსები?
2) ადამიანის რომელ ორგანოს აზიანებს ვირუსიანი ჰეპატიტი ?
3) რაში მდგომარეობს ღვიძლის ფუნქცია?
4) რომელ სნეულებას წარმოშობს ადამიანის ნაწლავებში გაურეცხავი ხილ-ბოსტნეული?
5) სქემა- „მე ჩემს ჯანმრთელობას ვიცავ“- რვეულში გადახაზე და დაამუშავე:

რას ვაკეთებ	რას არ ვაკეთებ

24. რა არის იმუნიტეტი

თურმე სნეულებებისაგან ორგანიზმიც იცავს თავის თავს. ძველ დროში მრავალი ავადმყოფობა დიდ ტერიტორიებზე ვრცელდებოდა და უამრავი ადამიანის სიკვდილის საბაბი ხდებოდა. ამა თუ იმ სნეულების ფართო ტერიტორიაზე გავრცელებას ეპიდემია ეწოდება. ამ ეპიდემიების დროს ექიმები დაკვირვების შედეგად იმ დასკვნემდე მივიდნენ, რომ ადამიანი, რომელიც ერთხელ უკვე იყო დაავადებული ამ სენით და შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს, იმავე სენით მეორედ აღარ ავადდება.

მაგალითად, ადამიანებში, რომლებსაც ყვავილი შეეყარათ, ეს სენი აღარასოდეს მეორდება. ექიმები დიდხანს იკვლევდნენ ამის მიზეზს და ბოლოს აღმოაჩინეს, რომ თურმე ცოცხალ ორგანიზმებში პატარა დამცავი ნაწილაკები არსებობენ. მას შემდეგ, რაც სნეულების წარმომშობნი ორგანიზმში მოხვდებიან, ეს ნაწილაკები მათ წინააღდეგ გააფთრებულ ბრძოლას იწყებენ. მათ შორის ნამდვილი ბრძოლა მიმდინარეობს. თუ ნაწილაკები იმარჯვებენ, ადამიანი გამოჯანმრთელებას იწყებს. იმ სნეულების წარმომშობთ კვლავ ამ ორგანიზმში მოხვედრის სურვილი რომც გაუჩნდეთ, ამას ვერარ ახერხებენ. რადგანაც იქ მათ ელოდებიან „მებრძოლები“ , რომლებიც ამ „მტრებს“ კარგად იცნობენ. განიარაღებული სნეულების წარმომშობნი ისე იღუპებიან, რომ ბრძოლის დაწუებასაც ვერ ასწრებენ, ასე და ამგვარად, ორგანიზმი ავადმყოფობის განმეორებას გადაურჩება. ამას ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს, ანდა ბუნებრივ ემუნიტეტს უწოდებენ. სიტყვა ემუნიტეტიც ლათინურად „გადარჩენასა და განთავისუფლებას“ ნიშნავს.

აცრა გადამდები დაავადებებისაგან გვიცავს

მას შემდეგ, რაც მეცნიერებმა ეს გამოიკვლიეს, გაადვილდა მრავალ სნეულებასთან გამკლავება. მათ დაამკვიდრეს აცრები. ახლა ბავშვებს რიგი ავადმყოფების წინააღმდეგ აცრებს უტარებენ. აცრის მეშვეობით ადამიანის ორგანიზმში ამა თუ იმ ინფექციური დაავადების წინააღმდეგ მებრძოლ ნაწილაკებს წარმოშობენ. ამას ხელოვნური იმუნიტეტი ეწოდება. როცა ეს სნეულება გაჩენას აპირებს, დამცველები ბავშვის ორგანიზმს დაავადებისგან იცავენ.

როგორ შეგვიძლია გავაძლიეროთ ორგანიზმის იმუნიტეტი?

იმუნიტეტი დაავადებისაგან იცავს ცოცხალ ორგანიზმებს. იმუნიტეტი ყველა ადამიანში ერთნაირად ძლიერი როდია. ამიტომაც ზოგი ადამიანი იშვიათად, ზოგი კი ხშირ-ხშირად ავადდება.

როგორც ადამიანებს ასევე ცხოველებსაც შეიძლება ჩაუტარდეთ აცრა. ეს ცხოველებს დაავადებებისაგან იცავს და მეცხოველეობის განვითარებას უწყობს ხელს.

იმუნიტეტის შესწავლამ მებაღეობის განვითარებასაც შეუწყო ხელი. მას შემდეგ, რაც მეცნიერებმა იმუნიტეტის საიდუმლოება შეისწავლეს, ძნელადდაავადებადი მცენარეთა სახეობები შექმნეს.

კითხვები და დავალებები

1) რა მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობისათვის აცრას?
2) რა განსხვავებაა ბუნებრივ და ხელოვნურ იმუნიტეტებს შორის?
3) რა სარგებელი აქვს იმუნიტეტს ჯანმრთელობისათვის?
4) როგორ შეიძლება გავაძლიეროთ იმუნიტეტი?
5) დაწერე ესე სათაურით- „იმუნიტეტი და ჯანმრთელობის დაცვა“.

25. ხერხემლის ძვალი



ხერხემლის ძვალი ზურგის მალებისაგან შედგება.

ადამიანის ხერხემლის ძვალი შედგება 33-34 ასეთი მალებისაგან. განლაგებისდა მიხედვით მალები 5 განყოფილებად იყოფიან- კისრის, მკერდის, წელის, თეძოსა და კუდუსუმის მალები.



ხერხემლის ძვლის განყოფილებები

დილით ჯდები და საუზმეს მიირთმევ. შემდეგ სკოლაში მიდიხარ. სკოლაში გაკვეთილები იწყება და შენ ყველა გაკვეთილზე 45 წუთის განმავლობაში მოვალე ხარ მერხს მიუჯდე. გაკვეთილების შემდეგ კვლავ შინ ბრუნდები. სადილობ, მერე კი ჯდები და გაკვეთილებს ამზადებ. კომპიუტერს მიუჯდები და სხვადასხვა სამუშაოს ასრულებ, ან თამაშობ. მოკლედ, დღის განმავლობაში რაც არ უნდა გააკეთო, შენს ხერხემლის ძვალს მოსვენება არ აქვს, განუწყვეტლივ მოძრაობს, სხვადასხვა ფუნქციებს ასრულებს.

მიგიქცევია ყურადღება, სკამზე თუ მერხზე როგორ ზიხარ? ეს ერთობ საჭირბოროტო საკითხია. აქ ხომ საქმე შენი ხერხემლის ძვლის განვითარებას ეხება. იმისათვის, რომ ადამიანი გამართულად დადგეს, ხერხემლის ძვალი ძირითადი საყრდენი აპარატია. იცავ რა ხერხემლის ძვალს, შენს თავს არა ერთი დაავადებისგან იცავ. რადგანაც ჯანმრთელობა შინაგანი ორგანოებისა, რომლებიც ადამიანის ნორმალურ ფუნქციონერებას უზრუნველყოფენ, დამოკიდებულია ხერხემლის ძვლის ჯანმრთელობაზე.

? რა მოხდება, თუ ხერხემლის ძვალში პრობლემა გაჩნდა?

თუ პრობლემა კისრის მალები იქნება, მაშინ ადამიანის თავში, კისერსა და თვალებში შესაძლოა გაჩნდეს პრობლემა. მკერდის მალებში გაჩენილი ცვლილება კი შეიძლება გულში, ღვიძლსა და ნაწლავებში გაჩენილი პრობლემების მიზეზი იყოს. წელის მალების დაზიანება გავლენას ახდენს ფეხების ნორმალირ ფუნქციონერებაზე. ამიტომაც საჭიროა ხერხემლის ძვალი დაზიანებებისაგან დავიცვათ. განსაკუთრებით საჭიროა მის ნორმალურ განვითარებას ყურადღება მივაქციოთ ბავშვობის წლებში.

? რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმისათვის, რომ ხერხემლის ძვალი ჯანმრთელი იყოს?

საწერ მაგიდასთან გამართულად ჯდომის წესი

როცა მაგიდას მიუჯდები, საჭიროა ისე დაჯდე, რომ თავი და სხეული არ დახარო. სკამის საჯდომი მუხლების დონეზე უნდა იყოს.

ცვლილებები, რომლებიც მკერდის დისკებში ხდება, გავლენას ახდენს შინაგანი ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებაზე. ეს კი შემდეგი ორგანოებია:



გული- კუნთოვანი ორგანოა, რომელიც იკუმშება და იშლება. სისხლი გულის მეშვეობით მიეწოდება ძარღვებს და ორგანიზმში მოძრაობს.

ფილტვები- სასუნთქი ორგანოა. სისხლი ფილტვებში ნახშირორჟანგისაგან იწმინდება და ჟანგბადით მდიდრდება.

თირკმელები- შარდს, სხვადასხვა მარილებს, შხამიან ნივთიერებებსა და ზედმეტ წყალს გამოყოფს და ორგანიზმს ათავისუფლებს.

ღვიძლი- მონაწილეობს მონელებაში, სისხლის მიმოქცევასა და სხვა პროცესებში. ორგანიზმს შხამიანი ნივთიერებებისაგან ათავისუფლებს.

ნაწლავები- მონაწილეობენ მონელების პროცესში.

დიდი ხნის განმავლობაში ფეხზე დგომის დროს ხერხემლზე ზრუნვა

როცა ადამიანი დიდხანს დგას, წელის არეში, მხრებსა და თავის უკანა ნაწილში სიმძიმეს გრძნობს. იმისათვის, რომ ასე არ მოხდეს, საჭიროა ხელები მაღლა ასწიო, უკან გადაიხარო და ღრმად ისუნთქო. როცა სამუშაოს ფეხზე დგომელა ასრულებთ, ან დიდი ხნის განმავლობაში რიგში დგომა გიწევთ, საჭიროა ყოველ 10 წუთში ერთხელ სხეულის მდგომარეობა შეცვალოთ. აუცილებლად შეცვალეთ ფეხების მდგომარეობაც- ადგილზე იარეთ და დროგამოშვებით თითის წვერებზე აიწიეთ.

სიმძიმის სწორად აწევა და წაღება

თუ შესაძლებელია, კარგი იქნება, ორ ხელში გადაინაწილოთ და ისე წაიღოთ. როცა სიმძიმეს წევთ, საჭიროა მუხლები მოკეცოთ. ტვირთი შორ მანძილზე სჯობს ზურგჩანთით ატაროთ.

სწორი არაა

სწორია

სწორი არაა

სწორეა

კითხვები და დავალებები

1) რატომ უნდა დავიცვათ ხერხემლის ძვალი?
2) რომელ განყოფილებებად იყოფა ხერხემლის ძვალი?
3) რომლებია ადამიანის ძირითადი შინაგანი ორგანოები?
4) შეადგინე სქემა სახელწოდებით- „ადამიანის ძირითადი შინაგანი ორგანოები და მათი ფუნქციები“.

26. საკვებით მოწამლვა

ადამიანი იმისათვის იკვებება, რომ იცოცხლოს. საკვები ხარისხიანი და ვიტამინებით მდიდარი უნდა იყოს, რომ ორგანიზმი ჯანმრთელი და დაავადებათა მიმართ გამძლე იყოს. რა ხდება მაშინ, როცა საკვები უხარისხო იქნება?

ზოგიერთ საკვებს ზედთავსზე მითითებული აქვს: პროდუქტი რომ არ გაფუჭდეს, გრილ და მშრალ ადგილას უნდა შეინახოთ, თანაც მზის სხივებს უნდა მოარიდოთ. ის ვინც თავის ჯანმრთელობაზე ზრუნავს, აუცილებლად დარწმუნებული უნდა იყოს, რომ პროდუქტის შენახვისას სწორედ ეს პირობები იყო გათვალისწინებული. უპირველეს ყოვლისა უნდა დავაკვირდეთ ბოლო მოხმარების ვადას. ვადა გასული პროდუქტი ორგანიზმს უფრო მეტ ზიანს მიაყენებს, ვიდრე სარგებელს მისცემს. საკვები, რომელიც ჰიგიენური ნორმების დარღვევითაა დამზადებული და არახელსაყრელ პირობებშია შენახული, ორგანიზმისათვის ხშირად საფრთხეს წარმოადგენს. ამ დროს წარმოიქმნება დაავადება, რომელსაც საკვებით მოწამლვას ვუწოდებთ. ბაქტერიები, რომლებიც ამ დაავადებას წარმოშობს, ხორცის, თევზის, რძისა და კვერცხის ნაწარმში ჩნდება და სწრაფად მრავლდება. როცა ადამიანი ამ პროდუქტებს იღებს, აღნიშნული ბაქტერიები კუჭ–ნაწლავის მეშვეობით ორგანიზმში ხვდება და წამლავს.

როგორც ხორცის, თევზისა და რძის ნაწარმისაგან, ასევე სოკოსგან დამზადებული კერძებისგანაც ხშირია მოწამლვის შემთხვევები. ამიტომაც, როცა სოკოს კერძებს მივირთმევთ, განსაკუთრებით ყურადღებით უნდა ვიყოთ.

.მოწამლვამ მუცლის ტკივილი, გულისრევა და პირღებინება იცის

დაკოსერვირებული საკვები პროდუქტები

შენი ჯანმრთელობა

რას უნდა მივაქციოთ ყურადღება, როცა დაკონსერვებული ბოსტნეულის ნაწარმს მოვიხმართ?

✸ როცა დაკონსერვებულ კიტრს, პამიდორს, ლობიოს, ცერცვს, ანდა სხვა ბოსტნეულს საჭმელად ვხსნით, უპირველესად მის თავსახურს უნდა მივაქციოთ ყურადღება. ქილის თავსახური, რომელშიც შხამიანი ბაქტერიებია თავმოყრილი, ხშირად ამობურცულია ხოლმე.

✸ აუცილებელია ასევე ყურადღება მივაქციოთ ქილაში არსებული წყლის გამჭვირვალობას.თუ წყალი გამჭვირვალე არაა და პირიქით ამღვრეულიც კია, მაშინ გამორიცხული არ არის, რომ ქილაში მოთავსებული ბოსტნეული მომწამლავი იყოს. ასეთი ბოსტნეულის ჭამა არ შეიძლება.

✸ თუ საკვებს ცუდი სუნი უდის, მისი ჭამა ჯნმრთელობისთვის სახიფათოა.

✸ მას შემდეგ, რაც დაკონსერვებული ქილა გაიხსნება, იგი 2–3 დღით მხოლოდ მაცივარში შეიძლება შევინახოთ. თუ გახსნილ ქილას მაცივარში არ შევინახავთ, იქ მოხვედრილი ბაქტერიები სწრაფად მრავლდებიან.

✸ საკვებით მოწამლვის სიმპტომების დროული გამოაშკარავება და სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის გარანტიაა. საკვებით მოწამლვის დროს შემდეგი სიმპტომები შეინიშნება:

– გულისრევა, პირღებინება;
– მუცლის არეში ტკივილი, ფაღარათი;
– სიცხის აწევა;
– საერთო სისუსტე და თავბრუსხვევა;
– ნერწყვის ყლაპვა, სუნთქვის დაბრკოლება;
– ხშირ შემთხვევაში კუნთების ტკივილი.

თუ ადამიანი საკვების მიღების შემდეგ თავის თავში ასეთ ნიშნებს იგრძნობს, აუცილებლად სასწრაფო სამედიცინო დახმარებას უნდა მიმართოს. რადგანაც ექიმის ჩარევა თუ დაიგვიანებს, მოწამლვა სხვა ორგანოებსაც დააზიანებს და შეიძლება სიკვდილითაც კი დასრულდეს.

კითხვები და დავალებები

1) როდის ხდება საკვებით მოწამლვა?
2) რომლებია საკვებით მოწამლვის ნიშნები?
3) რომელ საკვებ პროდუქტებშია ხშირი მოწამლვის შემთხვევები?
4) რის გაკეთებაა საჭირო საკვებით მოწამლვის დროს?
5) რა არის საჭირო იმისათვის, რომ თავი დავიცვათ საკვებით მოწამლვისაგან? ჩაწერე რვეულში შენი აზრი.

27. პირველადი სამედიცინო დახმარება



ყველაზე პატარა ჭრილობაც კი შეიძლება ადამიანის სიცოცხლისათვის სახიფათო აღმოჩნდეს. ყველაფერი, რითაც ჭრილობას ვეხებით, სტერილიზებული, ანუ მიკრობებისაგან სუფთა უნდა იყოს. რადგანაც სხვადასხვა მიკრობებს ჭრილობის მეშვეობით ადვილად შეუძლიათ ორგანიზმში შეღწევა. სწორედ ამიტომ დაზიანებულ ადგილს შეხვევა სჭირდება. რამეთუ სახვევი ჭრილობას მიკრობებისაგან და გარე გავლენებისაგან იცავს და სისხლდენას აჩერებს. შეხვევის დროს მარლასა და ბამბას ხმარობენ. ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ მარლაცა და ბამბაც სტერილიზებული უნდა იყოს. იოდი და სპირტის მაგვგრი საშუალებანი მიკრობებს სპობენ.

შეხვევის წესები

ჭრილობას ჯერ სტერილიზებულ მარლას, შემდეგ კი ბამბას ვადებთ; ბინტი მარჯვენა ხელში გვიკავია, შეხვევას მარცხენე ხელით ვახორციელებთ; ბინტი მარცხნიდან მარჯვნივ ეხვევა.

სახვევის პირველი ორი ფენა ერთმანეთს გადაეხვევა, ანუ ორმაგია. შემდეგი ფენები კი ერთმანეთს სანახევროდ გადაევლებიან და ასე გრძელდება ბოლომდე. სახვევის ბოლოს ბინტს ორად ჭრიან და გადანასკვავენ. ნასკვი ჭრილობაზე არ უნდა მოხდეს. როცა სახვევს ხელზე ვადებთ, უნდა ვეცადოთ, რომ თითის წვერვბი სახვევში არ მოჰყვეს. თუ იმისათვის არ ვახვევთ, რომ სისხლი შევაჩეროთ, მაშინ საჭირო არაა სახვევის მაგრად მოჭერა. ამან შეიძლება დაჭრილის სისხლის მიმოქცევა შეაფერხოს. ძალზედ მოშვებული სახვევი კი შეიძლება უფრო მოეშვას და დაზიანებულ ადგილს მოსძვრეს.

ზოგჯერ, როცა სიარულისას სიფრთხილეს არ ვიჩენთ, შეიძლება უნებლიედ ფეხი გვეღრძოს, რის შედეგედეც ძვლების შემაერთებელი სახსრები იძაბება და საშინელ ტკივილს იწვევს. ასეთ შემთხვევაში, როგორც პირველადი დახმარება, საჭიროა პირსახოცი ცივ წყალში დავასველოთ და ნაღრძობზე დავადოთ, მერე კი ექიმს მივმართოთ.

სიცოცხლისათვის დასიცხვა და მზის დარტყმაც სახიფათოა. დასიცხვა, ცხელ ადგილას, მაგალითად აბანოში დიდხანს დარჩენამ იცის. მზის დარტყმა კი მზის ქვეშ დიდი ხნის მანძილზე ყოფნის შედეგად შეიძლება მოხდეს.

დასიცხვისა დს მზის დარტყმის სიმპტომები ესენია: თავის ტკივილი; თავბრუსხვევა; კანის დაწითლება; გულზიდვა; ღებინება; პულსისა და სუნთქვის გახშირება.

შენი ჯანმრთელობა

ამ დროს საჭიროა დაზარალებული გრილ ადგილას გადავიყვანოთ, საკინძე შევხსნათ, თავსა და მკერდზე ცივი ტილო დავადოთ, ცივი მარლით მოვწმინდოთ კისრის არე და ყურების უკუნა ნაწილი. თუ გადაწყვეტთ, რომ დაზარალებულს პულსი გაუსინჯოთ, ეს არც ისე ძნელია. პულსი ხელის შიდა მხრიდან, ცერა თითიდან ოდნავ ზემოთ იძებნება. საჭიროა იგი ორი თითით შევამოწმოთ. უნდა დაითვალოს პულსი ერთ წუთში რამდენჯერ სცემს. მოზრდილ ადამიანებში წუთში 60–80 პულსირება ნორმად ითვლება. ბავშვების პულსი უფრო სწრაფად სცემს. ხუთ წლამდე ბავშვებში წუთში 98–100, 10 წელს ზემოთ ბავშვებში 78–80– ჯერ, მოხუცებში კი 120–140– ჯერ სცემს.



მზის ქვეშ დიდხანს დარჩენის შედეგად შეიძლება მზის სხივებისგან კანზე დამწვრობაც კი გაჩნდეს. მზის, ცეცხლისა და ცხელი წყლისაგან გაჩენილ დამწვრობებს თერმიულ დამწვრობებს უწოდებენ. ქიმიური ნივთიერებების გამო გაჩენილ დამწვრობებს კი ქიმიური დამწვრობები ეწოდება. დამწვრობები 4 ხარისხად იყოფა: 1–ლი მსუბუქი; მე-2 საშუალო; მე-3 მძიმე; მე-4 ძალზედ მძიმე.

ხანძრის დროს საჭიროა, ჯერ აალებული ტანისამოსი ჩავაქროთ. აალებულ ადგილს პალტოს, ადეალას, ან საბანს თუ დავაფარებთ, ალს ადვილად ჩავაქრობთ. ტანსაცმლის იმ ნაწილის, რომელიც დამწვარზეა მიკრული, ძალით აძრობა დაუშვებელია.

კითხვები და დავალებები

1) რაში მდგომარეობს პირველადი დახმარება ფეხის ღრძობის დროს?
2) რა სიმპტომები ახლავს დასიცხვას?
3) როგორ შეიძლება დავეხმაროთ დასიცხულ ადამიანს?
4) როგორ იცვლება ადამიანის პულსის ცემა ასაკის მიხედვით?
5) როგორ ჩნდება თერმიული და ქიმიური დამწვრობა?
6) როგორ უნდა დავეხმაროთ ტანისამოსზე ალმოდებულ ადამიანს?
7) რატომ ახვევენ ჭრილობას? შენი აზრი რვეულში ჩაწერე.

28. როგორ უნდა გავიკაჟოთ სხეული

სხეულის გაკაჟება ორგანიზმის გაკაჟებასაც ნიშნავს. ეს ადამიანის განწყობაზეც ძლიერ გავლენას ახდენს. დილის ვარჯიში, სხეულის სველი პირსახოცით შეწმენდა, ძილის წინ სუფთა ჰაერზე გასეირნება და ვიტამინებით მდიდარი პროდუქტების მიღება ადამიანის ორგანიზმს აძლიერებს და მას დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის უნარიანს ხდის. იმისათვის , რომ ვირუსებისა და ბაქტერიებისგანაც ვიყოთ დაცულნი, აუცილებელია ჰიგიენური წესების სისტემატური დაცვა. თუმცა არც ესაა ყველაფერი. სხვა ფაქტორებიც არსებობს. ეს რა ფაქტორებია?

ორგანიზმის წყლის მოთხოვნილება მთლიანად უნდა დაკმაყოფილდეს. ადამიანი დღის განმავლობაში დაახლოვებით 1–2 ლიტრი (6–8 ჭიქა) წყლის საჭიროებას გრძნობს. ძლიერი გაოფლიანების დროს ორგანიზმი ბევრ წყალს კარგავს და საჭიროა ეს დანაკარგი დროულად იქნას ანაზღაურებული. ამიტომაც ძლიერი გაოფლიანების შემდეგ, ადამიანი წყურვილს რომც არ გრძნობდეს, კარგი იქნება ბევრ წყალს თუ დალევს. ამ დროს ბუნებრივია, ცივი წყალი არ იგულისხმება. რადგანაც გაოფლიანებული ადამიანი თუ ცივ წყალს დალევს ავად გახდება.

როგორ შეიძლება საკვების მეშვეობით ორგანიზმის გაკაჟება?

ჯანმრთელობისთვის კვებასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყოველდღიურად, როგორც წესი, საჭიროა სამჯერ კვება. მაგრამ ბევრი ჭამაც არ შეიძლება. ერთ ჯერზე უხვი საკვების მიღება ორგანიზმისათვის საზიანოა. საკვები ნორმალურ პირობებში, აუჩქარებლად მაგიდასთან უნდა მივიღოთ. ზეზეულად ჭამა ადამიანის ორგანიზმს სერიოზულად ვნებს.

საჭიროა ხორცისა და რძის ნაწარმიც საკმარისად მივიღოთ. ამ საჭმელებში არსებობს ნივთიერება კალციუმი, რომელიც ორგანიზმისათვის აუცილებელია.

შრომისას ადამიანი ზედმეტად არ უნდა გადაიქანცოს. როცა დაიღლებით, აუცილებლად უნდა დაისვენოთ.

როგორ შეიძლება ავნოს ადამიანის ორგანიზმს ემოციურმა დაძაბულობამ?*

დაღლილი ადამიანი წვრილმანებზეც კი ბრაზდება. დაღლილობა ადამიანს ნერვიულს ხდის. ორგანიზმის თავდაცვის უნარს ემოციური დაძაბულობაც აქვეითებს. მაგალითად, ადამიანი, რომელიც ძლიერ შიშს განიცდის, შეიძლება შაქრის, სიყვითლის, ან სხვა რომელიმე დაავადება დაემართოს. ამიტომაც ყველა ადამიანი უნდა ეცადოს , რომ თავისი საქციელით სხვები არ ააღელვოს, არ ანერვიულოს, არ შეაწუხოს და შიშისა და ძრწოლის გრძნობა არ გაუჩინოს. რადგანაც ეს მათ ჯანმრთელობას ავნებს.

***ემოციური დაძაბულობა** – მღელვარება, შიშის გრძნობა

კითხვები და დავალებები

1) იმისათვის, რომ ჯანმრთელობა დავიცვათ, როგორ უნდა ვიკვებოთ?
2) როგორ ვნებს ადმიანის ორგანიზმს ემოციური დაძაბულობა?
3) რას უნდა მივაქციოთ ყურადღება იმისათვის, რომ სხეული გავიკაჟოთ?
4) „რას ვაკეთებ ჩემი სხეულის გაკაჟებისათვის“– ამ სათაურით სქემა გადახაზე და შეავსე:

რას ვაკეთებ იმისათვის , რომ სხეული გავიკაჟო?		
დილით	შუადღით	საღამოს

29. მობილური ტელეფონები

სიტყვა „მობილური“ ლათინურად მოძრავს ნიშნავს. მობილურმა კავშირმა ადამიანების ცხოვრება საკმაოდ გაადვილა. შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში მოღვაწე ადამიანები მისი მეშვეობით თავიანთ საქმეებს უფრო სწრაფად აგვარებენ. მობილური ტელეფონი შეიძლება გამოიყენო როგორც რადიო, როგორც ფოტოაპარატი, როგორც კამერა და შეგიძლია მისი მეშვეობით ინტერნეტშიც კი შეხვიდე.მობილურის მეშვეობით ადამიანები გზადმიმავალნი საუბრობენ, სადაც მოესურვებათ, რადიოს იქ უსმენენ, ნებისმიერი საინტერესო შემთხვევის ფოტოს, ან კადრს იღებენ.

როგორ აისახება ბავშვების ჯანმრთელობაზე მობილური ტელეფონით სარგებლობა?

ამასთან ერთად არსებობს სხვადასხვა აზრი იმის შესახებ, რომ მობილური ტელეფონი ადამიანების, განსაკუთრებით კი ბავშვების ჯანმრთელობაზე ცუდ გავლენას ახდენს. ამჟამად მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ბავშვებს 12 წლამდე მობილური ტელეფონით სარგებლობა ეკრძალებათ. ახლა ბავშვების მიერ მობილურის მოხმარებას ყველა ჩვეულებრივი ამბავივით აღიქვამს. ზოგიერთი ბავშვი მობილური ტელეფონით სარგებლობისას თითქოს ყველაფერს ივიწყებს. ფეხით სიარულისას, ტრანსპორტით მგზავრობისას და ჭამის დროსაც კი ტელეფონს არ იშორებენ. ეს ძალზედ მავნე ჩვევაა.

მეცნიერი ექიმები ფიქრობენ, რომ მობილური ტელეფონი ბავშვის ორგანიზმისათვის ძალზედ მავნებელია. მათ მიაჩნიათ, რომ პატარა ბავშვის ტელეფონით თამაში ერთობ სახიფათოა. მეცნიერების აზრით მობილური ტელეფონი ბავშვების ნერვიულ სისტემაზე უაღრესად უარყოფით გავლენას ახდენს. არღვევს მათ ტვინში სისხლის მიმოქცევას, იწვევს უძილობასა და ჭკუასისუსტეს, აგრეთვე წარმოშობს რიგ დაავადებებს. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ მობილური ტელეფონით სარგებლობა ბავშვების მეტყველების უნარსაც აქვეითებს.

საერთოდ სამედიცინო დაწესებულებების რჩევებში მითითებულია, რომ ბავშვებმა მობილურით რაც შეიძლება ნაკლები უნდა ილაპარაკონ და იგი სათამაშოსავით არ უნდა გამოიყენონ. მობილური ტელეფონები დიდებზე უფრო მეტად პატარებს ვნებს. რადგანაც პატარების ტვინის ძვალი თხელია. ტვინი კი ჯერ განვითარების პროცესშია. ამიტომაც აუცილებელია პატარა ბავშვები მობილურ ტელეფონს მოვაშოროთ.

კარგი იქნება, თუ უფრო მოზრდილი ბავშვებიც მობილურით ნაკლებად ისარგებლებენ და სარგებლობის დროს ქვემოთ მოყვანილ წესებს დაიცავენ.

როგორ უნდა ვისარგებლოთ მობილური ტელეფონით?

- მობილური ტელეფონით რაც შეიძლება ნაკლები უნდა ვილაპარაკოთ.
- ძილის წინ მობილური ტელეფონით საუბარი ადამიანს ძილს უკრთობს.
- დაძინებისას მობილური ტელეფონის ბალიშის ქვეშ ამოდება არ შეიძლება.
- ტელეფონის სისტემატურად სამუშაო რეჟიმში დატოვება გაუმართლებელია, თუ აუცილებელ ზარს არ ელოდებით, უკეთესია მისი გათიშვა.
- იმისათვის, რომ შინაგანი ორგანოები დასხივებისაგან დავიცვათ, მობილური ტელეფონი ისე ახლოს არ უნდა დავიკავოთ, რომ იგი სხეულს შეეხოს. გაცილებით უსაფრთხოა, იგი ჩანთით ატაროთ.
- როცა ტელეფონი ელექტრო ხაზზეა შეერთებული, მისით სარგებლობა დაუშვებელია.

ვინც თავის ჯანმრთელობაზე ზრუნავს, აუცილებელია ეს წესები დაიცვას.

კითხვები და დავალებები

1) როგორ აიოლებს ადამიანების ცხოვრებას მობილური ტელეფონი?
2) რატომ ეკრძალებათ ბავშვებს მობილური ტელეფონით სარგებლობა ზოგიერთ ქვეყნებში?
3) რა მიგაჩნია ყველაზე სახიფათოდ მობილური ტელეფონით სარგებლობის წესებში? შენი აზრები რვეულში ჩაწერე.

30. კომპიუტერი და ადამიანები

კომპიუტერის აღმოჩენამ მსოფლიო შეცვალა. ახალი სისწრაფით დახვეწილი ეს სასწაულებრივი ტექნოლოგია სულ მალე ყველა სფეროში დაინერგა. უკვე კომპიუტერის შესახებ მრავალი ამბობს, „დღეს კომპიუტერი ჰაერევით და წყალივით გვჭირდება“. რადგანაც კომპიუტერი ადამიანებს საშუალებას აძლევს ყოველმხრივი განათლება მიიღონ და უფრო ნაყოფიერად იშრომონ. ადამიანები კომპიუტერის მეშვეობით იღებენ ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც მათ ამა თუ იმ სიტუაციაში სჭირდებათ. ინტერნეტი არის მდიდარი ინფორმაციული წყარო, რომელიც მსოფლიოში არსებულ ცოდნას თავის თავში მოიცავს. კომპიუტერი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ბავშვებისა და ახალგაზრდების ცნობიერების განვითარებასა და მათი მსოფმხედველობის გაფართოების საქმეში. ბავშვები ინტერნეტის მომსახურებას სხვადასხვა მიზნით (ელექტრონული ბიბლიოთეკა, ელექტრონული სახელმძღვანელოების გამოყენება, ინფორმაციის მოპოვება და სხვა) იყენებენ.

დიდი თუ პატარა, ყველა ამ ჯადოსნურ საშუალებას მიმართავს. საინტერესოა, ყველამ თუ იცის კომპიუტერის მოხმარების წესები?

არიან ადამიანები, რომლებიც კომპიუტერს საათობით არ სცილდებიან. საჭმელსაც კი მონიტორს მიშტერებულნი ჭამენ. განუწყვეტლივ მონიტორის ყურება ძვლების , კუნთებისა და სისხძარღვების ძლიერ დაძაბულობას იწვევს. მონიტორისგან თვალმოუცილებლად კვება კი ორგანიზმისათვის ერთობ მავნებელია. ესენი ძალზედ საზიანო ჩვევებია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯანმრთელობისათვის საჭიროა , ყველაფერი ნორმის ფარგლებში გამოვიყენოთ. მაშინაც, როცა კომპიუტერით ვსარგებლობთ, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა ჩვენს ჯანმრთელობაზე ვიფიქროთ.

რას უნდა მივაქციოთ ყურადღება კომპიუტერით სარგებლობის დროს?

- აუცილებლია კომპიუტერის წინ სწორად დავჯდეთ. საჭიროა ისეთ სავარძელში ჩავჯდეთ, რომლის სიმაღლეც იმართება,საზურგე აქვს და რბილი საჯდომი გააჩნია.
- მონიტორი თვალთახედვიდან ოდნავ დაბლა, ან მის გასწვრივ უნდა იყოს.

- წერის დროს საჭიროა კლავიატურის ღილაკებს ნელა შევეხოთ.
- მიზანშეწონილია ყოველდღე ერთსა და იმავე დროს ვიმუშაოთ, მუშაობის დროს კი ხშირ-ხშირად შევისვენოთ.
- დიდი ხნის განმავლობაში ერთ პოზაში ჯდომა გაუმართლებელია.
- ჯდომისას ხერხემალი გამართულად უნდა გვეჭიროს, ან უკან გადაუხრელად უნდა ვიდგეთ.



კომპიუტერის წინ დიდი ხნის განმავლობაში მუშაობა თვალებზეც ახდენს გავლენას. ერთ წერტილს მიჩერებულ თვალებში სიწითლე, ქავილი, ცრემლდენა, ანდა ყრუ ტკივილის მაგვარი პრობლემები ჩნდება.კომპიუტერი განსაკუთრებით სახიფათოა მათთვის, ვისაც თვალის პრობლემა გააჩნია. იმისათვის, რომ თვალები კომპიუტერის უარყოფითი გავლენისაგან დავიცვათ, მონიტორი არც ძალზედ ღია და არც ძალზედ დაბინდული არ უნდა იყოს. ეს თვალებს უფრო მეტად ღლის. ფანჯრიდან შემოსული სინათლე მონიტორს არ უნდა ეცემოდეს. მონიტორი სინათლესა და ფანჯრისაგან მოშორებით უნდა იდგეს. ოთახი, სადაც კომპიუტერი დგას, ხშირად უნდა განიავდეს. არასწორია კომპიუტერის საწოლ ოთახში განთავსება.

კომპიუტრის ხშირმა ხმარებამ შეიძლება ადამიანში კომპიუტერზე დამოკიდებულების გრძნობა წარმოშვას. ეს კი ადამიანის ცოცხალი ურთიერთობის ხარჯზე ხდება. ასეთი ადამიანი გარკვეული ხნის შემდეგ ეული ხდება და თავის თავში იკეტება. საბოლოო ჯამში თავის ჯანმრთელობაზე ზრუნვაც კი ავიწყდება. ძილი უკრთება, რაც თავის მხრივ გულ-სისხლ ძარღვთა დაავადებას იწვევს. არასწორი კვება კი, რომელიც თან ახლავს ამ პროცესს, ორგანიზმის დასუსტებითა და საჭმლის მონელების სისტემის მოშლით მთავრდება.

კითხვები და დავალებები

1) შესაძლებლობები მისცა ადამიანებს კომპიუტერის დანერგვამ?
2) რატომ ითვლება მავნე ჩვევად კომპიუტერზე დამოკიდებულება?
3) რა წესები უნდა დავიცვათ მაშინ, როცა კომპიუტერით ვსარგებლობთ?
4) დაწერე ესე სათაურით- „ კომპიუტერით მუშაობისას კიდევ რა არ მიმაჩნია სწორად?“

31. საყოფაცხოვრებო კატასტროფები

თანამედროვე სახლებს ელექტროობის გარეშე ვერ წარმოიდგენ. ელექტრო დენი აუცილებელია იმისათვის, რომ საცხოვრებელი სახლები და სამუშაო ადგილები, ქუჩები, პარკები და მოედნები განათდეს. აგრეთვე იგი საჭიროა იმისათვის, რომ ელექტრონული დანადგარები და ხელსაწყოები ამუშავდეს. მაგრამ ფრთხილად თუ არ მოვიქეცით, შეიძლება ელექტრო დენი სიცოცხლისათვის საშიშიც კი აღმოჩნდეს. იმისათვის, რომ ელექტრო დენისაგან ზიანი არ განვიცადოთ, უნდა ვიცოდეთ, როგორ დავიცვათ თავი და როგორ გამოვიყენოთ იგი. შემთხვევები, რომლებიც ქვემოთაა მოყვანილი, გამორიცხული არაა, რომ ხანძრის გაჩენით, ანდა დენის დარტყმით დამთავრდეს:

– როცა ელექტრონულ ხელსაწყოს ვეხებით, შიგადაშიგ ჩხვლეტის შეგრძნება;
– **როზეტკის*** ფერის შეცვლა;
– დამწვრის სუნი, რომელიც შეიძლება უდიოდეს ელექტრონულ ხელსაწყოს, ან შნურს;
– ზუზუნის ხმა როზეტკიდან;
– ნაპერწკალი;

რომელი წესები უნდა დავიცვათ, როცა საქმე გვაქვს ელექტრო ხელსაწყოსთან?

– არ შეყოთ მეტალის საგნები ელექტრონულ ხელსაწყოსა და როზეტკაში!
– ელექტრონული ხელსაწყოები, რომლებიც გადახურდებიან, სასწრაფოდ გამოთიშეთ!
– ელექტრონულ ხელსაწყოებს ერთი ადგილიდან მეორეზე შნურით ნუ გადაიტანთ!
– როცა ელექტრონულ ხელსაწყოს დენიდან თიშავთ, არა შნური, არამედ **შტეფსელი*** გამოწიეთ!
– ნუ მოიხმართ ელექტრონულ ხელსაწყოს, რომელსაც შნური აქვს დაზიანებული!
– ნუ მოიხმართ ელექტრონულ ხელსაწყოებს აბაზანაში, თუნდაც ისინი ბატარიებით მუშაობდნენ!
– სველი ხელით ნუ შეეხებით ელექტრონულ ხელსაწყოსა და მის შნურს!

ფრთხილად იყავით ეზოში, ბაღში, თუ პარკში თამაშის დროს!
ჰაერის ბუშტები და მფრინავი ნივთები ელექტრო ხაზებისგან მოშორებით ათამაშეთ!
თუ თქვენი სათამაშო ელექტრო ხაზებში გაიხლართა, საშველად უფროსებს უხმათ!
ნუ აძვრებით ხეებზე, რომლებიც ელექტრო ხაზების სიახლოვეს მდებარეობენ!
იცნობდეთ საფრთხის მაუწყებელ ნიშნებს და მათ გულგრილად ნუ მოეპყრობით!

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეეხოთ მავთულს, რომელიც ქუჩაში, ან გზად მიმავალს ჩამოწყვეტილი შეგხვდებათ. ჰაერში გამოკიდებულ ხაზებში, როგორც წესი, ძლიერი ძაბვა არის ხოლმე. მათი შეხება სიცოცხლისათვის სახიფათოა.

*__როზეტკა__ – სპეციალური ბუდე, რომელიც კედელში თავსდება იმისათვის, რომ ელექტრონული ხესაწყოები ელექტრო დენს შევუერთოთ.
*__შტეფსელი__ – მეტალის ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება ელექტრონული აპარატის დენზე შესაერთებლად

გაზის მოხმარებისას თუ არაა დაცული უსაფრთხოების წესები, ყველაფერი აფეთქებით, ან ხანძრით მთავრდება. ამასთან ერთად, თუ გაზის დანადგარებს სწორად არ მოიხმარენ, ეს გაზით მოწამლვის მიზეზი ხდება.

ამიტომაც დაიხსომეთ:

– ნუ დაუშვებთ გაზის ქურის გადახურებას, თუ გაზის ქურა ჩართულია, უყურადღებოდ ნუ მიატოვებთ;

– როგორც კი ოთახში გაზის სუნს იგრძნობთ, დაუყოვნებლივ გაზი გადაკეტეთ. ფანჯრები გამოაღეთ და გაანიავეთ, შემდეგ კი 104 ნომერზე დარეკეთ და საავარიო-საშემკეთებლო სამსახურს შეატყობინეთ. მანამ, სანამ დაზიანება არ აღიკვეთება, ოთახში ასანთი, სანათებელა არ აანთოთ და ელექტრონული ხელსაწყო და სინათლე არ ჩართოთ.

როგორ უნდა დავეხმაროთ გაზით მოწამლულ ადამიანებს?

– დაზარალებული სასწრაფოდ სუფთა ჰაერზე (წლის თბილ დროს ქუჩაში, ცივ პერიოდში კი კარგად განიავებულ ოთახში) უნდა გავიყვანოთ. საჭიროა იგი გულაღმა დავაწვინოთ და საკინძე შევხსნათ;

– საჭიროა დაზარალებულს სხეული სწრაფად დავუზილოთ და თავსა და მკერდზე ცივი კომპრესი (სველი ტილო) დავადოთ;

– თუ დაზარალებულს გონება არ დაუკარგავს, კარგი იქნება ჩაი დავალევინოთ. დაზარალებული თუ გონებადაკარგულია, მას ცხვირთან **ნიშადურის*** სპირტში დასველებულ ბამბას მიუტანენ ხოლმე;

ყველაფერ ამასთან ერთად საჭიროა სასწრაფო სამედიცინო დახმარებას გამოვუძახოთ. ეს წესები თითოეულმა ადამიანმა უნდა იცოდეს და აუცილებლად დაიცვას ისინი. რადგანაც საყოფაცხოვრებო კატასტროფები ხშირად ადამიანების დაუდევრობითა და ამ წესების უგულველყოფის შედეგად ხდება.

***ნიშადურის სპირტი** – ქიმიური ნივთიერება

კითხვები და დავალებები

1) რა დანიშნულება გააჩნია ელექტრო დენს ადამიანების ცხოვრებაში?
2) ელექტრო დენი როდის არის სიცოცხლისათვის საშიში?
3) გაზის დანადგარების მოხმარებისას რას უნდა მივაქციოთ ყურადღება?
4) რაში მდგომარეობს პირველადი დახმარება გაზით მოწამლვის დროს?

32. საგზაო წესები



საგზაო წესები ადამიანების უსაფრთხოებას ემსახურება. იმ ქალაქებში, სადაც ტრანსპორტი ხშირია, ამ წესების დაუცველად მოძრაობა შეუძლებელია. მოქალაქეების მიერ საგზაო წესების დაცვა კულტურული ცხოვრების დონის ერთ-ერთი მაჩვენებელია. საგზაო წესები მხოლოდ მძღოლებისთვის როდია. არსებობენ წესები, რომლებიც ფეხით მოსიარულეებმა უნდა დაიცვან.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის „საგზაო წესების შესახებ“ კანონით განსაზღვრულია წესები, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე გზებზე მოძრაობისას უნდა იქნას დაცული. აქ არის ცალკე პუნქტები, რომლებიც მძღოლებს, ფეხით მოსიარულეებსა და მგზავრებს შეეხება.

რა შედის ფეხით მოსიარულის მოვალეობაში?

– ტროტუარზე უნდა იმოძრაოს;

– ქუჩა იქ უნდა გადაჭრას, სადაც ფეხით მოსიარულეთათვისაა მონიშნული;

– საზოგადოებრივ სატრანსპორტო საშუალებებს მხოლოდ გაჩერებებზე, თუ ასეთები არაა, ტროტუარზე უნდა დაელოდოს;

– იმისათვის ,რომ სატრანსპორტო საშუალებაში ჩაჯდეს, მხოლოდ მაშინ უნდა გადავიდეს გზის მოძრავ ნაწილში, როცა ტრანსპორტი გაჩერებულ მდგომარეობაშია;

– როგორც კი სატრანსპორტო საშუალებიდან ჩამოვა, გზის მოძრავი ნაწილი დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს;

– იქ, სადაც მოძრაობა მართულია, მოძრაობის მარეგულირებელს, ანდა ფეხით მოსიარულეთათვის შუქნიშნის ანთებას უნდა დაელოდოს;

– თუ ამას აუცილებლობა არ მოითხოვს, გზის მოძრავ ნაწილში არ უნდა შეყოვნდეს, არ უნდა გაჩერდეს;

– თუ ტრანსპორტი წითელი, ან ლურჯი მოციმციმე შუქით, ან სპეციალური სიგნალით უახლოვდება, გზის მოძრავი ნაწილი არ უნდა გადაკვეთოს;

– მანამ სანამ გზის მოძრავ ნაწილზე გამოვა, უნდა დარწმუნდეს, რომ ტრანსპორტი არსაიდან უახლოვდება;

– ბავშვების ჯგუფური სიარული ნებადართულია მხოლოდ უფროსების თანხლებით დღის სინათლეზე და მხოლოდ ტროტუარზე, ან იქ, სადაც ფეხით მოსიარულეთა გადასვლაა დაშვებული.

მოძრაობის უსაფრთხოებაზე მგზავრებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა.

რა შედის მგზავრის მოვალეობებში?

– სატრანსპორტო საშუალებებში მხოლოდ გაჩერებაზე, ანდა ტროტუარიდან უნდა ჩასხდნენ;

– ჩაჯდომა და ჩამოსვლა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა სატრანსპორტო საშუალება გაჩერებულია;

– დაუშვებელია მოძრაობის დროს მძღოლის ყურადღების სხვა რამეზე გადატანა;

– ავტომობილებში, სადაც უსაფრთხოების ქამარი არსებობს, იგი აუცილებლად უნდა შემოვიჭიროთ;

თუ ადამიანები ამ წესებს დაიცავენ, უზრუნველყოფენ არამარტო თავიანთ უსაფრთხოებას, არამედ საგზაო შემთხვევებსაც გამორიცხავენ.

კითხვები და დავალებები

1) რატომ ითვლება კულტურული ცხოვრების დონის ერთ-ერთ მაჩვენებლად საგზაო წესების დაცვა?
2) რაში მდგომარეობს ფეხით მოსიარულის ამოცანა?
3) როგორ უნდა იქცეოდნენ მგზავრები ტრანსპორტში?
4) თუ არ დაიცავენ საგზაო წესებს, ამას როგორი შედეგი ექნება:1)ფეხით მოსიარულეთათვის; 2)მგზავრებისათვის? შენი აზრი რვეულში დააფიქსირე.

33. საგანგებო შემთხვევები

თანამედროვე იარაღებს, განსაკუთრებით კი ბირთულ იარაღებს დიდი დამანგრეველი ძალა გააჩნიათ. პირველი ბირთული იარაღი II მსოფლიო ომის დროს იქნა გამოყენებული. ამერიკის შეერთებული შტატების მფრინავებმა იაპონიის ქალაქებში- ხიროსიმასა და ნაგასაკაში ჩამოაგდეს ორი ატომური ბომბი, რომლებსაც პირობითად „პატარასა“ და „მსუქანას“ უწოდებდნენ. მას შემდეგ ბევრმა დრომ გაიარა. მაგრამ დაღი, რომელიც აღნიშნულმა ბომბებმა ადამიანების ცხოვრებასა და ჯანმრთელობას დაასვა, დღესაც გვახსენებს თავს.

რომელი საფრთხეები არსებობს თანამედროვე ეპოქაში?

თანამედროვე ადამიანები კარგად აცნობიერებენ ომის საფრთხესა და მისი შესაძლებლობის აღკვეთის აუცილებლობას. მიუხედავად ამისა დღესაც იქმნება სხვადასხვა სახის იარაღი. ამიტომაც ომის საფრთხე ერთხელ და სამუდამოდ არაა ღმოფხვრილი.

ქიმიური იარაღებიც ძალზედ საშიშია. ამ იარაღის მეშვეობით ადვილად შესაძლებელია ადამიანების მოწამლვა და მასიური განადგურება. მაგალითად, ქლორი და ამონიაკი ამგვარ გაზთა რიგს განეკუთნება. ქლორი, რომელიც ძლიერი სულის მხუთავი სუნით ხასიათდება, მომწვანო-მოყვითალო ფერის გაზია. იგი სასუნთქ გზებს, კანსა და თვალებს აღიზიანებს. ქლორის გაზით მოწამლვისას ორგანიზმში ძლიერი ტკივილები იწყება. ეს პროცესი მშრალი ხველებით, გულზიდვით, სულის შეხუთვითა და ცრემლდენით ხასიათდება.

ამონიაკი უფერო გაზია. ამონიაკით მოწამლვისას ადამიანს სული ეხუთება, თვალებში ტკივილს გრძნობს და ცრემლი სდის, ძლიერ ხველებას თავბრუსხვევა, კუჭის ტკივილი და გულზიდვა ერთვის.

ბირთული აფეთქება და მოწამლვა მარტო ომის დროს როდი ხდება. მშვიდობიან პერიოდშიც სახვადასხვა სახის ავარიული შემთხვევების დროს, შეიძლება გარემო დაბინძურდეს და ირგვლივ ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებები გავრცელდეს. ატომურ ელექტრო სადგურებში ატომის ენერგიიდან ელექტრო ენერგია მიიღება. ეს ენერგია საწარმოებსა და საყოფაცხოვრებო სფეროებში მოიხმარება. მაგრამ ასეთ სადგურებში თუ კატასტროფა მოხდა, რადიაქტიული* ნივთიერებები ძალზედ ფართო ტერიტორიებზე ვრცელდება და სასიცოცხლო გარემოს აბინძურებს. მოწამლულ გარემოში ათწლეულების განმავლობაში ხეები ნაყოფს არ ისხამენ, ადამიანები უმძიმესი სნეულებებით ავადდებიან. უკრაინის ატომურ–ელექტრო სადგურში 1986 წელს მომხდარი ავარიის შედეგები ძალზედ მძიმე აღმოჩნდა. რადიაქტიულმა ნივთიერებებმა, რომლებიც ავარიის შედეგად ირგვლივ გავრცელდა, აზერბაიჯანის საზღვრებამდე მოაღწია. ამიტომაც ადამიანებს უნდა შეეძლოთ თავი დაიცვან რადიაქტიული ნივთიერებების მავნე გავლენისაგან.

***რადიაქტიური** – დასხივების წარმომშობი

შენი სიმშვიდე და უსაფრთხოება

რომელ ღონისძიებებს მიმართავს სახელმწიფო იმისათვის, რომ თავისი მოქალაქეები დაიცვას?

სახელმწიფო, რომელიც თავისი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე ზრუნავს, შესაძლებელ საომარ სიტუაციებსა და ამგვარ კატასტროფებს ყოველთვის ითვალისწინებს. წინასწარ ადგენს საგანგებო შემთხვევებში მოქმედების წესებს , უწევს ორგანიზაციას მათ დაცვასა და უსაფრთხო ადგილას გადაადგილებას. აზერბაიჯანში ამ ფუნქციას საგანგებო სიტუაციათა სამინისტრო ასრულებს.

„ბავშვების უფლებების შესახებ“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონში სწერია, რომ სტიქიური უბედურებებისა, უბედური შემთხვევებისა და კატასტროფების დროს არახელსაყრელ პირობებში მოხვედრილ და დაზარალებულ ბავშვებს სახელმწიფო უანგარო სასწრაფო დახმარებას უწევს, გადაუდებელ ღონისძიებებს ახორციელებს მათი უსაფრთხო ადგილას გადაყვანის მიზნით. თუ ასეთ სიტუაციებში ბავშვები მშობლებს დაკარგავენ, მათზე მზრუნველობას სახელმწიფო იღებს თავის თავზე.

აზერბაიჯანელი ხალხი მშვიდობის მოყვარე ხალხია. ჩვენი ქვეყანა სომხეთ-აზერბაიჯანის ომშიც თავისი სურვილის წინააღმდეგ იძულებით იქნა ჩათრეული. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ხალხები და ქვეყნები, მიუხედავად იმისა , რომ ომი არ სურთ, ყოველთვის მზად უნდა იყვნენ მისი მძიმე შედეგების აღმოსაფხვრელად.

შენც მოქალაქე ხარ. თავდაცვის წესების ცოდნა შენი, როგორც მოქალაქის უშუალო ვალია.

ბირთული აფეთქება და მოსახლეობის ევაკუირება

კითხვები და დავალებები

1) რატომაა საშიში ბირთული იარაღები?
2) რა ხდება ქიმიური იარაღების გამოყენების დროს?
3) რა ცვლილებებს იწვევს ადამიანის ცხოვრებაში ქიმიური გაზები?
4) რა თვისებები გააჩნიათ რადიაქტიულ ნივთიერებებს?

34. როგორ უნდა მოვიქცეთ საგანგებო სიტუაციების დროს?

მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეთა დაცვის მიზნით სახელმწიფო ორგანოები რიგ ღონისძიებებს ატარებენ, არსებობენ ისეთი წესები, რომლებიც უნდა იცოდეს და დაიცვას თითოეულმა მოქალაქემ თავისი სიცოცხლისა და ახლობლების თავდაცვის მიზნით.

– როგორც კი საგანგაშო სიგნალი გაისმის, საჭიროა რადიო, ან ტელევიზორი ჩართოთ, საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ინფორმაცია ყურადღებით მოისმინოთ და მათი მითითებების შესაბამისად იმოქმედოთ.

თუ ჰაერში ქლორია გავრცელებული, რისი გაკეთებაა საჭირო?

ატმოსფეროში ქლორის გაზის არსებობის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში:

– საჭიროა შეიხიზნოთ დახურულ სივრცეში (სახლში);
– მალ–მალე ჰაერში წყალი უნდა მოაფრქვიოთ;
– სისტემატურად უნდა მოისმინოთ ახალი ამბები რადიოს, ან ტელევიზიის მეშვეობით;
– ხიფათის შესახებ უნდა შეატყობინოთ მეზობლებს;
– შეიძლება იხმაროთ აირწინაღი, ან სოდიან წყალში დასველებული მარლა მიიდოთ ცხვირ-პირზე. ეს საშუალებები ადამიანს ქლორით მოწამლვისგან იცავენ.

რა უნდა გაავკეთოთ თუ ჰაერში ამონიაკია გავრცელებული?

– შევიხიზნოთ დახურულ სივრცეში;
– ჩავკეტოთ კარ–ფანჯრები და სხვა საჰაერო გზები;
– გავთიშოთ გაზი, კონდიციონერი და სხვა გამნიავებელი დანადგარები;
– სასუნთქი ორგანოებისა და კანის დაცვის მიზნით შეიძლება ვიხმაროთ აირწინაღი, ან ლიმონმჟავესა თუ ყურძნის ძმარში დამუშავებული ქსოვილის ნიღაბი;
– ასეთ შემთხვევაში სასუნთქი ორგანოების დაცვის მიზნით რესპერატორს, ბამბისა და მარლის ნიღაბს, ანდა წყალში დასველებულ ქსოვილ იყენებენ;

რა უნდა ვქნათ, თუ გარემო რადიაქტიული ნივთიერებებითაა დაბინძურებული?

–ასეთ შემთხვევაში სასუნთქი ორგანოების დაცვის მიზნით რესპირატორს, ბამბისა და მარლის ნიღაბს, ანდა წყალში დასველებულ ქსოვილს იყენებენ;

– დაუშვებელია ღია სივრცეში გახდა, ჩამოჯდომა, ღია აუზში ბანაობა, ტყის კენკროვანის მიღება და სოკოს მოხმარება;

– საჭიროა წყალი მხოლოდ შემოწმებული წყაროებიდან დავლიოთ, პროდუქტი კი მხოლოდ მარკეტებიდან შევიძინოთ;

– ჭამის წინ ხელები კარგად უნდა დავიბანოთ, პირის ღრუ კი სოდიანი წყლით გამოვირეცხოთ;

ხიფათის მაუწყებელი ნიშნები

რადიაქტიული ნივთიერება

შხამიანი ნივთიერება

როცა ჰაერში შხამიანი ნივთიერებებია



საჰაეროს მიხურვა;

კონდიციონერის გათიშვა;

საჭიროა სოდიან წყალში, ლიმონმჟავაში, ან ყურძნის ძმარში დამუშავებული ნიღაბი გავიკეთოთ.

კითხვები და დავალებები

1) რა უნდა გავაკეთოთ საგანგებო სიგნალის დროს?
2) როგორ უნდა მოვიქცეთ თუ ჰაერში ქლორის გაზი ვრცელდება?
3) რისი გაკეთებაა აუცილებელი თუ ამონიაკის გაზი ვრცელდება?
4) როგორ უნდა დავიცვათ თავი რადიაქტიული ნივთიერებებისაგან?

35. კლიმატი და სულიერთა სამყარო

იმის გამო, რომ დედამიწა ოვალურია, დედამიწის ზურგზე სითბო არათანაბრად ნაწილდება. პოლუსები მზისგან ნაკლებ ენერგიას იღებენ, ეკვატორის გასწვრივ მდებარე ტერიტორიები კი– ბევრს. ამიტომაც ეკვატორიდან პოლუსებისკენ ტემპერატურა იცვლება, ამის შესაბამისად იცვლება ტენიანობის დონე, მიწის შემადგენლობა, მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო. ყოველივე ამის შედეგად წარმოიქმნებიან ტერიტორიები, რომლებიც ერთმანეთისაგან კლიმატით, მიწითა და სულიერთა სამყაროს ნაირსახეობით განსხვავდებიან. ამას დედამიწის ბუნებრივი ზონები ეწოდება.

ეკვატორის გასწვრივ ტერიტორიებზე სითბო და ტენიანობა უხვია. ამიტომაც აქ მარადმაწვანე ეკვატორიალური ტყეებია წარმოქმნილი. ამ ტყეებს ჯუნგლებსაც უწოდებენ. ჯუნგლებში 4000 მეტი ხის სახეობა ხარობს. ეკვატორიდან რაც უფრო ჩრდილოეთით და სამხრეთით მივდივართ, ტენიანობა კლებულობს. ტენიანობის კლებასთან ერთად ხშირ ტყეებს მეჩხერი ტყეები, ბუჩქოვან-ბალახოვანი ტერიტორიები ენაცვლებიან. ასეთ ტერიტორიებს სავანა ეწოდება. აქ 3000–ზე მეტი ბალხის სახეობა ხარობს. აფრიკის სავანაში ფართოდაა გავრცელებული მაღალი ბალახები. სავანაში არაერთი სახეობის ცხოველისათვის, მათშორის ვეფხვისათვის, მარტორქასათვის, ლომისათვის, ზებრასა და ანტილოპისთვის, ფრინველთა მრავალი სახეობისათვის ერთობ ხელსაყრელი პირობებია.

უდაბნოები დედემიწის ყველაზე თბილი და ყველაზე ნაკლებნალექოვანი ტერიტორიებია. უდაბნოებში ძალზედ გრძელი ზაფხული და მოკლე ზამთარი იცის. უდაბნოში ზოგჯერ წლობით ნალექი არ მოდის. ის მცირე ნალექი კი, რომელიც წლის განმავლობაში მოდის, მალევე ორთქლდება. ცხელ უდაბნოებში ტემპერატურა დღისით 50 გრადუსს აღემატება, ღამით კი 10–5 გრადუსამდე, ზოგჯერ კი 0 გრადუსამდე ეცემა. ტემპერატურის ასეთ მკვეთრ ცვალებადობას ყველა სულიერი როდი უძლებს. ამიტომაც უდაბნოს სულიერთა სამყარო ძალზედ სუსტადაა განვითარებული.

ველები უდაბნოებთან შედარებით გრილი და ტენიანია. ველის ზონაში ფართოდაა გავრცელებული ბალახოვანი მცენარეულობა, მღრღნელები, მცოცავები და ფრინველები. ველის კლიმატი მეცხოველეობის, მარცვლოვანი კულტურის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირისა და სხვა მცენარეულობის მოსაყვანად ერთობ ხელსაყრელია.

რაც უფრო ჩრდილოეთით მივდივართ, სითბოს კლება ტაიგის* ტყეების წარმოშობას უწყობს ხელს. ტაიგაში სიცივისგამძლე ფიჭვის ხეები ხარობენ. აქ ისეთი ცხოველები ბინადრობენ, როგორებიცაა ხარ-ირემი, დათვი და კვერნა. უფრო ჩრდილოეთით კი ტაიგას ტუნდრა ენაცვლება. ტუნდრაში მოკლე ზაფხული და გრძელი ზამთარი იცის. აქ ძირითადად ლიქენები, არყის ხე, ხავსი და ჭაობის ბალახეულობა ხარობს. ტუნდრაში

*ტაიგა — ჩრდილოეთში წიწოვანი ტყის ზონა

ადამიანი ცვლის ბუნებას

ძირითადად ჩრდილოეთის ირემი, ჩრდილოეთის მელა, თეთრი ხოხობი და სხვა ცხოველები ბინადრობენ.

დედამიწის ბუნებრივი ზონები ყოველთვის ერთსა და იგივე მდგომარეობას როდი ინარჩუნებს. დროთა განმავლობაში არაერთი მიზეზის გამო კლიმატი იცვლება. კლიმატის ცვლილება კი თავის მხრივ მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს ცვლილებას იწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორია ძალზედ დიდი არაა, მისი ბუნება უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანია. აქ დიდი და პატარა კავკასიის მთები (რუკაზე ყავისფრადაა მოცემული), მტკვრისა და არაქსის მიდამოებია (რუკაზე მწვანე ფერითაა მოცემული) განლაგებული. ეს კი აზერბაიჯანში კლიმატის ნაირფეროვნებას იწვევს. მთებში კლიმატი ცივი და ტენიანია, ბარში კი სითბო და სიმშრალეა.

კითხვები და დავალებები

1) რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან ბუნებრივი ზონები?
2) რომელი ბუნებრივი ზონები არსებობს დედამიწის ზურგზე?
3) რითაა განპირობებული აზერბაიჯანის ბუნების სიმდიდრე?
4) დაწერე თემა სახელწოდებით–„ბუნებრივი ზონები“
5) უჩვენე აზერბაიჯანის რუკაზე მთა და ბარი.

36. ბუნებრივი რესურსები

ყველაფერს, რასაც ბუნება მზა სახით გვაძლევს და რაც ადამიანის ცხოვრებისათვის გამოყენებადია, ბუნებრივი რესურსები ეწოდება. სასარგებლო წიაღისეული, მიწა, წყლის მარაგი, ოკეანეები და ზღვები მსოფლიოს ბუნებრივი რესურსებია.

სასარგებლო წიაღისეულს მიწის მინერალურ რესურსებსაც უწოდებენ. ასეთ წიაღისეულს სპილენძი, ოქრო, ალუმინიუმი, რკინა და სხვა მეტალის მადნეული, აგრეთვე ნავთობი, ქვანახშირი, ძვირფასი ქვები, მარმარილო, ქვიშა და კენჭები განეკუთნებიან. მინერალურ რესურსებს უდიდესი საწარმოო მნიშვნელობა გააჩნია. თუ არა ისინი, წარმოების არაერთი სფერო ვერ იფუნქციონირებდა. მაგრამ დედამიწის ბუნებრივი რესურსები დროთა განმავლობაში იწურება.

დედამიწის რესურსები ადამიანების ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობს. მიწის რესურსიც ამოწურვადია. მაგრამ მინერალური რესურსებისაგან განსხვავებით, რიგი ღონისძიებების შედეგად იგი კვლვ სახნავ–სათესად ვარგისიანი ხდება.

მიწის ზედაპირის 1/3 ნაწილი ხმელეთს, ხოლო 2/3 ზღვებსა და ოკეანეებს უკავიათ.

ირგვლივ თუ ამდენი წყალია, რატომ ხდება ისე, რომ კაცობრიობის ნაწილი უწყლობას განიცდის?

ზღვებისა და ოკეანეების წყალი მლაშეა. ამიტომაც დასალევად არ ვარგა. მსოფლიოს დასალევი წყლის მარაგი მდინარეებში, ტბებსა და მყინვარებშია თავმოყრილი. ამჟამად იმ პრობლემეთაგან, რომლებიც ადამანებს აღელვებს, ისაა, რომ სასმელი წყლის მარაგი დღითი–დღე კლებულობს. მართალია დედამიწის ზურგზე უხვწყლიანი მდინარეები და დიდი ტბები არსებობს. მსოფლიოს ყველაზე უხვწყლიანი მდინარე ამაზონი იმდენად დიდია, რომ მის წყლებში ოკეანის გემებიც კი დაცურავენ. მაგრამ სასმელი წყალი პლაწეტაზე თანაბრად არაა გადანაწილებული. იმ დროს , როცა ზოგიერთ ადგილას სასმელი წყალი ასე უხვია, მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყნებში უწყლობის გამო დიდ გასაჭირს განიცდიან.

ტყეები, რომლებიც ატმოსფეროს ჟანგბადით ამდიდრებენ, ბუნებრივი რესურსების უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენენ. ტყეები ქაღალდისა და ავეჯის წარმოების მიზნით განუწყვეტლივ იჩეხება. ტყის მასივის შემცირება ადამიანების წინაშე დიდ პრობლემებს წარმოშობს. ტყეები სწრაფად იჩეხება, მაგრამ მის აღდგენას დიდი დრო სჭირდება.

რატომ უწოდებენ ტყეებს პლანეტის ფილტვებს?

ადამიანი ცვლის ბუნებას

რადგანაც ხის მოჭრა ძალზედ იოლია. ხის გაზრდასა და იმას, რომ ნაყოფი მოისხას და ჩრდილიც ჰქონდეს, წლობით დრო სჭირდება. ამიტომაც თითოეული ხის დაცვა და გადარჩენა აუცილებელია.

ზღვები და ოკეანეები, ჰაერი და ქარის ენერგიაც კი ბუნებრივ რესურსებში შედის. ზღვებისა და ოკეანეების სულიერთა სამყაროს ადამიანები საჭიროებისამებრ მოიხმარენ. ადამიანების საკვების მნიშვნელოვან ნაწილს თევზი და სხვა ზღვის პროდუქტების ნაწარმი წარმოადგენს. თანამედროვე ადამიანები ცდილობენ ზღვის ტალღების ენერგიაც გამოიყენონ. რადგანაც იგი უდიდესი ძალის შემცველია.



სასარგებლო წიაღისეული

ჩვენს ქვეყანაში ნავთობისა და გაზის დიდი მარაგი არსებობს. ეს რესურსები აზერბაიჯანის ყველაზე დიდი სიმდიდრეა. ჩვენს რესპუბლიკაში მადნეულის საბადოებიც ბლომადაა. ამ საბადოებში რკინა, ოქრო, სპილენძი, ალუმინიუმი და სხვა მეტალები არსებობს. რკინის მადნეულის ყველაზე დიდი საბადო დაშქესენში მდებარეობს. გედებეიში კი ოქროს საბადოებია.

იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში მინერალური წყლების დიდი რესურსებია , აზერბაიჯანის ტერიტორიას „მინერალური წყლების მუზეუმს“ უწოდებენ.

რაა საჭირო იმისათვის, რომ ბუნებრივი სიმდიდრე არ გამოილიოს?

მრავალი სახის ბუნებრივი რესურსი უხვად მოიხმარება და მოპოვების დროს დანაკარგებიც ბევრია, სწორედ ამის გამო მათი მარაგი დღითი–დღე ილევა. მაგალითად, ის, რომ წყალზე მოთხოვნილება სისტემატურად მატულობს, წყალი კი სულ უფრო კლებულობს, შეიძლება მომავალში კაცობრიობის წინაშე დიდ პრობლემად იქცეს. ამიტომაც დაუშვებელია სასმელი წყლის სხვადასხვა ნარჩენებით დაბინძურება და არადანიშნულებისამებრ გამოყენება. სახლში, ეზოში, თუ სკოლაში თუ არ დაუშვებ სასმელი წყლის ცუდუბრალოდ დინებას, შენც მიიღებ მონაწილეობას მისი ყაირათიანად მოხმარების საშვილიშვილო საქმეში. ეს ყველა ადამიანის ვალია. საჭიროა, ბუნებრივი რესურსები მომავალი თაობებისათვის დავიცვათ.

კითხვები და დავალებები

1) რა შედის დედამიწის ბუნებრივ რესურსებში?
2) აზერბეიჯანის რესპუბლიკაში რომელი ბუნებრივი რესურსები არსებობს?
3) რისი მიზეზი შეიძლება გახდეს ბუნებრივი რესურსების ამოწურვა?
4) როგორ დაეხმარება მეცნიერება სასმელი წყლის მარაგის მომატებასა და დამატებითი ელექტრო ენერგიის მოპოვებას? ამის თაობაზე შენი აზრი რვეულში ჩაწერე.

37. როგორ იცვლება ბუნება?

ძველ დროში ბუნება დღევანდელთან შედარებით ძალზედ განსხვავებული იყო. დედამიწის ზურგზე ბევრი ტყე ხარობდა. ისეთი ადგილებიც ბევრი იყო, სადაც ჯერ ადამიანს ფეხი არ დაედგა. უძველესი დროიდან ვულკანების ამოფრქვევამ, მიწისძვრებმა, მეწყერმა, წყალდიდობებმა და სხვა ბუნებრივმა მოვლენებმა პლანეტაზე მრავალი ცვლილება გამოიწვიეს. მოგვიანებით კი ბუნება და გარემო ადამიანების საქმიანობის შედეგად უფრო სწრაფად შეიცვალა. პირველყოფილ ადამიანებს თბილი, ტენიანი და მცენარეულობით მდიდარი ადგილები უფრო იზიდავდა. რადგანაც მათი საკვები ხილისა და ველური მცენარეების ფესვებისაგან შედგებოდა. მოგვიანებით ადამიანებმა თევზებსა და გარეულ ცხოველებზე ნადირობა ისწავლეს. იმ პერიოდში ადამიანი მხოლოდ მომხმარებელი იყო. იგი ჯერ არაფერს აწარმოებდა, მხოლოდ მზა საკვებს მოიხმარდა. ამიტომაც იმ ტერიტორიებზე სადაც ადამიანები ბინადრობდნენ, გარეული ცხოველები და ველური მცენარეები სწრაფად კლებულობდა. ადამიანები საკვების ძიებაში უფრო დიდ ტერიტორიებს მოიცავდნენ. მოგვიანებით კი მიწათმოქმედება და მეცხოველეობა დაიწყო. ადამიანებმა საკვების მოპოვების მიზნით ცხოველების მოშინაურებაც იწყეს. დასამუშავებელ მიწის ნაკვეთებს აფართოვებდნენ. ამრიგად ისინი უბრალო მომხმარებლიდან მწარმოებლად იქცნენ.

როგორ სარგებლობს ადამიანი ბუნებისაგან?

რაც უფრო დრო გადიოდა ადამიანები სატრანსპორტო გზებს, ნავთობ და გაზსადენებს და საცხოვრებელ სახლებს აგებდნენ. ბუნება თავის პირვანდელ სახეს იცვლიდა. თანამედროვე დროს ეს პროცესი უფრო სწრაფად მიმდინარეობს. რადგანაც მსოფლიოს მოსახლეობის რიცხვი იზრდება და ბუნებაზე ადამიანის გავლენაც მატულობს.

ადამიანები, როგორც წესი,ისეთ ადგილებს ელტვიან, სადაც უკეთესი ცხოვრების პირობებია. ამიტომაც საცხოვრებლად სოფლიდან ქალაქში ჩამოსულთა რიცხვი

ქალაქიდან სოფლად გადასულთა რიცხვს ყოველთვის აღემატება. სამუშაო ადგილებისა და განათლების დაწესებულებების სიმრავლე ადამიანებს ქალაქისკენ იზიდავს.

თანამედროვე დროში ქვეყნები ერთმანეთთან ეკონომიკის, კულტურისა და სხვა სფეროებში თანამშრომლობენ. ამათუ იმ ქვეყანაში წარმოქმნილი და გაძლიერებული კომპანია ფაბრიკა–ქარხნებს სულ სხვა ქვეყნებში აშენებს და თავის პროდუქტს იქვე აწარმოებს. მაგალითად, ამერიკისა და ევროპის ნავთობკომპანიებმა 1994 წლის 20 სექტემბერს აზერბაიჯანთან „საუკუნის ხელშეკრულება“ დადეს.

ამ ხელშეკრულებამ აზერბაიჯანულ სინამდვილეში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა. შეიცვალა რესპუბლიკის როგორც ცხოვრება, ასევე ბუნება. „საუკუნის ხელშეკრულების“ შესაბამისად მოპოვებული ნავთობის ევროპაში გადაზიდვის მიზნით ჯერ ბაქო–სუფსას, შემდეგ კი ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ნავთობსადენები იქნა გაყვანილი. აღდგენილ იქნა „დიდი აბრეშუმის გზა“, რომელმაც თავის დროზე რიგი ქვეყნების ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი როლი ითამაშა. ეს გახლავთ უმნიშვნელოვანესი საავჭრო გზა, რომელიც აზერბაიჯანს შორეულ ქვეყნებთან უშუალოდ აკავშირებს. დიდი აბრეშუმის გზის აღდგენამ გამოიწვია სავაჭრო ურთიერთობის აღორძინება იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ამ გზით სარგებლობენ.

ყოველივე ამან განავითარა აზერყოველივე ამან განავითარა აზერბაიჯანის ეკონომიკა. მისი ბიუჯეტი გაამდიდრა ნავთობთან დაკავშირებული შემოსავლების ხარჯზე. რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები გაიზარდა და კეთილმოეწყო. გაყვანილ იქნა გზები, აშენდა ახალი, მრავალსართულიანი სახლები, იმატა პარკების რიცხვმა და გარემოც შეიცვალა. ამგვარი ცვლილება დღესაც გრძელდება. როგორც დავინახეთ, ბუნებას უფრო მეტად ადამიანები ცვლიან. ნებისმიერი ცვლილება, რაც საზოგადოებაში ხდება, თავის მხრივ ბუნებაშიც აისახება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საზოგადოების განვითარება ბუნებასაც ცვლის.

გარემო იცვლება

კითხვები და დავალებები

1) შენი აზრით, ადამიანმა ბუნება რომელ შემთხვევაში უფრო მეტად შეცვალა: როგორც მომხმარებელმა, თუ როგორც მწარმოებელმა? რატომ?
2) როგორ შეცვალა დამოუკიდებელი აზერბაიჯანის სახე „საუკუნის ხელშეკრულებამ“?
3) როგორ იცვლება ადამიანის საქმიანობის შედეგად მცენარეთა და ცხოველთა სამყარო?
4) რა სამუშაოები მიმდინარეობს იმ ტერიტორიაზე, სადაც შენ ცხოვრობ? დაწერე თემა სათაურით– „როგორ მოქმედებს ბუნებაზე ეს სამუშაოები?“

38. გეოგრაფიული ფენა

გეოგრაფიული ფენა გახლავთ ჩვენს ირგვლივ არსებული გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ. გეოგრაფიულ გარემოში სულიერი და არასულიერი ბუნება მჭიდრო კავშირშია.

მზე, წყალი და ჰაერი როგორც სულიერი, ასევე არასულიერი ბუნების ცხოვრებაში აუცილებელი ფაქტორიებია. სულიერები ამ ბუნებრივი ფაქტორების ანგარიშზე ცოცხლობენ, შემდეგ კვდებიან და უსულოთა ბუნებას უერთდებიან. ამგვარად გეოგრაფიულ ფენაში მის შემადგენელ კომპონენტებს შორის გამუდმებით მიმდინარეობს ენერგიისა და ნივთიერებათა ცვლა.

რომელი კომპონენტები შეადგენენ გეოგრაფიულ ფენას?

ეს გახლავთ მიწა, ქანები, წყალი, კლიმატი, მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო. წყალი და კლიმატი მონაწილეობს გეოგრაფოულ ფენაში მიმდინარე ყველა პროცესში. ანუ კლიმატი ზემოქმედებს მიწაზე, წყალზე, მცენარეებსა და ცხოველთა სამყაროზე. მიწას, მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროს შორის მუდმივი კავშირი არსებობს. მაგალითად იმისათვის, რომ ხორცისმჭამელებმა იარსებონ, უნდა არსებობდნენ ბალახისმჭამელი ცხოველები. მცენარეები რომ არ არსებობდეს, ის ცხოველებიც არ იქნებიან, რომლებიც ბალახით იკვებებიან. სულიერი და უსულო ბუნების მუდმივი კავშირი იმას ნიშნავს, რომ თუ ბუნებრივ კომპონენტთაგან ერთი დაზიანდა, ეს ფაქტი აუცილებლად აისახება კომპონენტთა მთლიან ჯაჭვზე. ერთი ბუნებრივი კომპონენტის დაზიანების შედეგად დანარჩენი კომპონენტებიც უარყოფით გავლენას განიცდიან. მაგალითად, კლიმატური პირობების მოშლა სერიოზულად ვნებს მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროს. ასეთ შემთხვევაში ზოგიერთი მცენარისა და ცხოველთა ჯიშები გადაშენდება ხოლმე. თუ მიწა ნაყოფიერებას დაკარგავს, ეს იქ მობინადრე ცხოველების გადაშენებას, ანდა უკეთეს შემთხვევაში სხვა ტერიტორიებზე გადახვეწას გამოიწვევს.



კავშირი ბუნებრივ კომპონენტებს შორის

ამრიგად, ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ დედამიწის ზურგზე სიცოცხლის არსებობა დამოკიდებულია იმ კომპონენტებზე, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. ამ კომპონენტების მოვლა-პატრონობა ცხოვრების მოვლა-პატრონობას ნიშნავს.

ადამიანი ცვლის ბუნებას

ტყით სარგებლობა

ზღვით სარგებლობა

რას აკეთებენ ადამიანები იმისათვის, რომ ბუნება უფრო ნაყოფიერად გამოიყენონ?

ადამიანები ცდილობენ, ბუნება უფრო ნაყოფიერად გამოიყენონ იმისათვის, რომ მოთხოვნილებები დაიკმაყოფილონ.

სოფლის მეურნეობაში ეძებენ გზებს იმისათვის, რომ გარკვეულწილად აანაზღაურონ ზარალი, რომელსაც ბუნება განიცდის. სახნავ-სათესი ფართობის დაზოგვისა და მოსავლიანობის მომატების მიზნით, მეცნიერებს უფრო შემოსავლიანი მცენარეთა და ცხოველთა ჯიშები გამოჰყავთ. აზერბაიჯანელმა მეცნიერებმა უფრო უხვი შემოსავლის მიღების მიზნით ხორბლის, ბამბის, ვაშლის, ბროწეულისა და სუფრის ყურძნის უფრო ნაყოფიერი ჯიშები გამოიყვანეს.

1972 წლიდან მოქმედებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური პროგრამა, რომელსაც UNEP-ი ეწოდება. იგი მიზნად ისახავს ბუნებრივი რესურსების უფრო ნაყოფიერ გამოყენებასა და გარემოს დაცვას.აღნიშნული პროგრამა ყველა ქვეყანას მოუწოდებს, რომ ერთად ვიბრძოლოთ ადამიანების ჯანმრთელობის, ჰაერის, მიწის, სასმელი წყლის, ოკეანის წყლების, მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს დაცვა-გადარჩენის მიმართულებით. რადგანაც ჰაერისა და წყლის დაბინძურება, ბუნებრივი რესურსების ამოწურვა არა მხოლოდ ერთი ქვეყნის, არამედ მთელი პლანეტის პრობლემაა.

კითხვები და დავალებები

1) რომელი ბუნებრივი კომპონენტები შედის გეოგრაფიულ ფენაში?
2) როგორი კავშირი არსებობს გეოგრაფიულ ფენასა და ბუნებრივ კომპონენტებს შორის?
3) რას გამოიწვევს ბუნებრივ კომპონენტებს შორის კავშირის მოშლა?
4) რა კავშირშია ერთმანეთთან სულიერთა და არასულიერთა სამყარო?
5) ჩამოწერე შენი წინადადებები ბუნებრივი კომპონენტების დაცვის მიმართულებით იმ ტერიტორიაზე, სადაც ცხოვრობ.

39. საზოგადოება და მცენარეული საფარი



ჩვენი პლანეტის კლიმატი, წყალი, ენერგო რესურსები და სრულიად სულიერთა სამყარო ძლიერაა დამიკიდებული ტყეების რაოდენობაზე. უძველეს დროში ტყეებს დედამიწაზე ხმელეთის ორი მესამედი ნაწილი ეკავა. ახლა კი ერთი მესამედიც არ უკავია. სიმწვანე უპირველეს ყოვლისა ჟანქბადს, სუფთა ჰაერს ნიშნავს. ტყეების გაჩეხვა თავის მხრივ იწვევს ჟანგბადის შემცირებას, რომელიც დედამიწის ზურგზე სიცოცხლის ძირითადი ფაქტორია. ტყეები იცავენ მიწასა და წყალს.



გარდა ამისა ტყე გვაძლევს ქაღალდს, ავეჯსა და საშენ მასალას. ბოლო 50-60 წლის განმავლობაში მსოფლიოში არსებული ტროპიკული ტყეების თითქმის ნახევარი გაიჩეხა. თუ ადამიანები ამ ტემპით გააგრძელებენ ტყეების განადგურებას, 50 წლის შემდეგ დედამიწის ზურგზე არც ტყე და არც იქ მობინადრე ცხოველები დარჩებიან.

ბოლო ასი წლის განმავლობაში მსოფლიოში ველების ბუნებაც საკმაოდ შეიცვალა. იმან, რომ ერთობ ფართო ტერიტორიებზე ითესება ისეთი ტექნიკური მცენარე, როგორიც ბამბაა და საძოვრებსაც დიდი ტერიტორიები ეთმობა, მინდვრების ბუნება საკმაოდ შეცვალა. რადგანაც სასუქის შემადგენლობაში არსებული ქიმიური ნივთიერებანი, რომელსაც სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გაზრდის მიზნით იყენებენ, მიწის ვარგისიან ფენას ძლიერ ფიტავს.

ფაბრიკა-ქარხნების გამონაბოლქვი ბოლი და მური ჰაერში წყლის ორთქლს ერევა და მავნე (ამჟავებულ) წვიმის სახით უბრუნდება დედამიწას. ასეთი წვიმები კი, იმის მაგივრად, რომ მცენარეებს სული ჩაჰბეროს, ახმობს.

> რა ღონისძიებებს მიმართავენ აზერბაიჯანში იმისათვის, რომ დაცული იყოს მწვანე საფარი?

აზერბაიჯანის ტერიტორია დიდი არაა, მაგრამ აქ განსხვავებული კლიმატური ტიპები არსებობს. ჩვენი ქვეყანა ჩრდილოეთით კავკასიის დიდი ქედით, დასავლეთით კავკასიის პატარა მთებითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით თალიშის მთებითაა შემოსაზღვრული. ქვეყნის ტყის საფარის დიდი ნაწილი მთიან ზონაშია, მცირე ნაწილი კი ბარშია განლაგებული.

როგორც მსოფლიოში, აზერბაიჯანშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გამწვანების დაცვა-პატრონობას. რადგანაც აზერბაიჯანში ტყე ცოტაა. რესპუბლიკის ტერიტორიის სულ ერთ მეათედზე ცოტა მეტი ფართობი უკავია ტყეს. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანის ტყეები ჯიშთა თვალსაზრისით ერთობ მდიდარია. ჩვენს ტყეებში 450 ათასი ჯიშის ხე და ბუჩქი ხარობს. ჩვენი ტყეები ძირითადად ხის სამი ჯიშისაგან

შედგება. ესენია მუხა, თელა, და რცხილა. აზერბაიჯანის თალიშის ტყეებში ისეთი ხეები ხარობენ, რომელთა ჯიშებიც მთელ მსოფლიოში იშვიათია. ჰირქანის ტყეები აზერბაიჯანის ყველაზე ძვირფას საგანძურთაგანია. აქ ხარობენ ისეთი ჯიშები, როგორებიცაა ჰირქანის ლეღვი, ჰირქანის ჭადარი, კავკასიური ხურმა, აბრეშუმის აკაცია, ბზის და სხვა ხეები. გარდა ამ ტყეებისა, არსებობენ კიდევ ტყეები, რომლებიც ბუჩქოვანი ნაზარდებისაგან შედგებიან. ეს ხეები შეშის მომარაგების მიზნით სისტემატურად იჩეხება, რის შედეგადაც მცირდება მცენარეული საფარი, რაც თავის მხრივ ძლიერ ზიანს აყენებს გარემოს.

ტყის საფარის გაჩეხვა აზერბაიჯანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. მიღებულია „ეროვნული პროგრამა“ , რომელიც ითვალისწინებს ჩვენს ქვეყანაში ტყის ზოლის აღდგენასა და გაფართოებას. იმისათვის ,რომ ხე დარგა, რაიმე მითითება არცაა საჭირო. რადგანაც ყველამ იცის, რომ ეს ძალზედ საჭირბოროტო და სასარგებლო საქმეა. ადამიანს ძლიერ ახარებს მის მიერ დარგული ხის გაზრდა და ნაყოფის მოსხმა. თითოეულ მოქალაქეს ვალად უნდა მიაჩნდეს სამშობლოს ბუნებისა და მისი სიმწვანის მოვლა , პატრონობა და დაცვა.

კითხვები და დავალებები

1) რაში მდგომარეობს ტყეების მნიშვნელობა?
2) რომელი ფაქტორები იწვევენ ნიადაგის დაბინძურებას?
3) აზერბაიჯანის ტყეებში ძირითადად რომელი ხეები ხარობენ?
4) მოამზადე მცირე წარდგინება სათაურით- „ როგორაა დაცული გამწვანება იმ ტერიტორიაზე, სადაც მე ვცხოვრობ?“

40. საზოგადოების განვითარება და ცხოველთა სამყარო



უძველეს დროში ადამიანები ცხოველებთან ერთად გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ. საზოგადოების განვითარებასთან ერთად ადამიანის საცხოვრისიც შეიცვალა. აშენდა სახლები, გაშენდა სოფლები და ქალაქები. გაჩნდა სამრეწველო ცენტრები და სამეურნეო ფართობები. ყოველივე ამის შედეგად დედამიწის ზურგზე დიდი ცვლილებები მოხდა. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. ბუნების სახეცვლილებასთან ერთად უარესდება ცხოველების საცხოვრებელი პირობები. ამისი შედეგია, რომ ბოლო სამასი წლის განმავლობაში ასამდე ცხოველის ჯიში გადაშენდა. თუ კარგად არ იქნა დაცული რამოდენიმე წლის შემდეგ ისეთი სახეობებიც გადაშენდებიან როგორიცაა დიდი პანდა, ორანგუტანი, აფრიკული სპილო, ამერიკული ბიზონი, შავი მარტორქა და სხვა იშვიათი ჯიშები. ადამიანები ცხოველებს უმოწყალოდ ანადგურებენ მათი ხორცის, ტყავის, ბეწვის, კბილისა თუ რქის გამო. ისეთ ცხოველებს, როგორებიცა ფოცხვერი და ჰეპარდი, ლამაზი ბეწვისათვის, ზოგს ძვირფასი ტყავისათვის, ხოლო ისეთ გიგანტ ცხოველებს, როგორიცაა მარტორქა და სპილო რქებისა და კბილების გამო ხოცავენ.

ცხოველთა სამყაროს ადამიანების სამეურნეო საქმიანობაც აყენებს ზიანს. ქიმიური ელემენტებით მდიდარი სასუქები, რომლებსაც სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობის გაზრდის მიზნით იყენებენ, წყალთან ერთად მიწაში ილექება და დიდ ფართობებზე ახდენს უარყოფით გავლენას. ხშირად კი ეს მავნე ნივთიერებები წვიმის სახით გვიბრუნდება და მდინარეებსა და ტბებში ილექება, ბოლო ჯამში კი ფრინველებსა და თევზებს დიდ ზიანს აყენებს. ამჟამად ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებული ავარიული შემთხვევების დროს ზღვისა და ოკეანის წყლები დიდად ბინძურდება. ეს კი თავის მხრივ უამრავი სულდგმულის მოსპობას იწვევს. მაგალითად, კასპიის ზღვაში ყოველწლიურად მილიონობით კუბური მეტრი გაბინძურებული წყალი ჩაედინება. კასპიის ზღვა ნავთობპროდუქტებითა და სხვა ნარჩენებითაც საკმაოდაა დაბინძურებული. კასპიის ზღვის გაბინძურების შედეგად ზუთხის რიცხვი კლებულობს. ზოგიერთი თევზის სახელი უკვე „წითელ წიგნშია“, ზოგიერთი ჯიში კი საერთოდ გადაშენდა.

იმის გამო, რომ აზერბაიჯანში სხვადასხვა კლიმატური ტიპები არსებობს, ისტორიულად აქ ცხოველთა სამყაროც მრავალფეროვანი იყო. ახლა აზერბაიჯანის ბუნებაში იშვიათი, გადაშენების პირას მისული ცხოველებისა და ფრინველების ჯიშები გვხვდება. მათშორის შეგვიძლია დავასახელოთ ფოცხვერი, ხალებიანი ირემი, ჯიხვი, ჯეირანი, შველი, ხოხობი, გედი, თურაჯი და სხვა. აზერბაიჯანში ამ ცხოველებისა და ფრინველების ჯიშები „წითელ წიგნშია“ შეტანილი.

რომელ ღონისძიებებს ახორციელებს სახელმწიფო იმისათვის, რომ ცხოველთა სამყარო დაიცვას?

ადამიანი ცვლის ბუნებას

სახელმწიფო ცხოველთა სამყაროს დაცვის მიზნით სხვა ღონისძიებებსაც მიმართავს. ამ მიზნით იკრძალება იმ ცხოველებზე ნადირობა, რომელთა რიცხვიც კლებულობს. შენდება ნაკრძალები და ეროვნული პარკები.

გიზილაღაჯის ნაკრძალი საერთაშორისო მნიშვნელობის ნაკრძალია, სადაც წყლისპირა და წყალში მცურავი ფრინველები ბინადრობენ. გადაფრენის დროს ამ ნაკრძალში ისვენებენ ფრინველები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ბინადრობენ. აქ 248 სახეობის ფრინველს, მათშორის სულთანქათამს, თურაჯს, წითელ ბატს, თეთრ წეროსა და სხვა ფრინველებს შეიძლება შეხვდეთ. ზაქათალას ნაკრძალში კი დაცულია ისეთი ცხოველები, როგორიცაა დაღესტნური ჯიხვი, ირემი, შველი, გარეული ღორი, რუხი დათვი, ტყის კატა , სინჯაბი, თაგვი და სხვა. ადამიანები ამგვარად ცდილობენ მრავალი ჯიშის ცხოველი სრულ გადაშენებას გადაარჩინონ. მაგრამ ეს არაა საკმარისი იმისათვის, რომ ბუნების წონასწორობა დავიცვათ. იმისათვის, რომ ბუნების წონასწორობა შევინარჩუნოთ, უნდა შეგვეძლოს მისი სწორი გამოყენება.

საქართველო
რუსეთი
კასპიის ზღვა
სომხეთი
ირანი
ბელაქანი
ზაქათალა
კახი
შექი
ყახახი
აქსტაფა
თოვუზი
ოღუხი
გაბალა
გუსარი
ხაჩმაზი
ბაკუ
ბაკურ
ბაკურ
ბაკურ

41. საზოგადოება და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი



ძვალი ადამიანების სამუშაო ხალსაწყო ერთობ პრიმიტიული და უბრალო იყო. ისინი მიწას ამუშავებდნენ თოხისმაგვარი ხელსაწყოთი, რომელსაც ქვისგან, ან ძვლისგან აკეთებდნენ. ძვლისგან სადგისის, ისრის წვერისა და სხვა ხელსაწყოების გაკეთებაც ისწავლეს. გავიდა დრო და მშვილდ-ისარი გამოიგონეს. ამ სიახლემ საკმაოდ შეცვალა ადამიანების ცხოვრება. მათ მშვილდ-ისრის მეშვეობით ბევრი ცხოველი მოინადირეს.

მოგვიანებით შრომის ხელსაწყოებიცა და იარაღიც კიდევ უფრო დაიხვეწა. გაჩნდა მეცნიერება და ადამიანებმა ყოფა-ცხოვრებაში მეცნიერული მიღწევების დანერგვა დაიწყეს. გემებმა, რომლებიც აქამდე ქარისა და იალქნის მეშვეობით მოძრაობდნენ, ახლა ძრავის მეშვეობით იწყეს შორეულ მანძილზე გადაადგილება.

ას წელზე მეტია გასული მას შემდეგ, რაც თბომავალი და ავტომობილი გამოიგონეს. ამის შემდეგ პროგრესი უფრო სწრაფი ტემპით წარიმართა. თვითმფრინავებმა, ელოქტრონიზებულმა ტრანსპორტმა, კინომ, რადიომ, ტელევიზორმა, აუდიო და ვიდეო მაგნიტოფონებმა, სინთეტიკურმა მასალებმა, კომპიუტერმა და მობილურმა ტელეფონმა ადამიანის ცხოვრება ერთობ სწრაფად შეცვალა. წარმოიქმნა ახალი სფეროები და ყველაფერი ეს ამჟამადაც გრძელდება.

ადამიანების ცხოვრებაში მომხდარ ამ სიახლეებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ეწოდება.თანამედროვე ეპოქაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ფართო გასაქანს აძლევს ეკონომიკურ განვითარებასა და ნაყოფიერების ზრდას. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით XXI საუკუნეში ახალი სპეციალობები და ხელობები წარმოიშვა.

როგორი გავლენა შეიძლება იქონიოს ტექნიკურმა საშუალებებმა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე?

მანქანასა და ტექნიკას ადამიანებისათვის შეიძლება როგორც კარგი, ასევე ცუდი შედეგი ჰქონდეს.

ავტომობილი რომ არ იყოს, თანამედროვე ქალაქებში ადამიანები იძულებულნი იქნებოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე ფეხით გადაადგილებულიყვნენ. ეს კი ყოველთვის როდია შესაძლებელი. ესეიგი ავტომობილი ხელსაყრელი სატრანსპორტო საშუალებაა. მაგრამ საავტომობილო წარმოების გაფართოება საცხოვრებელ გარემოს საგრძნობლად აბინძურებს. ატმოსფეროს ასევე აჭუჭყიანებს ავტომობილების გამონაბოლქვი.

მეორეს მხრივ კი, ადამიანები, რომლებიც ავტომობილს ეჩვევიან, ფეხით სიარულზე უარს ამბობენ. ეს კი უძრაობას, ზედმეტ წონასა და სხვადასხვა დაავადებებს იწვევს.

ტელევიზორი იმასთან ერთად რომ ძალზედ კარგი საინფორმაციო წყაროა, ამავე დროს ადამიანებს წიგნს სწყვეტს. ადამიანების სულიერი სამყაროს ფორმირებაში კი კითხვას უმნიშვნელოვანესი როლი გააჩნია. მიუხედავად ყოველივე ამისა, ადამიანს უნდა შეეძლოს ტექნიკური პროგრესის მოხერხებულად და ჭკუით გამოყენება.

---

* **პროგრესი** – წინსვლა, განვითარება

ადამიანი ცვლის ბუნებას

როგორ შეიძლება აღვკვეთოთ ტექნიკისა და ტექნოლოგიის უარყოფითი გავლენა გარემოზე?

უარყოფითი შედეგი აქვს იმას, რომ იყენებენ იმ ტექნოლოგიებს, რომლებიც გარემოს აბინძურებენ. ადამიანები დიდ თანხებს ხარჯავენ იმისათვის, რომ ეს შედეგები გააუვნებელყონ. ჩვენს დროში ამ მიმართულებით მეცნიერებამ დიდი ამოცანები დაისახა. ეს ამოცანები იმაში მდგომარეობს, რომ შექმნას ისეთი ტექნოლოგიები, რომელიც არ გააბინძურებს გარემოს და მოიძიოს უსაფრთხო, სუფთა ენერგიული წყაროები. და ესაა ახალი მიმართულება, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ტენდენციებს განსაზღვრავს.

კითხვები და დავალებები

1) რას ნიშნავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი?
2) ტექნიკას ადამიანისათვის რომელი სასარგებლო მხარეები გააჩნია?
3) რომელი უარყოფითი შედეგები შეიძლება ჰქონდეს ტექნიკურ განვითარებას?
4) როგორ შეიძლება აღვკვეთოთ უარყოფითი შედეგები?
5) დაწერე ესე სათაურით- „ტექნოლოგიები, რომლებიც გარემოს არ აბინძურებენ“.

42. რა არის ეკოლოგია?

ეკოლოგია ბერძნული სიტყვაა და იგი სამი სიტყვის-მამული, სამოსახლო და მეცნიერება-შენაზავია. თანამედროვე დროს სიტყვა „ეკოლოგია“ ისე აღიქმება, როგორც მეცნიერება ბუნების შესახებ.

დღეს ეკოლოგიის, როგორც მეცნიერების წინაშე ისეთი ძნელი ამოცანა დგას, როგორიცაა პლანეტა დედამიწის გადარჩენა. რადგანაც ჰაერი, რომელიც სულიერთა სიცოცხლის უმთავრესი პირობაა, დღითი-დღე სულ უფრო ბიმძურდება. თანამედროვე ეპოქაში წარმოებისა და სოფლის მეურნეობის განვითარება, ერთმანეთის მიყოლებით კოსმოსში გაშვებული ხელოვნური თანამგზავრები, ატომური იარაღის აფეთქებისას მომხდარი აფეთქებები და დიდი რაოდენობით ნავთისა და ქვანახშირის გამონაბოლქვი სულ უფრო ზრდის ჰაერში კარბონის გაზის წილს და შესაბამისად ამცირებს ოქსიგენის გაზს, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. თბოელექტრო სადგურები, კოსმიური გემები, თვითმფრინავები, ავტომობილები და მექანიზებული მანქანები, რომლებიც სოფლის მეურნეობაში გამოიყენება, მომწავლავი ნივთიერებებით სულ უფრო ანაგვიანებს ისედაც დაბინძურებულ ატმოსფეროს.

ნელი-ნელ სასმელი წყალიც კლებულობს. ამისი ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ სასმელი წყლის ძირითადი კერები გამუდმებით ბინძურდება. საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომლებსაც მდინარეებში ყრიან, სასმელ წყალს გამოუსადეგარს ხდის.

იმ მიწების საერთო რიცხვი, რომლებიც წლითი-წლობით უდაბურდებიან, მატულობს. ეს პრობლემა აზერბაიჯანშიც არსებობს. კასპიის ზღვის დაბინძურება კი აზერბაიჯანისთვის ყველაზე დიდ პრობლემად ითვლება.

როგორ ბინძურდება კასპიის ზღვა?

გარდა აზერბაიჯანისა რუსეთის, ყაზახეთის, თურქმენეთისა და ირანის სხვადასხვა დასახლებული პუნქტებიდან კასპიის ზღვაში ჭუჭყიანი წყალი ჩაედინება.

მდინარეების მეშვეობითაც კასპიის ზღვაში ყოველწლიურად გაბინძურებული წყლები შედის. მისი ნახევარზე მეტი მდინარე ვოლგის წილზე მოდის. კასპიის გაბინძურებაში მდინარეები მტკვარი და ურალიც მონაწილეობენ. მდინარე მტკვარი საქართველოზე გამოვლით ჩაედინება კასპიის ზღვაში და თავისთან ერთად საწარმოო , საყოფაცხოვრებო სიბინძურე და სოფლის მეურნეობის შხამ-ქიმიკატური ნარჩენებიც ჩამოაქვს. ზღვის პირას განლაგებული ბაქოსა და სუმგაითის საკანალიზაციო წყლებიც კასპიის ზღვაში ჩაედინება.

გარდა ამისა ნავთობპროდუქტების გადაზიდვა და საზღვაო ტრანსპორტიც საკმაოდ ანაგვიანებს კასპიის ზღვას. კასპიის ზღვა ერთად ერთი ზღვაა, სადაც ზუთხის დიდი მარაგია თავმოყრილი. ცნობილია, რომ მსოფლიოში ძალზედ ძვირად ღირებული შავი ქვირითი სწორედ ზუთხისაგან მიიღება.

წყლის მეტისმეტად დაბინძურება დიდად ვნებს თევზმრეწველობას. ჯერ კიდევ 1992 წელს ვოლგის აუზი და კასპიის ზღვის სანაპირო ზონა „ეკოლოგიური უბედურების ზონად“ გამოცხადდა.

საზოგადოების გლობალური პრობლემები

ზღვის დაბინძურება

კასპიის ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობა დღეს აზერბაიჯანის სახელმწიფოს სერიოზულად აფიქრებს. კასპიის ზღვა თანდათან მსოფლიო დონის პრობლემად იქცევა. მისი ეკოლოგიური მდგომარეობა ახლა არა მხოლოდ აზერბაიჯანს, არამედ მთელ მსოფლიოს აღელვებს.

ეკოლოგიის ამოცანა მხოლოდ გარემოს დაბინძურებისაგან დაცვით როდი ამოიწურება. ზოგჯერ ეკოლოგიას იმ მეცნიერებადაც მიიჩნევენ, რომელიც ორგანიზმებს შორის, ორგანიზმებსა და გარემოს შორის, სულიერ და არასულიერ არსებათა შორის ორმხრივ ურთიერთობას შეისწავლის.

როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ბუნება, ისე, რომ ზიანი არ მივაყენოთ?

ადამიანი ბუნების შემადგენელი ნაწილია. ბუნებისადმი გონივრული დამოკიდებულება უზრუნველყოფს მომავალო თაობების ჯანსაღ გარემოში ცხოვრებას. ამისათვის ადამიანებმა უნდა შექმნან ისეთი ტექნოლოგიები , რომლებიც გარემოს არ ვნებს. ის რესურსები, რომლებიც ამოწურვის პირასაა, ნაყოფიერად უნდა გამოიყენონ. დაძველებული პროდუქტები (ტექნიკა, ტანსაცმელი, საგანი) ხელახლა უნდა გადაამუშაონ და მათგან ახალი გააკეთონ. ახალი აღმოჩენების დროს უნდა შეეცადნონ, რომ ამით ბუნებას არ ავნონ. მაგალითად,ნაცვლად იმ ავტომობილებისა, რომლებიც ბენზინით მუშაობენ, დღეს შესაძლებელია ისეთი ავტომობილების გაკეთება, რომლებიც მზის ენერგიით იმუშავებენ.

ადამიანებმა უარი უნდა თქვან ომებზე. სამხედრო ტექნიკის ნაცვლად უფრო მეტი თანხა უნდა გამოეყოს ისეთ ტექნიკას, რომელიც ბუნებას დაიცავდა. ყველა ურთიერთობა ორმხრივ გაგებას, ჰარმონიულ დამოკიდებულებასა და თანამშრომობაზე უნდა ააგონ.

კითხვები და დავალებები

1) რომელმა აუცილებლობამ შექმნა ეკოლოგიური მეცნიერება?
2) როგორი ამოცანები დგას ეკოლოგიური მეცნიერების წინაშე?
3) მოძებნე რუკაზე ქალაქები, რომლებიც კასპიის ზღვის ირგვლივ მდებარეობენ.
4) მოძებნე რუკაზე ის მდინარეები, რომლებიც კასპიის ზღვაში ჩაედინებიან და მათი სახელები რვეულში ჩაწერე.
5) რომელი ეკოლოგიური პრობლემები არსებობენ აზერბაიჯანში?
6) რა უნდა ქნან ადამიანებმა იმისათვის, რომ ეკოლოგიური პრობლემები მოაგვარონ?
7) დაწერე თემა სათაურით-„რა მიმაჩნია ეკოლოგიურ პრობლემად იმ ტერიტორიაზე, სადაც ვცხოვრობ?“

43. არალის ტბის ღაღადი



მოცულობისა და ზღვისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მიხედვით კასპიას ზღვას უწოდებენ. სინამდვილეში იგი მსოფლიოს ყვალაზე დიდი ტბაა. სულ ახლახან მოცულობის გამო ზღვად წოდებული სხავა ტბაც არსებობდა. ლაპარაკია არალის ტბაზე, რომელიც მოცულობით მსოფლიოს მეოთხე ტბა იყო! მას „ველის ცისფერ თვალს“ უწოდებდნენ. არალს თავისებური მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო გააჩნდა. მეთევზეები ამ ზღვიდან ბლომად თევზს იჭერდნენ. მის ლურჯ ტალღებში გემები დაცურავდნენ. მის პორტებში უამრავი ხალხი მუშაობდა.

ახლა არალის ძველი დიდებიდან აღარაფერია დარჩენილი. მისი ფართო მკერდი ერთობ დაპატარავებულა- მისი ტერიტორიის მხოლოდ 1/10 ფართობიღა დარჩენილა. დამშრალი წყლის ადგილას მარილიანი ქვიშის ფენა გაჩენილა. ტბის დაშრობას მის ირგვლივ კლიმატიც შეუცვლია. იმის გამო, რომ ტბა დაპატარავებულა, შესაბამისად აორთქლება და ტენიანობაც შემცირებულა. ტენიანობის კლებას კი მშრალი კლიმატი გამოუწვევია. გაზაფხული მშრალი და გვალვიანი, ზამთარი კი გრძელი და ცივი გამხდარა. ძლიერი ქარი, რომელიც თვეობით გრძელდება,მარილიან ქვიშას 250 კილომეტრამდე ფანტავს და ჰაერი ერთობ დიდ ტერიტორიაზე ბინძურდება. ბუნება სიჯანსაღეს კარგავს და ადამიანი, რომელიც მისი ერთი პატარა ნაწილია, სნეულდება. შემთხვევითი არაა, რომ ამ რეგიონში სასუნთქი გზების, ფილტვებისა და თირკმელების დაავადებები მოჭარბდა, ბავშვთა სიკდილიანობამ იმატა.

რატომ შრება არალის ტბა?

არალის ტბა თავის-თავად როდი დაშრა, იგი ამ მდგომარეობაში ადამიანებმა ჩააგდეს. დაახლოებით 50 წლის წინ ადამიანებმა გაზა გადაუხერგეს ორ დიდ მდინარეს, რომლებიც არალის ტბაში ჩაედინებოდნენ. ეს მდინარეები ამუდარია და სირდარია გახლავთ. მდინარეთა მიმართულება შეცვალეს, ახალი არხები გაჭრეს, რათა უკიდეგანო ბამბის პლანტაციები მოერწყათ. როცა ამას სჩადიოდნენ, ადამიანები ფიქრობდნენ, რომ მოსავლიანობა იმატებს და ცხოვრების დონე ამაღლდება. პირიქით კი მოხდა. ფართობები, რომლებიც მოირწყა, გამლაშდა და ქიმიური ნივთიერებებით დანაგვიანდა. ერთგან ვთქვით, რომ „მდინარეებმა რომ არ იდინონ, ტბები არ იქნებიან“. მისი მკვებავი ორი მდინარის წყლის მკვეთრი შემცირება კი არალის ტბისთვის ნამდვილ უბედურებად იქცა.არალმა დაშრობა იწყო. 20 წლის განმავლობაში თითქმის ნახევარი ტბა ამოშრა, წყლის სიმლაშემ იმატა. თევზები გადაშენდნენ, მეთევზეები უმუშავრად დარჩნენ. ახლა ადამიანს გულს სტკენს დამშრალი ტბის სანაპიროებზე მიგდებული მოშლილ-მონჯღრეული გემების ყურება. როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა არალის საერთო მდგომარეობა ვერტმფრენით დაათვალიერ, თქვა:“ არალის ტბის დაშრობა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი უბედურებათაგანია“. და მან დასძინა, რომ არალი არა ტბა, არამედ გემთა სასაფლაოა, და

მსოფლიო ლიდერებს მოუწოდა, გაატარონ სათანადო ღონისძიებები, რათა არალი გადაარჩინონ.

ადამიანებმა უნდა შეიგნონ, რომ ბუნებისადმი დამოკიდებულება ადამიანისადმი დამოკიდებულებას ნიშნავს. ამ საკითხში გულგრილობის გამოჩენა დაუშვებელია. რამეთუ რაც უფრო მეტი დრო გადის გულგრილობაში, პრობლემა მით უფრო ღრმავდება და მისი გადაჭრაც უფრო რთულდება.

ხედი კოსმოსიდან

არალის ტბა 1986 წელი

არალის ტბა 2010 წელი

არალის ტბა გემთა სასაფლაოდ იქცა

კითხვები და დავალებები

1) მოძებნე რუკაზე არალის ტბა. რომელი ქვეყნის ტერიტორიაზეა იგი?
2) რატომ დაშრა არალის ტბა?
3) როგორ იმოქმედა ტბის დაშრობამ მის ირგვლივ არსებულ კლიმატზე?
4) რა გამოიწვია არალის ტბის ირგვლივ კლიმატის ცვლილებამ?
5) შენი აზრით, შესაძლებელია, კასპიის ზღვასაც იგივე დაემართოს, რაც არალის ტბას? აზრი რვეულში ჩაწერე.

44. ოზონის ფენა

ოზონის ფენა ეს არის გაზის ქანი, რომელიც ატმოსფეროში დამცველის როლს თამაშობს. ოზონის ფენა ყლაპავს მავნე სხივებს, რომლებიც მზისგან მოდის. ეს ფენა რომ გაქრეს, მოისპობა მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო, რომელიც ხმელეთსა და წყალშია.

ოზონის გაზის გაფანტვა და ატმოსფეროში ნახშირორჟანგის სიჭარბე გავლენას ახდენს ჩვენს პლანეტის კლიმატურ პირობებზე. ეს ნათლად ვლინდება ტემპერატურის მატებაში. ტემპერატურის მატება კი „გლობალური* დათბობის პრობლემას იწვევს. ეს კი თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ პოლუსებზე არსებული ყინულის ფენა სწრაფ დნობას იწყებს. ყინულების დნობა კი ოკეანის წყლის დონეს სწევს მაღლა. ბოლო ასი წლის განმავლობაში ოკეანის წყლის დონემ 15-17 სმ-ით აიწია. ეს ოკიეანისთვის საკმაოდ დიდი რიცხვია.

რატომ იშლება აზონის ფენა?

მეცნიერები ფიქრობენ, რომ ოზონის ფენაში ხვრელების წარმოშობა ადამიანების სამეურნეო საქმიანობას უკავშირდება. ზოგიერთი ქარხნის მუშაობის დროს ჰაერში სხვადასხვა გაზები ხვდება. რაც უფრო ვითარდება მრეწველობა, ატმოსფეროში მატულობს დოზა იმ ნივთიერებათა, რომლებიც შლიან ოზონის გაზს.

ოზონის გაზის დაშლის წინააღმდეგ ბრძოლა დამოკიდებულია მსოფლიო ქვყნების ერთობლივ ძალისხმევაზე. ამიტომაც 1994 წლიდან 16 სექტემბერი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულია საერთაშორისო ოზონის გაზის დაცვის დღედ. ამ დღეს მსოფლიო პრესა ბეჭდავს უამრავ მასალას იმის თაობაზე თუ რამდენად საჭიროა ოზონის გაზის ფენის დაცვა და რა გზებით შეიძლება ამ პრობლემის გადაჭრა. ტელევიზიასა და რადიო არხებზე ტრანსლირდება გადაცემები, რომლებიც აღნიშნულ თემას ეძღვნება. ამ გადაცემებში ლაპარაკია იმაზე, თუ ოზონის ფენის მოშლა როგორ იმოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. უჩვენებენ, რონ ოზონის

*__გლობალური__ – ის რაც მთელ დედამიწას მოიცავს

ფენის დამცველი უნარის შემცირება ადამიანებში იმუნური სისტემის შესუსტებას იწვევს. ამ საუბრებში მიუთითებენ, რომ სხვავდასხვა ქვეყნები მოვალენი არიან, გაატარონ სათანადო ღონისძიება, რათა დაიცვან ადამიანთა ჯანმრთელობა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკა აქტიურად მონაწილეობს მსოფლიო გაერთიანების მიე განხორციელებულ ღონისძიებებში, რომლებიც ეძღვნება ოზონის ფენის დამშლელი ნივთიერებების ხმარებიდან ამოღებასა და ამ ნივთიერებების ატმოსფეროში გაშვების აკრძალვასთან დაკავშირებულ შეთანხმებულ საქმიანობას. ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო კონტროლს უწევს ოზონის ფენის დამშლელი ნივთიერებებისა და იმ პროდუქტების წარმოებასა და მოხმარებას, რომელთა შემადგენლობაშიც ასეთი ნივთიერებებია. იგი ასევე ახორციელებს ასეთ ნივთიერებათა უვნებელყოფას.

ყველამ უნდა დავიცვათ ოზონის ფენა,
რადგანაც იგი ყველას გვიცავს!

კითხვები და დავალებები

1) რა მნიშვნელობა აქვს ოზონის ფენას პლანეტა დედამიწისათვის?
2) ოზონის ფენის დაშლა ატმოსფეროში რომელ ცვლილებებს იწვევს?
3) რას ნიშნავს „გლობალური დათბობა?“
4) რას უკავშირებენ ოზონის ფენის დაშლას?
5) რას იწვევს იმუნუნური სისიტემის დასუსტება ცოცხალ სამყაროში?
6) დაწერე ესე სათაურით- „ ოზონის ფენა და ეკოლოგია“.

45. რას ნიშნავს გაუდაბურება

ხმელეთის 1/5 ნაწილი უდაბნოებს უკავიათ. ბუნებათმცოდნეების აზრით, იქ, სადაც ამჟამად თვალუწვდენელი ქვიშიანი უდაბნოებია გადაჭიმული, უწინ მწვანე ველები და ტყეები იყო. შემდეგ კლიმატის ცვლილებას ამ ტერიტორიების გაუდაბურება გამოუწვევია.

უდაბნოში ძალზედ მცირე ნალექი მოდის. ასეთი წვიმა მიწის ზედაპირსაც კი არ ასველებს. ზოგჯერ კი წლის განმავლობაში ერთი წვეთი წვიმა არ ეცემა მიწას. ამინდი ყოველთვის თბილი და გვალვიანია. ზაფხულობით უდაბნოების უმრავლესობაში ტემპერატურა 50 გრადუსს აღემატება. მალ-მალე ცხელი და მშრალი ქარები ქრის. ქარსაყოლილი ქვიშის ნამქერისაგან გორაკები წარმოიშვება. უდაბნოთა ტერიტორია დღესაც იზრდება.

ეს იმ პრობლემათაგანია, რომელიც მსოფლიოს აღელვებს. აფრიკული სავანეები ნელ-ნელა უდაბურდება. ამ პროცესის შეჩერების მიზნით დიდი უდაბნოს მიჯნაზე 1500 კილომეტრიანი ტყის ზოლი გაშენდა.

ეს პრობლემა მხოლოდ დიდ უდაბნოს როდი შეეხება. რაც დრო გადის, მსოფლიოს ყველა წერტილში სულ უფრო მეტი ფართობი უდაბურდება და სახნავ-სათესად გამოუსადეგარი ხდება. ამის შედეგად ვარგისიანი მიწის ნაკვეთები მცირდება.

რატომ უდაბურდება მიწა?

გაუდაბურებას არაერთი მიზეზი გააჩნია. სახნავ-სათესი ნაკვეთების სისტემატური გაფართოება, პირუტყვის სწრაფი ტემპით გამრავლება და მათი ინტენსიური გაშვება საძოვარზე ბუნებრივ მცენარეულ საფარს ანადგურებს. გაუდაბურებას ტყეების გაჩეხვაც ძლიერ უწყობს ხელს.

სხვა მიზეზი კი სახნავ-სათესი ფართობების ქიმიური სასუქებით გამდიდრების მცდელობას უკავშირდება. შხამიანი ნივთიერებები, რომლებიც ამგვარი სასუქების შემადგენლობაში შედის, სავარგულს აბინძურებს. ყოველივე ამის შედეგად სავარგული, რომელიც მცენარეთა განვითარებას უნდა უწყობდეს ხელს, იქცევა გამოფიტულ და გაუდაბურებულ ტერიტორიად , სადაც ბალახიც აღარ ხარობს. უნდა ითქვას, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით წარმოებული გათხრებიც იმ მიზეზთაგანია, რომელიც მიწას აუდაბურებს.

გაუდაბურების სხვა მიზეზი კი მიწის ზედაპირის მოვარდნილი ნიაღვრის მიერ წალეკვა-გადარეცხვაა. სამეურნეო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი გაზების (განსაკუთრებით კი კარბონული გაზის) ჰაერში სიჭარბე ჩვენს პლანეტაზე გლობალურ დათბობას იწვევს. გლობალური დათბობა კი გვალვიანობისა და კოკისპირული წვიმების რიცხვს ზრდის, ეს კი მიწის ზედაპირზე დამღუპველ გავლენას ახდენს. სწორედ ამიტომ მცოცავი უდაბნო მთელ მსოფლიოს აღელვებს. ყოველწლიურად მსოფლიოში 17 ივნისს გაუდაბურებისა და გვალვის წინააღმდეგ ბრძოლის დღე აღინიშნება.

ამჟამად, გაუდაბურება, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, აზერბაიჯანშიც მნიშვნელოვან პრობლემათაგანია. აზერბაიჯანშიც უდაბნოდ ქცეული ტერიტორიების ფართი დღითი-დღე იზრდება. ითვალისწინებს რა ამას, აზერბაიჯანის სახელმწიფო და ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, გაუდაბურების წინააღმდეგ

> მოსახლეობა, რომელიც დიდი უდაბნოში ცხოვრობს, გრძელ და თეთრ ტანისამოსს იცვამს. რადგანაც
> თეთრი ტანსაცმელი მზის სხივებს უკანაბრუნებს
> და სხეულს სიცხისაგან საიმედოდ იცავს

წინმსწრებ ღონისძიებებს მიმართავს. სერიოზული ყურადღება ექცევა აზერბაიჯანში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების ნაყოფიერი გამოყენების საქმეს.

აზერბაიჯანი უერთდება „გაუდაბურების წინააღმდეგ ბრძოლის“ საერთაშორისო კონვენციას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაუდაბურების პროცესის შეჩერების მიზნით ქვიყანაში მიღებულია სპეციალური სახელმწიფო პროგრამები. ამ პროგრამების შესაბამისად აზერბაიჯანში ყოველწლიურად ათასობით ხე ირგვება და მიმდინარეობს სამუშაოები ტყეების აღდგენის მიმართულებით.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის განკარგულებებით სისტემატურად ფართოვდება დაცული ტერიტორიები. ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიის 1/10-მდე ფართობი სპეციალურადაა დაცული, როგორც ბუნებრივი საუნჯე. აზერბაიჯანის მომავალი ძლიერაა დამოკიდებული ამ ღონისძიებებზე. რადგანაც მიწა აზერბაიჯანის ყველა ფასეულობების აკვანია.



კითხვები და დავალებები

1) რა კავშირშია კლიმატის ცვლილება გაუდაბურებასთან?
2) რომელი მავნე მხარეები აქვს გაუდაბურებას?
3) რომელ ღონისძიებებს ატარებს აზერბაიჯანის სახელმწიფო გაუდაბურების წინააღმდეგ?
4) როგორ ახსნი გაუდაბურების მიზეზებს?
5) შეინიშნება, თუ არა, გაუდაბურება იმ ტერიტორიაზე, სადაც ცხოვრობ? ამის შესახებ შენი აზრი დაწერე და დაასაბუთე.

46. მწვანე ეკონომიკა

როცა ტელევიზორს უყურებ, ან რადიოს უსმენ, უცებ სინათლე რომ გაითიშოს რა მოხდება?ბუნებრივია, ირგვლივ სიბნელე ჩამოწვება. ტელევიზორი და რადიო კი გაითიშება, ეს ასე იმიტომ ხდება, რომ ტელევიზორი, რადიო, სინათლის ლამპები და ელექტორო გამაცხელებელი- ყველაფერი ერთი წყაროდან იკვებება, ანუ ელექტრო ენერგიით მუშაობს. როგორც კი ელექტრო ენერგია ითიშება სინათლე ქრება, ტელევიზორის ეკრანი შავდება და რადიო ჩუმდება.ელექტრო გამაცხელებლები არ მუშაობენ. ამიტომ არის, რომ როცა დენი ითიშება, ჩვენ ძლიერ ვღელავთ.

ადამიანები უკვე ხვდებიან, რომ ელექტრო ენერგია, რომელსაც ახლა ჭარბად მოიხმარენ, შეიძლება ერთ მშვენიერ ღეს გათავდეს.

რა არის მწვანე ეკონომიკა?

ბოლო დროს მწვანე ეკონომიკაზე ბევრს ლაპარაკობენ. მწვანე ეკონომიკა მიზნად ისახავს საწარმოების, ტრანსპორტისა და საყოფაცხოვრებო სფეროების ენერგეტიიკული მოთხოვნილებები ისეთი წყაროების ხარჯზე დააკმაყოფილოს, რომლებიც ამოუწურავია და ბუნებას ნარჩენებით არ აბინძურებენ. ქარი ბუნებრივი მოვლენაა, ყოველთვის იყო და იქნება. მისი ენერგიის გამოყენების მიზნით ბოლო დროს ზოგიერთ ქვეყანაში შეიქმნა ქარის ელექტრო სადგურები. დანიაში, გერმანიაში, ნიდერლანდებში, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ქარის ენეგიას უფრო ინტენსიურად მოიხმარენ.

მზე სინათლისა და სითბოს ამოუწურავი წყაროა. მზის ენეგიით 30–ზე მეტ ქვეყანაში სარგებლობენ.

ამისათვის მზის ბატარიებს დგამენ ისეთ ტერიტორიებზე, სადაც მზის სინათლე უფრო უხვად ეცემა. ეს ბატარიები მზის ენეგიას აგროვებენ და მისი გამოყენების საშუალებას იძლევიან.

მზის ბატარიები

ქარის ელექტრო სადგურები

მიწისქვეშა თბილი წყალი– გეზერი

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში თერმული წყლების* ენერგიასაც იყენებენ. მაგალითად ისლანდიაში თერმული წყლებით სახლებს ათბობენ.

ფართოდ გამოიყენება წყლის ელექტრო სადგურებიც, როლებიც მდინარეების ენერგიას ელექტრო ენერგიად გარდაქმნიან. აზერბაიჯანში მდინარე მტკვარზე აგებულია მინგეჩაურის წყლის ელექტრო სადგური.

ადამიანების ენერგო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას ოკეანის წყლებიც.

აზერბაიჯანში რომელი ამოუწურავი ბუნებრივი რესურსები შეიძლება იქნას გამოყენებული?

აზერბაიჯანის რესპუბლიკა ენერგეტიკული წყაროებით მდიდარია. რადგანაც ქვეყნის ტერიტორიაზე მოედინებიან სწრაფი და ძლიერი მთის მდინარეები. აზერბაიჯანში შესაძლებელია როგორც მზის, ასევე ქარის ენერგიის ფართოდ გამოყენება. რადგანაც აქ წლის განმავლობაში უხვად ეცემა მზის სხივები. რესპუბლიკის რიგ ტერიტორიებზე, მაგალითად აბშერონის ნახევარკუნძულზე, გობუსტანსა და გილაზიში წლის განმავლობაში ქარიანი ამინდები იცის. აზერბაიჯანში უკვე გუბა–ხაჩმაზის ტერიტორიაზე პირველი ქარის ელექტრო სადგური დაიდგა.

ახლა მწვანე ეკონომიკას XXI საუკუნის წამყვან ძალად მიიჩნევენ. მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანები უერთდებიან საერთაშორისო მწვანეთა მოძრაობას, რომელიც აწარმოებს ბრძოლას ბუნების დაცვის მიზნით. ეს მოძრაობა აზერბაიჯანშიც ფუნქციონირებს. შენც შეგიძლია ამ მოძრაობას შეუერთდე და ბუნების დაცვის საქმეში შეიტანო წვლილი. ნორვეგიის ბუნების დაცვის საზოგადოება, რომელიც 1914 წლიდან ფუნქციონირებს, უკვე ათ წელზე მეტია, რაც ენერგიისა და რესურსების გამოყენების შესახებ მოსწავლეთა პროექტს ახორციელებს. ეს პროექტი მიზნად ისახავს სკოლების კოლექტივებს აუხსნას ენერგიის ყაირათიანად მოხმარებისა და ბუნებრივი რესურსების ნაყოფიერად გამოყენების აუცილებლობა, აგრეთვე მათ მოუწოდოს აქტიურად ჩაებან ამ სფეროების დაცვის საქმეში. ამჟამად აღნიშნული პროგრამა 17 ქვეყანაში ხორციელდება. ამ პროგრამას აზერბაიჯანშიც მრავალმა მოსწავლემ აუბა მხარი.

საერთაშორისო მოსწავლეთა პროექტის ლოგო

****თერმული წყლები** – მიწისქვეშა თბილი წყლები

კითხვები და დავალებები

1) როგორ იყენებენ ადამიანები ენერგიას?
2) რომელი ენერგო წყაროები იწურება?
3) რომელი ენერგო წყაროებია ამოუწურავი?
4) რომელი ამოუწურავი ენერგო წყაროებია იმ ტერიტორიაზე, სადაც შენ ცხოვრობ?
5) დაწერე ესე სათაურით– „რომელ პროექტებს განვახორციელებდი მზის ენერგიის გამოყენებით?“

47. ომი და მშვიდობა



ადამიანებს შორის ყოველთვის შეიძლება წამოიჭრას სადავო საკითხები. სადავო საკითხის კონფლიქტური გზით გადაჭრის მცდელობა, როგორც წესი, უფრო დიდ კონფლიქტს წარმოშობს. აზერბაიჯანული კულტურის გამოჩენილი მოღვაწის უზეირ ჰაჯიბეკოვის მოთხრობა „მოსისხლეები“, რომელიც შესულია წიგნში „აქა-იქ“, ამ თვალსაზრისით მშვენიერ ნიმუშს წარმოადგენს. მოთხრობაში ნაჩვენებია,რომ პატარა კონფლიქტი, რომელიც წარმოიშვება სოფელ დანაბაშის მკვიდრ ქარბალაი ჰუმბათალისა და მის მეზობელ გოჩბალას ოჯახებს შორის, ბოლოს მთელი სოფლის დავიდარაბად იქცევა. ეს ამბავი იმით იწყება ,რომ გოჩბალას ქათამი შემთხვევით ჰუმბათალიაანთ თეფშს გატეხავს. ქარბალაი ჰუმბათალის ბიჭი ჰასანა შურისძიების მიზნით გოჩბალას ძაღლს ალაბაშას ფეხს მოსტეხავს. გოჩბალა საპასუხოდ ჰუმბათალის შინ მიეჭრება. ჰუმბათალის უფროსი ვაჟი მუხთარა მას ტყვიით კლავს. გოჩბალას ძმა ჰასანგულუ პირობას დებს,რომ ძმის სისხლს აიღებს. იგი ღამით მუხთარს თავს ესხმის, ტყვიას დაახლის და სოფლიდან გარბის. მუხთარის გამო შურისძიება მის ბიძაშვილს საფიარს ეკისრება. ასე და ამგვარად, პატარა ნაპერწკლიდან დიდი ხანძარი წარმოიშობა. კონფლიქტი, რომელიც ქათმის მიერ თეფშის უნებლიე გატეხვით იწყება, რამოდენიმე ადამიანს მოუსწრაფებს სიცოცხლეს. მსოფლიოში ყველაზე დიდ უბედურებებს უარყოფითი აზრი, სიძულვილის გრძნობა აძლევს ბიძგს. ამიტომაც ადამიანები უნდა შეეცადონ, რომ მათ შორის წარმოქმნილი უმნიშვნელო კონფლიქტები არ გააზვიადონ და მშვიდობიანი გზით გადაჭრან.

როგორც ადამიანებს შორის ასევე სახელმწიფოებს შორისაც შეიძლება წამოიჭრას სადავო საკითხები. როცა ქვეყნები ძალისხმევას არ იჩენენ, რომ წამოჭრილი სადავო საკითხი მშვიდობიანი გზით მოაგვარონ, მაშინ მათშორის ომი იწყება.

ძველი დროის ადამიანები ერთი დანაყრება საჭმელისთვის ებრძოდნენ ერთი–მეორეს. ტომებად დაყოფილი ადამიანები სანადირო ტერიტორიების გამო ხოცავდნენ ერთმანეთს.

შემდეგ პერიოდში ადამიანებმა მეტალის გამოყენება ისწავლეს. მშვილდ–ისრის გამოგონების შემდეგ კი ბრძოლებში უფრო მეტი ადამიანი იღუპებოდა.

შუა საუკუნეებში ცხოვრება შედარებით განვითარდა. წარმოიშვა ძლიერი სახელმწიფოები, რომელთაც არმია და საზღვაო ფლოტი გააჩნდათ. სწორედ ამ

სახელმწიფოებს შორის მსოფლიოს გაყოფის მიზნით პაექრობა დაიწყო. ადამიანები, რომლებიც ერთ დროს ერთი ლუკმა პურისთვის იბრძოდნენ, ახლა ბრძოლა დაიწყეს მსოფლიო ბატონობისთვის. ისინი სუსტ, ნაკლებად განვითარებულ ტერიტორიებს ერთმანეთის მიყოლებით იპყრობდნენ და ადამიანებს იმონებდნენ. ასეთ ტერიტორიებს კოლონიებს უწოდებდნენ. ძლიერ სახელმწიფოებს შორის მსოფლიოს გადანაწილება დამთავრდა. მაგრამ არ გასულა დიდი დრო და ამ ქვეყნებმა ერთმანეთის წილსაც დაადგეს თვალი. მეოცე საუკუნეში ორი მსოფლიო ომი მოხდა.

პირველი მსოფლიო ომი 1914 წელს დაიწყო. მან 4 წელს, 3 თვესა და 10 დღეს გასტანა. ამ ომში 40–ამდე სახელმწიფო იღებდა მონაწილეობას. ფრონტებზე 10 მილიონამდე ადამიანი დაიღუპა, 20 მილიონამდე ადამიანი კი დასახიჩრდა.

მეორე მსოფლიო ომი კი 1939 წელს დაიწყო და 6 წელიწადს გასტანა. ეს ომი ისტორიის მანძილზე მომხდარ ომებს შორის ყვველაზე დამანგრეველი ომი იყო. დაღუპულთა რიცხვი 50 მილიონს აღწევდა.

რა არის საჭირო იმისათვის რომ დედამიწის ზურგზე მშვიდობა დამყარდეს?

მშვიდობის მოყვარე ადამიანები დედამიწის ზურგზე მშვიდობის აუცილებლობას ხვდებიან და ცდილობენ ომი არ დაუშვან. მიუხედავად ამისა, ომები მაინც ხდება და ადამიანებისათვის კვლვინდებურად უბედურება მოაქვთ. ზოგჯერ ქვეყნებს თავიანთი სურვილის საპირისპიროდ ომიში ჩაითრევენ ხოლმე. მაგალითად აზერბაიჯანი ყარაბაღის ომში თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ ძალითაა ჩათრეული. ამ ომში სომხურმა მხარემ აზერბაიჯანის მიწების 20% –ზე მეტი დაიპყრო. ომში 20 ათასზე მეტი აზერბაიჯანის მოქალაქე დაიღუპა.

აზერბაიჯანელ ხალხს ომი არ უნდა. მას სურს, რომ ეს კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოგვარდეს და დაპყრობილი აზერბაიჯანული მიწები განთავისუფლდეს.

ბოლო დროს ერთობ ძლიერი იარაღები გაკეთდა. ამ იარაღების ამოქმედებას შეუძლია დედამიწაზე სიცოცხლე მოსპოს. ამიტომაც სახელმწიფოები, რომლებსაც მშვიდობის კულტურა გააჩნიათ, მსოფლიოს მოუწოდებენ, რომ ნებისმიერი კონფლიქტი არა ძალის გამოყენებით, არამედ მშვიდობიანი გზით მოაგვარონ. მშვიდობა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ გარემო დაცული იყოს, ადამიანებმა უსაფრთხო, მშვიდობიან და ყველასათვის ხელსაყრელ პირობებში იცხოვრონ.

მშვიდობის სიმბოლო

კითხვები და დავალებები

1) როგორ და რატომ იზრდებიან კონფლიქტები?
2) როგორ მოქმედებს კონფლიქტებზე მეცნიერულ–ტექნიკური პროგრესი?
3) რომელ გზას აძლევს უპირატესობას აზერბაიჯანი მომხდურთა მიერ ოკუპირებული მიწების გასანთავისუფლებლად? რატომ?

დაწერე ესე სათაურით– „ყარაბაღის ომის გავლენა აზერბაიჯანის ცხოვრებაზე?“

48. ერთი საფეხურითაც წავიწიეთ წინ

სასწავლო წელი მთავრდება. შენ უკვე მეოთხე კლასს ამთავრებ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაწყებით განათლებას აგვირგვინებ. რას მიაღწიე ამ ხნის განმავლობაში?

გახსოვს ის დღე, როცა პირველ კლასში მოხვედი? მაშინ მთლად პატარა, სულ ექვსი წლისა იყავი. წლითი–წლობით გაიზარდე. როგორც ფიზიკურად, ასევე ზნეობრივად განვითარდი. ბევრი მეგობარი შეიძინე. საკმაო ცოდნა და გამოცდილება დააგროვე, რომელიც ცხოვრებაში გამოგადგება. ამ ოთხი წლის განმავლობაში „სამყაროს შემეცნების“ საგანმა დაგისახა გზები, რომელთა მეშვეობითაც შენს უფლებებს გაიცნობიერებ.

ყოველი ადამიანის ურთიერთობის კულტურა ის სარკეა, რომელშიც აისახება, თუ რა დონეზეა ფორმირებული მისი პიროვნება. ადამიანი, რომელიც ურთიერთობის კულტურას ფლობს, მიუხედავად განწყობისა, ირგვლივმყოფთა მიმართ ყოველთვის ყურადღებიანია. თავის ნებისმიერ საქმეს კრიტიკულად განიხილავს, გამოაქვს შესაბამისი დასკვნა, რაც მის შემდგომ საქციელში გამოიხატება. ადამიანს თავისი საქციელის, გარემოს, თავისი და სხვათა ცხოვრებისადმი, მათი ჯანმრთელობის დაცვისადმი დამოკიდებულებით შეუძლია საზოგადოების პატივისცემა, ანდა სიძულვილი დაიმსახუროს. ადამიანს, რომელიც თავისი პიროვნებისადმი პატივისცემას მოითხოვს, სხვათა პიროვნული ღირსებისადმი პატივისცემის უნარიც უნდა გააჩნდეს. ასევე, ადამიანი, რომელიც თავის უფლებებს აცნობიერებს, სხვის უფლებებსაც მოკრძალებით უნდა მოეპყრას.

„სამყაროს შემეცნების“ საგანი ამ წლების მანძილზე გესაუბრა იმ მეთოდებსა და გზებზე, თუ როგორ აღზარდო შენს თავში სამართლიანობის, გულწრფელობის, შრომისმოყვარეობისა და კაცთმოყვარეობის გრძნობა, რაც შემდეგში დაგეხმარება სწორუპოვარი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაში. გესაუბრა რელიგიის მნიშვნელობასა და რელიგიურ ფასეულებებზე. შეეცადა გაგაცნოს მოციქულები, წმინდა წიგნები და რელიგიისადმი ჯანსაღი დამოკიდებულება ჩაგისახოს. გიჩვენა რელიგიისადმი აზერბაიჯანული საზოგადოების პოზიცია.

შენ უკვე იცი, რომ აზერბაიჯანული საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრი ხარ. ამ საზოგადოებაში გარკვეული ფუნქციები გაკისრია, შეგიძლია მისთვის სასარგებლო საქმეები აკეთო. რადგანაც მისცე საზოგადოებას სარგებელი, სხვანაირად იმას ნიშნავს, რომ შენსავ თავს არგო. დარწმუნებული ვარ, უკვე აცნობიერებ პიროვნებასა და საზოგადოებას შორის არსებულ ამ კავშირს.

„სამყაროს შემეცნებამ“ ბევრი ინფორმაცია მოგცა ბუნების, სხვადასხვა მოვლენებისა და სულიერთა სამყაროს შესახებ. გითხრა, რომ შენც ბუნების ნაწილთაგანი ხარ. ბუნების დაცვა, სხვა სიტყვებით, შენივე თავის დაცვას ნიშნავს. ამიტომაც ბუნებისადმი მზრუნველობით და მოწიწებით დამოკიდებულება თითოეული მოქალაქის ვალია.

საყოფაცხოვრებო სფეროში გამოგადგება ის ეკონომიკური ცოდნა, რომელიც „სამყაროს შემეცნებამ“ მოგცა. აქამდე ათვისებული ცოდნა და გამოცდილება

საფუძვლად გამოგადგება იმისათვის, რისი შესწავლაც განათლების უფრო მაღალ საფეხურებზე მოგიწევს. მშენებარე სახლი თავის საძირკველს ეფუძნება. თუ საფუძველი მტკიცეა, სახლიც მტკიცე გამოვა. შენი უფლებების, ჯანმრთელობისა და მისი დაცვის, ბუნებისა, თუ საზოგადოების შესახებ, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც დღემდე გისწავლია, განათლების უფრო მაღალ საფეხურზე განავითარებ. შენ ხომ ურყევ საფუძველს ქმნი შენივე მომავლისათვის!

წინ ზაფხულის არდადეგებია. ეცადე საზაფხულო დასვენება ნაყოფიერად გამოიყენო. მოიძიე ახალი ინფორმაციები, აწარმოე საინტერესო დაკვირვებები, ირგვლივმყოფთ გაუზიარე შენი ახალი მიგნებები, გამოიყენე სხვადასხვა საინფორმაციო წყაროები.

ჩვენ ერთმანეთს ვშორდებით. თუმცა მეგობრები არასოდეს ივიწყებენ ერთიმეორეს. ცოდნა და გამოცდილება, რომელიც მეოთხე კლასში აითვისე, ყოველთვის გაგახსენებს ჩემ თავს. მომავალში უფრო დიდ წარმატებებს გისურვებ.

სარჩევი

შესავალი.....5

I.შენი ადგილი საზოგადოებაში

1.შენი განათლება

1.ახალი სასწავლო წელი.....6
2. საზაფხულო არდადეგებზე.....8
3. განათლების საუკუნე.....10
4. წარსულში და ახლა.....12
5. ბიბლიოთეკა.....14
6. წიგნებიდან ვსწავლობთ.....16

2.შენი უფლებები

7. სახელმწიფობრიობა.....18
8. სახელმწიფო ორგანოები.....20
9. სახელმწიფო ბიუჯეტი.....22
10. წარმოება და მოხმარება.....24
11. დაზღვევის მნიშვნელობა.....26
12. მოქალაქეობა.....28
13. ბავშვთა უფლებების კონვენცია.....30

3. შენი ზნეობა

14. ყველაფერი დამოკიდებულებიდან იწყება.....32
15. ურთიერთგაგება.....34
16. ყოფაქცევის წესები.....36
17. პასუხისმგებლობის გრძნობა.....38
18. თაგანწირვა.....40
19. როგორ წარმოიშვა ისლამური რელიგია.....42
20. ისლამური რელიგიის გავრცელება.....44
21. რა არის ცრუმორწმუნეობა.....46

4. შენი ჯანმრთელობა

22. ჯანმრთელობის დაცვის უფლება....48
23. გადამდები სნეულებანი....50
24. რა არის იმუნიტეტი?....52
25. ხერხემლის ძვალი....54
26. საკვებით მოწამლვა....56
27. პირველადი სამედიცინო დახმარება....58
28. როგორ გავიკაჟოთ სხეული?....60

5. შენი სიმშვიდე და უსაფრთხოება

29. მობილური ტელეფონი....62
30. კომპიუტერი და ადამიანები....64
31. საყოფაცხოვრებო კატასტროფები....66
32. საგზაო წესები....68
33. საგანგებო შემთხვევები....70
34. როგორ უნდა მოვიქცეთ საგანგებო სიტუაციების დროს?....72

II. ბუნება და საზოგადოება

1.ადამიანი ცვლის ბუნებას

35.კლიმატი და სულიერთა სამყარო....74
36. ბუნებრივი რესურსები....76
37. როგორ იცვლება ბუნება?....78
38. გეოგრაფიული ფენა....80
39. საზოგადოება და მცენარეული საფარი....82
40. საზოგადოების განვითარება და ცხოველთა სამყარო....84
41. საზოგადოება და მეცნიერულ–ტექნიკური პროგრესი....86

2. საზოგადოების გლობალური პრობლემები

42. რა არის ეკოლოგია?....88
43. არალის ტბის ღაღადი....90
44. ოზონის ფენა....92
45. რას ნიშნავს გაუდაბურება?....94
46. მწვანე ეკონომიკა....96
47. ომი და მშვიდობა....98
48. ერთი საფეხურითაც წავიწიეთ წინ....100

HƏYAT BİLGİSİ
Ümumtəhsil məktəblərinin 4-cü sinfi üçün
«Həyat bilgisi» fənni üzrə dərslik
Gürcü dilində

Tərtibçi heyət:

Müəlliflər: **Gülər Ələkbər qızı Mehdiyeva**
Bahar Əşrəf qızı Kərimova

Tərcüməçi **İmir Məmmədli**

Bədii və texniki redaktoru **Abdulla Ələkbərov**
Rəssamı **Gündüz Ağayev**
Dizayneri **Təhmasib Mehdiyev**

Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin
17.06.2011-ci il tarixli 1133№-li
əmri ilə təsdiq edilmişdir.

© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2016

Kağız formatı 57x82 $^{1}/_{8}$. Fiziki çap vərəqi 13,0.
Səhifə sayı 104. Uçot nəşr vərəqi 11,5.
Sifariş 56. Tiraj 200. Pulsuz.

«Aspoliqraf LTD» MMC-nin mətbəəsində çap olunmuşdur.
Bakı, AZ 1052, F.Xoyski küç., 121^{B}

PULSUZ